

# კურნალი

დართაშორისო რაცენზირაბაზი და რაცენირაბაზი  
სახელმწიფო-პრაქტიკული ჟურნალი

1591  
2010

№1, 2010 გეღი

მკონომიპური კოლიტიბა (მთავრობის,  
ბიზნესმენთა და მეცნიერთა პოზიციები)

გადასახადები, ბუღალტრული აღრიცხვა,  
სუდიტი

ბიზნესი და მანაჟმენტი

საბანკო საქმე (განკირი, ბიზნესმენი,  
მეანაბრე)

მაკანონმდებლო სიახლენი (სამეწარმეო  
სამართალი), პლანტაციები

მარკეტინგი კოსტები და პროცესიონალთა  
კუსტომები





## ჟურნალი “ახალი ეკონომისტი” რევერსირდება:

ს სი პ ინ სტ იტ უტ ტექინფორმის ელექტრონულ გამოცემებში “ქართულ რეგიონატულ ჟურნალში”.

## აღიარებულია რეზერვირებულკად:

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
  - ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
  - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
  - თბილისის ეპინომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი;
  - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
  - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ESM ბიზნესის სკოლა;
  - ქავგასიის უნივერსიტეტი;
  - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
  - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
  - გორის უნივერსიტეტი;
  - ახალციხის სახელმწიფო სახავდო უნივერსიტეტი;
  - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
  - ევროპული უნივერსიტეტი;
  - აკადი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
  - ოდესის მეჩიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი

**ତୁମିରେଇପାଇଁ କାହାରେଣାହାଲ୍ଲି:**  
ମାର୍ଗପ୍ରୟୋଗକୁ: ରତ୍ନଶୁଦ୍ଧାନ ପାଇସରାପା  
କୃତ୍ତଵ୍ୟକ୍ରିୟରା: ଖାତୀଶ୍ଵର ପୁରକଷ୍ଟାନାମୀ  
ଦ୍ୱାରାନିବୁ: ଶ୍ରୀରାମଦୀ ଜୀବନାମବାଦ୍ୱାଳ୍ଲି

**მოსამართი:** 0105, საქართველო, თბილისი  
ჯორჯაძის ქ. №5  
ტელ.: +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;  
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (95) 32 30 34;  
ელ ფოსტა: info@economisti.ge; info@loi.ge  
ვеб-გვერდი: www.economisti.ge; www.loi.ge

# The Magazine “Akhali Ekonomisti” (New Economist) IS REVIEWED;

In "Georgian Reviewed Magazine"—  
P.L.L.E. Iinstitute of Techinform

### **IS KNOWN AS REVIEW BY:**

- I. Javakhishvili Tbilisi State University;
  - Ilia Chavchavadze State University;
  - Georgian Technical University;
  - Tbilisi State University of Economic Relations;
  - Grigol Robaqidze University;
  - Tbilisi Free University, ESM Business School;
  - Caucasus University;
  - Sukhumi State University;
  - Shota Rustaveli State University;
  - Gori University;
  - Akhaltsikhe State University;
  - Shota Meskhia State University of Zugdidi;
  - European University;
  - Akaki Tsereteli State University;
  - Odesa Mechnikov National University.

## TECHNICAL PERSONS.

Marketing: RUSUDAN MAISURADZE

Corrections: Khatuna Burchuladze

Design: GEORGI JANIBEGASHVILI

**ADDRES:** 5 Jorjadze str., Tbilisi, Georgia, 0105  
tel.: +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;  
mob.: +995 55 277 554; +995 (95) 32 30 34;  
e-mail: info@economisti.ge; info@loi.ge  
web-site: www.economisti.ge; www.loi.ge

# ეკონომიკი

ქოველკვარტალში საერთაშორისო რეზერირებადი და რეცენზირებადი  
 სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №1(16), 2010

მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე:  
 ლორ ქარჩავა

სარედაქციო კოლეგია:  
 მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

**ელენ ხარაბაძე** - ნომრის რედაქტორი

(ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
 ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი);

რამაზ აბესაძე (საქართველოს ეროვნული აკადემიის  
 პ. უგუშვილის ეკონომიკური ინსტიტუტის დირექტორი);  
 აზერ აბრალავა; იური ანანიაშვილი;  
 როზეტა ასათიანი; როსტომ ბერიძე  
 (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
 ბიზნესის უმაღლესი სკოლის დირექტორი); გიორგი ბერიძე  
 ბამსახურდია; თამარ ბამსახურდია; თინა  
 ბელაშვილი (ახალციხის სახელმწიფო სასწავლო  
 უნივერსიტეტის რექტორი); სიმონ გელაშვილი;  
 რეგაზ გვალიშვილი (ეკონომიკური პოლიტიკისა  
 და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული  
 ინსტიტუტის დირექტორი); გიორგი ბერიძე  
 ბობატიშვილი; ვასილ ბორბაჩევი (კიევი,  
 უკრაინა); გლეიდიშვილი ბრიგოლაძე (მოსკოვი,  
 რუსეთის უდიერაცია); ვოლფგანგ ვენძი (ბერლინი,  
 გერმანია); შოთა ვეზაპიძე (ევროპული  
 უნივერსიტეტის რექტორი); ნუბარ თოდუშა; ბობა  
 თუთბერიძე (მ.ს.ო. „ქართული კურედიტის“  
 აღმასრულებელი დირექტორი); სერგეი  
 იაგუბოვსკი (ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი,  
 უკრაინა); ელია ისმაილოვი (კავკასიის  
 სტრატეგიული კალეჯის ინსტიტუტის დირექტორი,  
 აზერბაიჯანის ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი);  
 რეგაზ გაბულია; მერაბ გაბულია; მურთაზ  
 გვირგვაია (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი,  
 გრიგოლ რობაძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა  
 და მართვის ფაკულტეტის დეკანი); ირაკლი  
 კოვზანაძე; პაპატა კოდაშვილი (საქართველოს  
 სფულის მეურნეობის მეცნიერებათა  
 აკადემიის წევრი); პერალ პუნცი (ბრანდენბურგი,  
 გერმანია); ძაბილ მანაზოვი (აზერბაიჯანის  
 სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის კომერციული  
 ფაკულტეტის დეკანი); იოსებ მასურაშვილი;  
 შალვა მაჭავარიანი (კავკასიის უნივერსიტეტის

ვიცე-პრეზიდენტი სამეცნიერო დარგში); მურთაზ  
 მაძლაძე; იაკობ გესხია; ელგუჯა  
 მიმგაბიშვილი; თემ მუჯიშვილი; დავით  
 ნარმანია; თემო ნინიაშვილი; ეთერ სარკველაძე;  
 გელა სვირაგა; ავთანაძილ სილაბაძე  
 (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-  
 კორესპონდენტი); მირიან ტუხაშვილი; სლაბა  
 ფეტელაძა; რუსულან ჭათათელაძე  
 (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პრეზიდენტ-  
 სოციალური ფაკულტეტის დეკანი); ლარისა  
 ყორდანაშვილი; თიმიშრაზ ჭებელია; გიორგი  
 შიბაშვილი (თბილისის სასულიერო  
 აკადემიისა და სემინარის ლექტორი); ლარი  
 ჩაბეჭიშვილი (თბილისის ეკონომიკური  
 ურთიერთობებისა და სამართლის უნივერსიტეტის  
 ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანი); მიხეილ  
 ჩიბაშვილაძე; ლეონ ჩიძავა (საქართველოს  
 მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-  
 კორესპონდენტი, პატა გუგუშვილის სახელობის  
 უნივერსიტეტის რექტორი); ნიკო ჩიხლაძე;  
 ავთანაძილ ჩუთლაშვილი (თბილისის ეკონომიკურ  
 ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი);  
 აპაკი ცომაია; ზაზა ცოტნიაშვილი (გორის  
 უნივერსიტეტის რექტორი); ნოდარ ხადური; ეთერ  
 ხარაბაძილი; რევაზ ხარაბაძა; მირაბ  
 ხმალაძე; დავით ჯალაღონია (სოხუმის  
 სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის  
 ფაკულტეტის დეკანი); დიმიტრი ჯაფარიძე (ილია  
 ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და  
 სამართლის ფაკულტეტის დეკანი); ჯამლეთ  
 ჯანჯღაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე); მზარ  
 ჯგუმიშვილი (უსრაკულ „საქართველოს ეკონომიკის“  
 მთავარი რედაქტორი); მიხეილ ჯიბული; კენეთ  
 კომისი (მასტრისტი, პოლანდია)

# akhali EKONOMISTI

QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE,  
PRECISED AND REVIEWED №1(16), 2010

Editor-in-Chief and Head of Editorial board:  
**LOID KARCHAVA**

## EDITORIAL BOARD

Doctors of science, Professors:

**ELENE KHARABADZE - Editor**

(Dean of Economics and Business Faculty of I. Javakhishvili Tbilisi State University)

RAMAZ ABESADZE (Director of P. Gugushvili Economical Institute of Science Academy of Georgia);  
**ANZORABRALAVA; IURIANANIASHVILI; ROZETA ASATIANI; ROSTOM BERIDZE; GIVI GAMSAKHURDIA; TAMARGAMSAKHURDIA; TINA GELASHVILI** (Rector of Akhaltsikhe State University);  
**SIMON GELASHVILI; REVAZ GVELESIANI** (Director of Georgian-German Institute of Economic Policy and Economic Education); **MICHAEL GOGATISHVILI; VASYL GORBACHUK** (Kiev, Ukraine); **VLADIMIR GRIGOLIAIA** (Moscow, Russian federation); **WOLFGANG WENG** (Berlin, Germany); **SHOTA VESHAPIDZE** (Rector of European University); **NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE** (Executive Director of MFO "Georgian Credit"); **SERGEY YAKUBOVSKIY** (Odesa Mechnikov National University, Ukraine); **ELDAR ISMAILOV** (Director of Institute of Strategic Studies of the Caucasus, President of Azerbaijan Banks Association); **REVAZ KAKULIA; MERAB KAKULIA; MURTAZ KVIRKVAIA** (Editor of the Scientific part, Dean of Business and Management Faculty of G. Robakidze University); **IRAKLIKOVZANADZE; PAATAKOGUASHVILI** (member of Georgian Academy of Agriculture); **HARALD KUNZ** (Brandenburg, Germany); **QABIL MANAFOV** (Dean of Comms Faculty of Azerbaijan State Economical University); **IOSEB MASURASHVILI; SHALVA MACHAVARIANI** (Vice-Prasidenrt of Caucasus University in sciens field); **MURTAZ**

**MAGRADZE; JAKOB MESKHIA; ELGUJA MEQVABISHVILI; TEA MUNJISHVILI; DAVID NARMANIA; TEDONINIDZE; ETERSARVELADZE; GELASVIRAVA; AVTANDILSILAGADZE** (Corresponding-member of Georgian national Academy of Science); **MIRIAN TUKHASHVILI; SLAVA FETELAVA; RUSUDAN KUTATELADZE** (Dean of Humanitarian-Social Faculty of Georgian Technical University); **LARISA KORGANASHVILI; TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI** (Lecturer of Tbilisi Academy and Seminary); **LALI CHAGELISHVILI** (Dean of Business and Management Faculty of Tbilisi Economical Relations and Law University); **MICHAEL CHIKVILADZE; LEO CHIKAVA** (Rector of Paata Gugushvili University, Corresponding-member of Georgian national Academy of Science); **NIKO CHIKHLADZE; AVTANDILCHUTLASHVILI** (Rector of Tbilisi Economical Relations State University); **AKAKI TSOMAIA; ZAZA TSOTNIASHVILI** (Rector of Gori University); **NODAR KHADURI; ETER KHARAISHVILI; REVAZ KHAREBAVA; MERAB KHMALADZE; DAVID JALAGONIA** (Dean of Economics and Business Faculty of Suxumi State University); **JAMLET JANJGAVA** (Deputy of Editor-in-Chief); **DIMITRI JAFARIDZE** (Dean of Business and legal Faculty of Ilia Chavchavadze State University); **EMZAR JGERENAIA** (Editor-in-Chief of magazine "Economy of Georgia"); **MICHAEL JIBUTI; JEANNETTE HOMMES** (Maastricht, Netherlands).

## სამართლოს ბამედი

## ამო-დაზღვანი

## მისამართი ბპმრდი

10

## მაცხოველი

რეგაზ ბგელესიანი – თავისუფალი მეწარმეობის პრიორიტეტები . . . . .	16
ბრიბოლ თოდუა – ეკონომიკური პრინციპების სისტემური ანალიზის სათავეებთან . . . . .	20
ჯამლებ ჯანჯღავა – ეკონომიკური ზრდა და სახელმწიფოს პოლიტიკა . . . . .	26
ზოორგი ნანუაშვილი – ადამიანური რესურსების ბუღალტრული აღრიცხვის	
თავისებურებები . . . . .	32
ნოდარ ვარამაშვილი – სინერგეტიკა და მისი კავშირი ეკონომიკასთან . . . . .	36
შოთა ვეშაპიძე, ნუბჩარ ბაბუაძე – ცივილიზაციის, კულტურის და ღირებულების	
ცნებათა მიმართვა . . . . .	40
არჩილ იაკობაშვილი – გაცელის კურსის განსაზღვრა სავალუტო სუბსტიტუციის	
პირობებში (გირტონის მოდელი) . . . . .	49
<b>ELDAR M. ISMAILOV – COLLAPSE OF THE SOVIET RUBLE ZONE AND DISSOCIATION OF THE NATIONAL CURRENCIES OF THE CENTRAL EURASIAN COUNTRIES . . . . .</b>	53
<b>IOSEB MASURASHVILI – INNOVATIVE METHODS OF MANAGEMENT OF CONSTRUCTION</b>	
BUSINESS IN THE EU . . . . .	60

## PAATA KUNCHULIA – FINANCIAL MANAGEMENT CHARACTERISTICS OF GEORGIAN AND GREEK BANKS .. 64

<b>СЕРГЕЙ ЯКУБОВСКИЙ, ГЕОРГИЙ ШКАБАРИН – СРАВНИТЕЛЬНЫЙ АНАЛИЗ УСТОЙЧИВОСТИ ПЛАТЕЖНЫХ БАЛАНСОВ СТРАН ЮЖНОЙ ЕВРОПЫ И ГРУЗИИ В УСЛОВИЯХ ВЫХОДА ИЗ МИРОВОГО ФИНАНСОВО-ЭКОНОМИЧЕСКОГО КРИЗИСА . . . . .</b>	76
--	----

## 300 წელი კასპის

82

## ავტომობილის მართვის სისტემი

86

## მავარქიანი ახალ ზოგადადა


„საიუბილეო კრებული: ეკონომიკა და გლობალიზაცია“ . . . . .	88
„საქართველოს ეკონომიკა: ახალი ეპოქა“ . . . . .	90

## სხალი სისტემი

92

## ერთიანი რესადისახ

ქავერასიის სტრატეგიული ქვლევის ინსტიტუტი . . . . .	93
--	----



## CONTENTS

### EDITORIAL PAGE

### ECO-DIGEST

### MAIN PAGE

### SCIENCE

REVAZ GVELESIANI – PRIORITIES OF FREE ENTREPRENEURSHIP .....	16
GRIGOL TODUA – AT THE BEGININGS OF ECONOMICAL PRINCIPLE'S SYSTEMIC ANALYSIS .....	20
JAMLET JANJGAVA – ECONOMIC GROWTH AND STATE POLICY .....	26
GIORGİ NANUASHVILI – ACCOUNT REGISTRATION'S ORIGINALITY OF HUMAN RESOURCES .....	32
NODAR VARAMASHVILI – SYNERGETICS AND ITS RELATION TO THE ECONOMY .....	36
SHOTA VESHAPIDZE, NUGZAR BABUADZE – NOTION'S RELATEOF CIVILIZATION, CULTURE AND VALUE .....	40
ARCHIL JACOBASHVILI – EXCHANGE RATES UNDER THE CURRENCY SUBSTITUTION (Girton Approach) .....	49
ELDARM. ISMAILOV – COLLAPSE OF THE SOVIET RUBLE ZONE AND DISSOCIATION OF THE NATIONAL CURRENCIES OF THE CENTRAL EURASIAN COUNTRIES .....	53
IOSEB MASURASHVILI – INNOVATIVE METHODS OF MANAGEMENT OF CONSTRUCTION BUSINESS IN THE EU .....	60
PAATA KUNCHULIA – FINANCIAL MANAGEMENT CHARACTERISTICS OF GEORGIAN AND GREEK BANKS ..	64
SERGEYYAKUBOVSKIY, GEORGIY SHKABARIN - COMPARATIVE ANALYSIS OF THE SUSTAINABILITY OF BALANCES OF PAYMENTS OF THE COUNTRIES OF SOUTHERN EUROPE AND GEORGIA DURING THE RECOVERY FROM THE GLOBAL FINANCIAL AND ECONOMIC CRISES .....	76
<b>QUESTIONS AND ANSWERS</b>	83
<b>FOREING ECONOMIC NEWS</b>	86
<b>REVIEWS ABOUT NEW BOOKS</b>	
"JUBILEE COLLECTION: ECONOMIC AND GLOBALIZATION" .....	88
"ECONOMY OF GEORGIA: NEW EPOCH" .....	90
<b>NEW BOOKS</b>	92
<b>LETTER TO EDITOR</b>	
INSTITUTE OF STRATEGIC STUDIES OF THE CAUCASUS .....	93

## მკონებელისადან

გვინდა მილოცვით დაგიწყოთ ჩენი მიმართვა  
მეითხველისადმი: მიმდინარე წლის ოქტომბერში  
ჩენი უკრნალის რედკოლეგიის წევრი, კონომიკურ  
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რევაზ  
კაპულია დაჯილდოვდა ივანე ჯავახიშვილის  
მედლით, რასაც მოელი რედკოლეგიის სახელით  
გულოცავთ მას. ბატონი რევაზი ათეული წლების  
მანძილზე ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ  
მოღვაწეობას. მისი სამეცნიერო შრომები ფინანსების  
თეორიის, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის, ფულის  
მიმოქცევის, საჯარო ფინანსების პრობლემებთან  
დაკავშირებით ცნობილია და აღიარებული  
მეცნიერ-ეკონომისტთა შორის. ის წლების მანძილზე  
მოღვაწეობდა სახელმწიფო აღმასრულებელ  
სტრუქტურებშიც. კიდევ ერთხელ გულოცავთ ბატონ  
რევაზს ამ ერთ-ერთ სამეცნიერო უმაღლეს ჯილდოს,  
დიდხანს სიცოცხლესა და კვლავაც ნაყოფიერ  
მეცნიერულ მოღვაწეობას უსურევებთ.

ჩვენ მოხარული ვიქწებით, ჩვენი რედკოლეგიის  
სხვა წევრების წარმატებები მომდევნო ნომრებშიც  
გაუწყოთ ჩვენი უზრნალის მკითხველებს, ოუკი ამის  
საფუძველი გვიქმნაბა.

წინა ნომერში ჩვენ გულტდით, რომ 2009 წელს  
ქურნალ „ახალი ეკონომისტის“ ვურცლებზე  
გამოქვეყნებული საუკეთესო სტატიის ავტორი  
დაჯილდოვდებოდა 100 ლარით. გამოკითხვა  
ჩატარდა რედკოლეგიის წევრებს შორის  
კლექტორონული ფოსტის მეშვეობით და სამწუხაოოდ  
დევრმა ვერ მიიღო მონაწილეობა ამ შეფასებებში  
სხვადასხვა მიზეზების გამო. ჩვენ მაინც  
გადავწყვიტეთ შეგვეჯამებინა სარედაქციო  
კოლეგიის წევრების მხრიდან შემოსული  
შეფასებები. ოთვემის ერთნაირი შეფასება პქონდათ  
ბატონ გრიგოლ თოდუასა და ბატონ ლეო  
ჩიქაგას სტატიებს. საუკეთესო სტატიებს შორის  
დასახლებული იქნ ბატონ რევაზ გელეგიძინისა

და ქალბატონ ლალი ჩაგელი შვილის  
სტატიებიც. საბოლოოდ, პირველი და საპრიზო  
ადგილი წილად ხვდა ბატონ გრიგოლ თოდუას  
სტატიისათვის „ეკონომიკათმცოდნეობის  
ზოგადსოციოლოგიური და ღვთისმოსაობითი  
ასპექტები“. ჩვენს მიერ გამოცხადებული  
საპრიზო ფონდი, - 100 ლარის ოდენობით, -  
რედაქციის გადაწყვეტილებით 200 ლარამდე  
გაიზარდა და აღნიშნული თანხა რედაქციის  
სახელით ბატონ გრიგოლ თოდუას გადაეცა.

გვინდა აქედანვე გამოვაცხადოთ, რომ 2010 წლის საუკეთესო სტატიისათვის, რომელიც გამოქვეყნდება ჩვენს ურნალში, დაწესებულია საპრიზო ფონდი 1000 ლარის ოდენობით. გმუშაობთ და რედკოლეგიის არა ერთმა წევრმა აგვიბა მხარი სპონსორების მოძიებაში, რომ მეორე და მესამე ადგილებზე გასული სტატიის ავტორებიც დაჯილდოვნენ შედარებით ნაკლები ფულადი ჯოლოთი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დღეიდანვე მივმართავთ ჩვენი ქურნალის რედკოლუგის ყველა წევრს, რომ თადარიგი დაიჭირონ და აქედანვე დაიწყონ საუკეთესო სტატიების შერჩევა, რათა უფრო დამაჯერებლად და პრეზენტაბელურად ჩავატაროთ საუკეთესო სტატიის გამოვლენისა და პრიზის გადაცემის ცერემონიალი. ამ ღონისძიების უმთავრესი მიზანია მეცნიერების, ამ შემთხვევაში მეცნიერ-ეკონომისტთა წახალისება, რომელიც მორალურად, ისე მატერიალურად.

და ბოლო, აგერ უკვე რამდენიმე დღე დარჩა  
ერთ-ერთ უდიდეს დღესასწაულამდე – აღდგომამდე უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. წინასწარ გულოცავთ ჩვენი ჟურნალის ყველა მკითხველსა და სრულიად საქართველოს ამ ბრწყინვალე თოვლასწაწლოს. აფარავდეთ უზალი გზაზე.

ლობ ქარჩავა  
29.03.2010

## TO THE READER

We want to start this appeal to our reader by the congratulation: the member of our editorial board, Doctor of Economics, Professor Revaz Kakulia was rewarded by the order of Ivane Javakhishvili, and we congratulate him by the name of our editorial board. Mr. R. Kakulia was holding scientific - pedagogical work for many years. His scientific researches about financial theory, public financial problems are well-known and valued by the scientist-economists. We congratulate Mr. R. Kakulia for the second time and wish him to live for a long time and have new success in his scientific activity.

We will be glad to inform our reader about the success of other members of editorial board, if it is possible. In the preceding journal we informed our reader, that the author of the best article published in the magazine „New Economist” 2009, would be rewarded by 100 GL. The inquire was held by the e-mail. Unfortunately, some members of editorial board, for the different reasons, did not take part in this inquire. But, we have also decided to make a decision from the opinions that gave us the other members of editorial board. As it is cleared, the best articles are Mr. Grigol Todua’s and Mr. Leo Chikhava’s works, which had almost the same estimation. What’s more, among the best articles

there also were named the articles of Mr. Revaz Gvelesiani and Mrs. Lali Chagelishvili. Finally, the first place with the pecuniary prize got Mr. Grigol Todua for the article „General sociological and theological aspects of economical knowledge”. The monetary fund considered by us – 100GEL - was increased to 200GEL and this sum was given to Mr. Grigol Todua by the name of editorial board.

At last, we want to say, that the journal „New Economist” continues the competition – to expose the best articles published in the magazine and mark, that the author of the best article published in 2010 will be rewarded by 1000 GEL. Besides, we try to gain more money and the members of editorial board also like our idea. So, it is not impossible, that the articles of the second and the third place will also be given monetary prize, but their sum will be smaller.

And, we ask the members of our editorial board to begin choose the best articles to hold the ceremony of rewarding more persuasively. The most important purpose of this action is to encourage economical science in moral and material way.

Finally, in a few days there is the biggest celebration the Easter. We congratulate our reader and all Georgia. Let the God bless and protect you in all your way.

LOID KARCHAVA  
29.03.2010

# ეკო-დაიზენტი

„საქართველოს ბანკი“ პოზიციებს  
იმყარებს

„საქართველოს ბანკი“ 2009 წლის შედეგები შეჯამა. მიმდინარე კრიზისული წლის მიუხედავად, ბანკმა წელი მნიშვნელოვანი ფინანსური მოგებით დაასრულა. კერძოდ, 2009 წლის III კვარტალში „საქართველოს ბანკის“ მთლიანმა შემოსავალმა 61,5 მილიონი ლარი შეადგინა, წმინდა მოგებამ კი 10,8 მილიონი ლარი.

2009 წელს „საქართველოს ბანკში“ მნიშვნელოვნად გაიზარდა კლიენტთა დეპოზიტების მოცულობა. მაგალითად, წლეულს იანვრიდან ნოემბრამდე „საქართველოს ბანკში“ კლიენტთა დეპოზიტები 16,6%-ით გაიზარდა და 1,1 მილიარდ ლარს გადააჭარბა. იზიური პირების დეპოზიტების თვალსაზრისით, 2,8-ით გაიზარდა „საქართველოს ბანკის“ საბაზრო წილი.

2009 წლი II ნახევარში ბანკმა სხვადასხვა ტიპის სესხებზე საპროცენტო განაკვეთები შეამცირა და გაზარდა ყოველთვიური დაკრედიტების ლიმიტი. მაგალითად, მიკროსესხების საპროცენტო განაკვეთი 16%-მდე შემცირდა, იპოთეკურ სესხზე – 14,5%-მდე, ავტოსესხების – 16%-მდე, სამომხმარებლო სესხზე კი – 18%-მდე.

ამასთან, ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ 2009 წლის III კვარტალში, „საქართველოს ბანკში“ შეჩრდა ვაღაგადაცილებული სესხების ზრდა და II კვარტალთან შედარებით, საერთო მაჩვენებელმა 6%-ით იკლო.

სურსათის უსაზრობოების  
პონტონული მხოლოდ 2015 წლის შემდეგ

„სურსათის უკნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონი პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 2005 წლის ბოლოს, ოუმცა მისი მოქმედება (სახელმწიფო კონტროლი და ინსპექტირება) დროებით 2006 წლიდან იქნა შეჩრდული. მოგვიანებით, ორჯერ მოხდა კანონის მანამდებრივი მინისტრის მიერ მიმღებელის მიერ მიღებული და ის საბოლოოდ 2010 წლის იანვრიდან უნდა ს

შესულიყო ძალაში, მაგრამ საბოლოოდ კანონის მთლიანი ამნიქმედების ვადამ გადაიწია 2015 წლამდე.

ამ უკანასკნელმა გადაწყვეტილებამ სერიოზული შეშფოთება გამოიწვია ქართველ ქარებებთა შორის, რომლებიც ჩვენს სასურსაო ბაზარზე შექმნილ სიტუაციას ისედაც სავალალოდ მიიჩნევენ.

## სამშენებლო სექტორში გამოცოცხლება ბრძელდება

2009 წლის III კვარტალში, II კვარტალთან შედარებით, სამშენებლო ბრუნვა 21%-ით გაიზარდა, I კვარტალთან შედარებით კი 88%-ით და 353,2 მლნ. ლარს მიაღწია. სექტორში III კვარტალში 350,1 მლნ. არის პროდუქცია გამოუშვა (I კვარტალში იყო 186,9 მლნ. ლარი, II-ში 291,7 მლნ.). I კვარტალში სექტორში დასაქმებული იყო 22.754 ადამიანი, ხოლო III-ში კი 31.391-მდე დასაქმებულთა სამუშალო ანაზღაურება ამ ეტაპზე შეადგენს 770,6 ლარს.

## მთავრობის ახალი ინიციატივა ადგილობრივი წარმოების დაცვას ემსახურება

ადგილობრივი წარმოების დაცვისა და იმპორტთან კონკურენციული პირობების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს მთავრობის ინიციატივა მხარდაჭერილ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ და 2010 წლის იანვრიდან 12%-იანი საბაზო განაკვეთით დაიბეგრება საქართველოში განხორციელებული იმპორტი – კარტოფილის, საკვები ზეთის, ქარის, შოკოლადის, აგრეთვე პლასტმასის ნაწარმის, ელექტროკაბელების, ხის მორქების, პიგიენური საშუალებების, შამპუნის, ტუალეტის საპნის, სხვა დასაბაზო საშუალებების, სარეცხი და საწმენდი საშუალებების. ასევე, დაიბეგრება სამშენებლო და სარემონტო მასალების იმპორტი – მათ შორის, პანელების, ფილების, ბლოკების და სხვა მსგავსი

## ბაქო-დაიჯესტი

შენარმის, რომელიც ცემენტით, თაბაშირით ან სხვა მინერალური შემცველი ნივთიერებებით იქნება წარმოებული. დაბეგვრის ობიექტი იქნება აგრეთვე ყველა სახეობის ლურსმანი, ხრახნები, ჭანჭიკები. გარდა ამისა, აღნიშნული ცელილება შეეხება იმპორტირებულ ჭურჭელს, აბაზანისა და სამზარეულოს მოწყობილობებს, ყველა სახის ღუმელს. გაზრდილი ტარიფით დაიბეგრება საიუველირო ნაწარმიც.

სამაგიუროდ საბაჟო გადასახადი განუდღება სიმინდზე, დაღერდილ მარცვლეულზე, ბურბუშელაზე, წიწიბურაზე, პერკულებზე, სალათის ფურცლებზე, ხილის ექსტრაქტებზე, კერამიკულ თიხებზე, აზბექტებზე და კვარციტის მარილზე.

### სარკინიგზი მაგისტრალი შევერხების გარეშე შენდება

ბაქო-თბილისი-ყარსის სარგინიგზო მაგისტრალის მშენებლობა გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს. ს/ს „აზერბაიჯანის რკინიგზის“ მთავარ ინჟინერ გურბან ნაზიროვის განმარტებით, სამუშაოები მიმდინარეობს საქართველოსა და თურქეთის ტეროპორიქზე, გრაფიკოთან ჩამორჩენა არ შეინიშნება“. ცნობისათვის: ახალქალაქის სადგურის მშენებლობას აზერბაიჯანული კომპანია „კონტერი“ გაისად დაიწყებს და 2011 წლისათვის დაასრულებს.

მესამე პვარტალში ზვერზე მეტი ინვესტიცია მოვალეობაში შემოვიდა

მიმდინარე წლის მესამე კვარტალში 223.578.400 აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა საქართველოში. სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, ყველაზე მეტი მრეწველობაში შემოვიდა – 80 მლნ. 995 ათასი აშშ დოლარის ოდგნობით, მეორე ადგილზე კი ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროა – 63 მლნ. 934 ათასი დოლარით. რაც შეეხება მშენებლობას, მასში, ამ პერიოდში დაბანდებული იქნა 57 მლნ. 683 ათასი დოლარი. შეიძლება ითქვას, რომ ინვესტიციების შემოდინება გაუმჯობესებულია ყველა სექტორში, საბანკო სექტორის გარდა, სადაც პირიქით – 11,488 მლნ. აშშ დოლარის გადინებას აქვს ადგილი. ინვესტორ ქვეყანათა რეიტინგში ლიდერობენ

უკვე პტე (70 მლნ. აშშ დოლარი), ასამა (52,431 მლნ. აშშ დოლარი) და აშშ (35,084 მლნ. დოლარი), შემდეგ მოდიან თურქეთი (26,331 მლნ. დოლარი) და არაბეთის გაურთიანებული საემიროები (18,475 მლნ. დოლარი).

### დვინის ექსპორტი შემცირდა

საქართველოდან დვინის ექსპორტი 2009 წლის იანვარ-ნოემბერში, 2008 წლის იმავე პერიოდთან შედარებით 13%-ით (1,523 მლნ. ბოთლით) შემცირდა. ამ პერიოდში სულ ექსპორტირებული იქნა 10.015.392 ბოთლი დვინი. დვინის ექსპორტს 60 კომპანია ახორციელებს მსოფლიოს 48 ქვეყანაში. ექსპორტის უდიდესი წილი მოდის უკრაინაზე, კერძოდ, ექსპორტის 40%-ი.

### შემოსავლების სამსახურმა „ჯეოსელის“ სარჩევი არ დააკმაყოფილა

შემოსავლების სამსახურის დაუების განხილვის საბჭომ ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია „ჯეოსელის“ სარჩევი არ დააკმაყოფილა. კომპანიამ ახალი სარჩევი ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოში შეიტანა. საქმე ეხება კამერული შემოწმების შედეგად „ჯეოსელის“ 101 მილიონი ლარით დაჯარიმებას. საბჭოს მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში „ჯეოსელის“ შეუძლია ის სასამართლოში გაასაჩივროს.

### ულადი გზავნილები კლებულობს

2009 წლის ნოემბერში ქვეყნაში შემოსული ფულადი გზაგნილების მოცულობამ 72,4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც ოქტომბერის მაჩვენებელზე 10,3%-ით ნაკლებია. საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ეს ძირითადად რუსეთიდან მათი ნაკადების 6 მლნ. აშშ დოლარით კლებამ გამოიწვია. ასევე, ოქტომბერთან შედარებით, ნოემბერში 0,4 მლნ. აშშ დოლარით არის შემცირებული საქართველოდან საზღვარგარეთ ფულადი გადარიცხვების მოცულობა.

„სახალხო ბანკის“ ფირილ აძლიღონიშოთა  
სამურადლებოდ. . .

სს „სახალხო ბანკის“ წერილი აქციონერები  
მთავარი აქციონერის, Liberty Capital-ის (92,218%)  
შეთავაზებას აქციების გამოსყიდვის თაობაზე,  
არ გამოხმაურებიან. თუ მყიდველი საქციო  
საზოგადოების ხმათა საერთო რაოდენობის 50%-  
ზე მეტს აკონტროლებს, იგი ვალდებულია, ყველა  
დანარჩენ აქციონერს შესთავაზოს მათი აქციების  
გამოსყიდვა. ფასი 0,018 ლარით განისაზღვრა  
(რა ფასადაც, Liberty Capital-მა საკონტროლო პაკტი  
შეიძინა). წინადადება 2010 წლის 4 იანვრამდეა  
ძალაში.

#### ბრძელდება ციფრულის მქსპორტი

ქართული ციტრუსის ექსპორტიდან  
მიღებული შემოსავალი 50 მლნ. ლარს აღემატება.  
ქვეყნიდან 32 ათას ტონაზე მეტი ციტრუსია  
ექსპორტირებული. ყველაზე დიდი მოცულობით  
პროდუქცია უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანის,  
ბელორუსიის ბაზრებზე გადის და ექსპორტს 20-  
ზე მეტი კომპანია ახორციელებს.

#### საკომუნიკაციო პომაპია გაკოტრდა

საკომუნიკაციო კომპანია „ინფოტელმა“  
ფინანსური პრობლემების გამო შუშაობა  
შეწყვიტა. კომპანია საერთაშორისო ინდექს „819“-  
ისა და ობილისში 19 XX XX სატელეფონო

ცუმერაციის რესურსების მფლობელია. მან  
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული  
კომისიაში აეტორიზაცია 2006 წელს გაიარა სატელე  
სისტემების 10 წლიანი ლიცენზია 2003 წელს  
აქცების მიღებული.

#### „პარკ პაიატი თბილისის“ მშენებლობა დროებით შეჩერდა

საერთაშორისო კერძო ინვესტიციების  
ამერიკულმა კორპორაციამ (OPIC) სასტუმრო „პარკ  
პაიატი თბილისის“ მშენებლობისათვის საკრედიტო  
ხაზის გამოყოფაზე უარი განაცხადა. მანამდე  
პროექტიდან გასვლის გადაწყვეტილება  
რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპულმა  
ბანკმა (EBRD) მიიღო. ობილისში 5-ვარსკვლავიანი  
სასტუმრო „პარკ პაიატი თბილისის“ კომპანია  
„ლოიალ ესთეტიკ“ აშენებს. დაფინანსების  
მოძიებამდე, კომპანია პროექტის განხორციელებას  
დროებიტ აჩერებს. როგორის საინვესტიციო  
დირექტორების 250 მლნ. აშშ დოლარიდან 100 მლნ.  
აშშ დოლარამდე შემცირდა.

ეპო-დაიჯესტი ქართულ წყაროებზე „  
დაყრდნობით მოამზადა ილია ჭავჭავაძის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და  
სამართლის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტმა  
თამთა ვეტერანამ თამთა ვეტერანამ  
მკრთხების ახალი



უწმიდესისა და უნეტარესის,  
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-  
პატიიარქის  
ილია II  
2010-01-06



ქონგის

ქრისტეს მიერ საყვარელო  
ყოვლადსამღვდელონი მღვდელმთავარნო, მოძღვანელო,  
დიაკონნო, ბერ-მონიხონნო, ყოველნო მგვიდრნო  
საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებნო ჩვენო  
სულიერო შვილებო!

„ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლვევის სოფელსა“ (იხ. 16,33). „სოფელი ცდილობდა დაგვჭირვ, მაგრამ კერ დამიტირა“ (გრიგოლ საყაპოტავა)

გიხაროდეთ, „დამე იგი განგვეშორა და დღე შემოგვეხდა“ (რომ 13,12); აღსრულდა უდიდესი საიდუმლო ქრისტეს განცაცხისა; ზეიმობს ცა და ქვეყანა და წმიდა კლებიაც სიხარულით დაღადებს: „დღეს ქრისტე იშვების ბეთლეჟს ქალწულისაგან უბიწო სა, დღეს დაუსაბამო დაიბადების, სიტყვაი ხორცთა შეისხამს და ძალნი ცათანი აქებენ სიხარულით“; ამ გამოუთქმელ სიხარულს ვვზიარებით ჩვენც, ყველა და წმიდა კლებიასთან ერთად ვუგალობთ უფალს: „ქრისტეს შობასა ვაღიდებთ და აღვამაღლებთ დმიროსა დიდებულსა“.

რატომ განკაცდა უფალი? და რატომ არის დედამიწაზე მის მოვლინებასთან დაკავშირებით ახეთი დიდი სიხარული? დაუსაბამო იგი ხორციელი იქმნა, რათა ცოდვის მორევში დანოქმული კაცობრიობისათვის სსნის გზა ეჩვენებინა და უოფიერების ჭაობში შთაფლულთათვის სიკეთისა და ბოროტების გარჩევა ესწავლებინა; იგი განკაცდა, რომ გვეზემა საკუთარ თავზე გამარჯვება და კვლავ მარადიული ნებარებისა და სიცოცხლის შესხაძლებლობა მოვაკეობოდა.

საერთოდ, ადამიანი ნეტარებისათვის არის ღვთისგან შექმნილი. ამიტომაც ბელნიერებისა და სიამოგზებისაკენ ლტოლვა მისი ბუნებრივი ოფისება და სურვილია; ბელნიერება და სიამოგზება კი, სიყვარულს უქავშირდება.

ნებისმიერ პიროვნებას ყველაზე მეტად უყვარს  
ის, რაც ყველაზე მეტად სურს და ყველაზე მეტად  
სურს ის, რაც მას ყველაზე მეტ სიამოვნებას,  
სიხარულებას და ბერინგრებას ანიჭებს.

ვიდრე ადამი და უვა სამოთხეში მყოფობდნენ  
მათი ნეტარება ღმერთან კავშირიდან  
მომდინარეობდა. ღმერთან უშუალო კავშირი იყო  
მათი უმთავრესი მოთხოვნილებაც და ბელნიერების  
წეაროც.

ცოდვით დაცემის შემდგომ კი შეიცვალა მათი ბუნება, აღქმისა და აზროვნების წესი, რადგან უფლის სიყვარულით სავსე მათი გონება, გული და ნება შეიძილება ბოროტი ძალის დაჯერებით და მისი ნების აღსრულებით.

ამიტომ დაკარგეს ადამშა და ევამ სამოთხე და  
ღმერთი, როგორც ნეტარების უშრეტი წყარო და  
მიწიერი ყოფით მიიღეს ის, რაც მათს დაცემულ  
სულიერ მდგომარეობას შეეცერებოდა. ცოდვით  
დაცემის შემდგომ ადამიანებში გაჩნდა  
ბედნიერებისა და სიამოვნების მიღების  
სხვადასხვაგარი მოთხოვნილებანი, რაც დროთა  
განმაჟლობაში იცვლებოდა, თუმცა უმთავრესი  
ყოველთვის მაინც იყო სიმდიდრის დაგროვების  
სურვილი, პატივმოყვარეობა, სიამეთმოყვარეობა,  
თანამდებობისკენ სწრაფვა, აზარტული თამაშობანი,  
მრუშობა, სასმელით ან ნარკოტიკით გატაცება და  
ა.შ.. ამგვარ მოთხოვნილებათა დაქმაყოფილება  
არათუ მარადიულ ნეტარებას ანიჭებს ადამიანს,  
არამედ ამქვეყნადევ, წუთიერი სიამოვნებების  
ნაცვლად, სხველისა და სულის უმშიმეს დაკადებულებს  
იწვევს.

ბრძენს უთქამი - მხგავსი მხგავსს შეჭხარისო.  
და მართლაც, ამქეცნიურ ცხოვრებაშივე ყოველი  
ადამიანი ოფისი წესით ირჩევს გზას და ისწრაფვის  
დათა ხასუფლებლის ან ბოროტების მუტოვბისა. ა. ა.

როგორც წმ. გრიგოლ ნისევლი წერს „გაცი  
შორის ორთა საქმეთასა არს: ცოდვისა და  
სათნოებისა“. იგი ან კერპომსხაურია ან  
ლეთისმსახური, ან სიძვისმოქმედია ან სიწმინდის  
მატარებელი, სიმართლეს ესწრაფვის ან  
უსამართლობას, არის ამპარტავანი ან თავმდაბალი.  
ერთ-ერთის საბოლოო გამარჯვება მეორის

უცილობელ მოსკოპას ნიშნავს, რადგან „ღრმობისმასახურებისა დამტკიცება სიქუდილი არს კერპომსახურებისა, ეგრეთვე სიმართლისა მიერ მოიკვლის უსამართლობა „... და ა.შ.

ყოველი ადამიანი უნდა ეცადოს, ამქეფნადვე იპოვოს ღმერთი და მისდიოს მის გზას. ეს კი მხოლოდ მაშინ მიიღწევა, თუ უფლის ნებას (რაც მის მცნებებშია განცხადებული) ჩვენი პიროვნული ნებაც შეუერთდება; ანუ, თუ ვიცხოვორებო სასარგებისულად. ღვთაებრივი და ადამიანური ნების თანხვედრას სინერგია ეწოდება; სწორედ იგია ზეცად აღმყანებელი უდიდესი ძალა, რომელიც უველა დაბრკოლებას დაგვაძლევინებს და ამქეფნადვე გვაგრძნობინებს, რომ „სასუფეველი ჩენჭია“. „ითხოვდით და მოგვცეს ოქენე, ემიებდეთ და ჰიოფო, ირგვლივ და განგვლის თქვენ“, - ბრძანებს მაცხოვარი.

მაგრამ ხშირად ადამიანები, რომლებიც თავს მორწმუნებად მიიჩნევენ, ვერ აღწევენ იმას, რასაც ლოცვაში ითხოვენ. რატომ ხდება ეს?!

იაკობ მოციქულის ქაისტოლეში კითხულობთ: „ითხოვთ და არ გეძლევათ, რადგან ბოროტად ითხოვთ, რათა თქვენი გრძები დაიკმაყოფილოთ“ (იაკ.4:2). დიახ, ადამიანების ნაწილს მიაჩნია, რომ ხწამთ ღმერთი, და ამავე დროს ერთმანეთს ეჯიბრებიან მიწიერი კეთილდღეობის მოსაპოვებლად, ან შურთ, ცილს სწამებენ და განიკითხავენ სხვას, რაც მათს ლოცვას ძალას უკარგავს.

ზოგჯერ, ესა თუ ის პიროვნება, ერთი შეხედვით, შართლაც ქარჩე საქმეს აღასრულებს: შემოსავლის ნაწილს გასცემს, გაჭირვებულებს ეხმარება, ტაძარსაც აშენებს... მაგრამ თუ უოველივე ამას თავის გამოსაჩენად აკეთებს და სიკეთით ამპარტაცნობს, რა თქმა უნდა, მიუღებელი იქნება უფლისათვის და არც ასეთი ადამიანის ლოცვა შეისმინება. ზემოთქმული ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ღმერთი ამქეფნიური კეთილდღეობის სრული უარყოფისკენ მოგვიწოდებდეს ყველას. რა თქმა უნდა – არა, რადგან უფალი ჩვენგან მხოლოდ იმას ითხოვს, რომ არ გავხდეთ ხორციელ მოთხოვნილებათა მონები და მხოლოდ მიწიერი კეთილდღეობა არ იქცეს ჩვენს მამოძრავებელ ძალად; მაგრამ თუ თანამდებობას, ძალაუფლებას, სიმდიდრეს და ჩვენს სხვა შესაძლებლობებს არა საქართვი, „მეს“ წარმოსაჩენად, არამედ უფლის სადიდებლად (რადგან უოველივე მისგან გვეძლევა) და მოყვასის მსახურებისათვის გამოვიყენებთ, ღვთისსათხოდ ვიცხოვორებთ. წმიდა წერილი გვაწავლის:

„სიყვარული სოფლისა ამის, მტერობა არს ღმრთისა (იაკ. 44). „ვერვის ხელ-ეწიფების ორთა №1(16), 2010 წელი

უფალთა მინებად... ვერ ხელ-ეწიფების ღმრთისა მონებად და მამონა სა“ (მო. 6,24).

მაში, „დაემორჩილებით ღმერთსა და წილის აღუდებით ეშმაქსა“, მიუახლესით მას და მოგახლოს თქვენ (იაკ. 4,7).

მეტად სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ცოდვითი მიღრებისას უფრო და უფრო დრმად იღამს უქსეს ჩვენს ყოფაში. ცოდვა, როგორც ხორცმეტი, ადამიანისა და ეგას დაცემიდან მოყოლებული მუდამ არსებობდა, მაგრამ ადამიანის პქონდა სინანულიც. სულ შეძრული დავით წინასწარმეტყველი ასე წარმოაჩენს ამ მდგომარეობას: „ცოდვა ჩემი წინაშე ჩემსა არ მარადის“.

დღეს კი ცოდვაც ცოდვად აღარ მიიჩნევა და იგი ლამის ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებად წარმოგვიდგინონ. ამ ასრს, რომლის დამკვიდრებასაც უცხოეთში უკვე კარგა ხანია ცდილობები, ჩვენთანაც ეძლევა გასაქანი. ცოტა ხნის წინ უცხოვური სერიალებით დაიწყეს ხალხის ცნობიერების გადაგვარება, ახლა კი ჩვენი მოქალაქენი გამოჰყოფ უზნების დემონსტრირებისათვის. ცოდვის საკუთარ თავში მიღებითა და შეოთისებით ადამიანის სრული გამოფიტვა გმუქრება. ამაზე კი პასუხს აგებს ყველა, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ამისკენ უბიძგებენ დვოთის ხატად და მსგავსად შექმნილ ადამიანს; მაცხოვარი პრინციპის: „გაი მის კაცისა, რომლისაგან მოვიდეს საცდერი... (მო. 18,7) ... მისოთვის აჯობებდა წისქილის ქვა დაეკიდათ კისერზე და ზღვის უფსკრულში ჩაეძირათ“. (მო. 18,6) ასევე საშინელია სხვა მომაკვდინებელი ცოდვებით დამძიმებული ადამიანების ხევდრიც.

შეუძლებელი და შეუთავსებელია იყო ქრისტიანი და ამავე დროს - ნარემანი, ქრისტიანი და - ლოთი, ქრისტიანი და - მრუში, ქრისტიანი და - ქურდი... ამგვარ საქმეთა მოქმედი თავს ნუ მოიტყუებენ და ნუ ინუგეშებენ, ისინი ცათა სასუფეელს ვერ დაიმკიდრებენ.

ადამიანი თავისი დაცემული ბუნებით ცოდვისკენა მიღრეკილი და შეიძლება ის, ნებით თუ უნებლივდ, სხვადასხვა ცოდვაში ჩავარდეს, მაგრამ მას უნდა პქონდეს მონანიებისა და გამოსწორების სურვილი, რწმუნა უფლისა და ღმერთი აუცილებლად დაეხმარება და მიანიჭებს მაცხოვნებელ მადლს.

ეპისტოლებში ასევე მინდა, შევეხო ჩვენი საზოგადოებისთვის აქტუალურ და მტკიცნეულ ზოგიერთ სხვა საკითხსაც და, პირველ რიგში, უერადლებას გავამახვილებ თანამედროვე ადამიანის სულიერ და ინტელექტუალურ მხარეზე განათლების რეფორმისას დაშვებულმა შეცდომებმა შედეგად მოგვიტანა ის, რომ მოზარდები ცოდნის შეძენის სურვილს უკვე ნაკლებად ამჟღავნებენ. სამეცნიერო მოვლაწეობა კი არაპრესტიულად მიაჩნიათ, რადგან ხედავენ რომ ინტელიგენციას სათანადო დაფასება

## მთავარი გვერდი

არა აქვს (ისინი ხომ საშუალო ფენის დონეზეც კი ეს ინახავენ ოჯახს).

ეს მდგომარეობა უნდა გამოხვრდას. მეცნიერების განვითარების გარეშე ქვეყანას არა აქვს მომავალი, რადგან ერთს სულიერებისა და განათლებისა ერთ-ერთ უმთავრეს ძალას სწორედ ისინი წარმოადგენენ.

ჩვენ თავს ვხრით და დიდად ვაფასებთ იმ თავდადებას, რომელიც კომუნისტური რეჟიმის პერიოდში გამოიჩინეს ჩვენმა მეცნიერებმა და ათეიისტური ყოფის მიუხედავად, შეძლეს ხალხისათვის სწორი ორიენტირების შენარჩუნება.

გავიხსნოთ ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, პავლე ინგოროვება, დიმიტრი უზნაძე, თელო სახოკია, გრიგოლ ლორთქიფანიძე, შალვა ნუცებიძე, ივანე ბერიტაშვილი, მაქსიმე შარაძე, ფილიმონ ქორიძე და სხვა მრავალი. მიუხედავად იმისა, რომ ისინი იყვნენ შევიწროვებულნი, დამცირებულნი და ყოველდღე ელოდნენ დაპატიმრებას..., მათ არა მარტო დაიცვეს, არამედ გამდიდრებს ჩვენი ეროვნული ფასტელობანი, დაიცვეს როგორც თავისი, ისე ქვეყნის ღირსება.

ჩვენ უნდა გვქონდეს ჭეშმარიტებაზე დაფუძნებული ანალიტიკური აზროვნების უნარი, რომ გავარჩიოთ, რა არის მისაღები და რა უარსაყოფი, გაფიაზროთ, როგორ დავძლიოთ ესა თუ ის პრობლემა, რა გაეკეთოთ იმისათვის, რომ ადრე დაშვებული შეცდომები აღარ გავიმეოროთ და შეეძლოთ მომავლის სწორი პროგნოზირება. ჩემი დიდი ხნის ოცნებაა, სკოლაში იყოს ანალიტიკური აზროვნების კურსი, რაოთ მოზარდი თაობა აღრიცვული ასაკიდანვე მიწვიოს განსჯისა და სწორი ნაბიჯების გადადგმას.

ვფიქრობ, აუცილებელია ისეთი საგნის შემოღებაც, რომელსაც, მირითადად, აღმხრდელობითი დანიშნულება ექნება. ეს საგანი ისევე უნდა ისწავლებოდეს როგორც სხვა საგნები, მაგ: ისტორია, ფიზიკა, ლიტერატურა, მათემატიკა. რაოთ მომავალი თაობა მოვამზადოთ ცხოვრებისათვის.

იგი უნდა მოიცავდეს ურთიერთობის კულტურას ოჯახში და ნათესავებთან, ურთიერთობას მეგობრებთან და თანატოლებთან, უფროს და უმცროს თაობასთან, აქ უნდა ისწავლებოდეს საზოგადოებრივი თავშეყრის აღგილება და სუფრასთან ქცევის წესებს, როცემ სიტუაციების დაძლევის გზები და, რა თქმა უნდა, ცოდნისა და შრომის სიყვარული.

შრომის გარეშე ცოდნას ვერ შევიძენ და ვერც მოვიხმართ; შრომის გარეშე ვერ შევქმნით ვერც სახელმწიფოს. ადამიანის პარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია როგორც ინტელექტუალური, ისე შემოქმედებითი და ფიზიკური.

შრომა. თუმცა ზოგიერთს მიაჩნია, რომ ვიზუალური შრომა ამცირებს პიროვნებას. ეს გრასტორი შეხედულებაა. იგი ღვთისაუკანია და კანმრთელობისათვის კეთილდღეობისა და ჯანმრთელობისათვის დადგენილი ცხოვრების წესია.

გარდამავალმა პერიოდმა, რომელიც თოქმის 20 წელია გრძელდება, მრავალი პრობლემის წინაშე დაგვაუყნა. განსაჯუთობით ის, რომ ჩვენს წარსულსა და დღევანდელობაზეც ვრცელდება არასტორი ინფორმაცია, თითქოს მირველი ქართული მიწები ჩვენი მეზობელი ერების ისტორიული სამყვიდრებელი იყო; და ამით შუღლი და დაპირისპირება ითესება დიდი ხნის მანძილზე მშეიღიობითა და ურთიერთობაგებით მცხოვრებ ჩვენს ხალხებს შორის. მაგალითად, ოხები კომპაქტურად არიან დასახლებულნი საქართველოს სხვა და სხვა კუთხებშიც, და ეს ტერიტორია ისეთივე საქართველოა, როგორც ცხინვალის რეგიონი. ეწ. სამხრეთ თხეთი და სხვა აეტონომიებიც კომუნისტური რეჟიმის დროს შექმნილი ხელოფნური წარმონაქმნია.

მიუხედავად მომხდარისა, მჯერა, ქართველები, აფხაზები, ოსები და სხვანი, მკვიდრნი საქართველოისა, იყვნენ და კვლავაც დარჩებიან ძმებად და დადგება ის კურთხეული დღე, როცა ჩვენ ურთიერთს შეუწყდოთ მმათაკლის ცოდვებს და ერთად ავაგებთ შერიგების ძეგლს, რომელიც იქნება გაფრთხილება მომავალი თაობებისათვის, რომ მსგავსი რამ ადარასოდეს განმეორებელი.

ქართველი ადამიანი ბუნებით მოსიყვარულე და შემწყარებელია. ტოლერანტობა ჩვენ წიგნებიდან არ გვისწავლია, ეს ჩვენი თვისებაა. ამის ნათელი გამოხატულებაა ის, რომ საუკუნეთა მანძილზე ამ მიწაზე უპრობლემოდ ცხოვრობდებინ და ცხოვრობენ სხვა და სხვა ეროვნებისა და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლები, რომლებიც მეგობრობითა და მოყვრობით არიან ქართველ ხალხთან დაკავშირებულნი. ჩვენი ხასიათის ნათელი გამოხატულება ვაჟკაცობითა და მებრძოლი სულით განთქმული მხარის, საქართველოს მოინცების დიდებული შეილის, ვაჟა-ფშაველას საოცარი სიტყვები:

„ბალახი ვიყო სათიბი, არა მწადიან ცელობა, ცხვრადევე მამყოფე ისევა, ოღონდ ამშორდეს მგლობა“. დას, შინაგანად ასეთია ქართველი კაცი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი ოდესებ შეეგუება სამშობლოს ერთიანობის ხელყოფას. სამშობლო დედამიწის ის ადგილია, რომელიც ამა თუ იმ ადამიანს, ამა თუ იმ ერს დათის განგმბულებით ებობა.

სამშობლო, რა თქმა უნდა, არის გარევეულ საზღვრებს შორის არსებული ტერიტორია, ის

ბუნება, ის წიაღისეული, ის ფლორა და ფაუნა, რასაც ეს ტერიტორია მოიცავს, მაგრამ სამშობლო არის კიდევ უფრო სხვა... სამშობლო შენი წინაპრების ძვლებით გაპოხიერებული მიწაა, შენი ენით გაჯერებული პაერია, შენი გენით, შენი ხასიათით დატერიტული გარემოა. აქ, ამ სივრცეში მყოფობს მთელი ისტორია ერისა და ქვეყნისა, და ეს ყოველივე თითოველ ჩვენგანთან უხილავი, მაგრამ ძალიან ძლიერი ველით არის დაკავშირებული.

ამიტომაც, სამშობლოს არა აქვს ოდენ მიწიერი, მაგრამიალური სახე. მის განსაკუთრებულობას დიდად განაპირობებს ისიც, თუ რამდენად მრავალრიცხოვანი წმინდანთა დასი ჰყავს ერს სულიერ მეოხად ლეთის წინაშე. ამ მხრივ, საქართველოს თითქმის ვერავინ შეედრება. სამშობლოსათვის გულანოებული გმირები საქართველოს არასოდეს დაელევა.

ჩვენს ერს ქართული ენის სახით უდიდესი საუნჯე აქს და მას თითოეული ჩვენგანი უნდა გაუფრთხილდეს; ჩვენს ენაში განცადებულია ჩვენი ისტორია, ჩვენი მსოფლალქმა და აზროვნების წესი. ენა არ არის მარტო კომუნიკაციის საშუალება. დააკვირდით, მაგალითად, ასეთ სიტყვებს: წუთისოფელი, სამშობლო, დედამიწა, გარდაცვალება, თავისუფლება, განათლება და სხვა ... თითოეული მათგანი როგორი ფილოსოფიური სიღრმითაა დაგვირთული! ქართული ენის სისავსეს, მის დიალექტთა და კილო-კავთა მრავალფეროვნება, ქართველი კაცის განცდის სიღრმე და მდიდარი სულიერი სამყარო განაპირობებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სიძველის და საუკუნეთა მანძილზე განცდილი ცელილებების მიუხედავად, არ გაწყვეტილა კავშირი ძველ და თანამედროვე ქართულ ენას შორის, რაც მის დიდ სიცოცხლისუნარიანობაზე მეტველებს.

პოი ჩვენო ენავ, ჩვენი მწუხარებისა და სიხარულის მესაიდუმლევ, ცისარტყელასავით შშვიდობისმომყენო, მყინვარივით საეტაკო და ოერგივით მშვიდოვარევ. ჩვენო ხელთუქმნელო სვეტი, ცამდე ამაღლებულო, საუკუნეთა ქარტეხილში გამოვლილო ლერწამო, საძირკველო და მტკიცე ფუქვე ჩვენო, ჩვენთა საუნჯეთა შემქმნელო და დამცველო, მთების ძლიერებავ, მეფევ და დარაჯო ჩვენი ერის რწმენისა, ერთობისა და მთლიანობისა.

არაერთხელ მოუნდომებია ავისმდომელს შენი შელახვა, შენი მოსაობა. დღესაც, როდესაც ჩვენს წინაშეა უმნიშვნელოვანესი ამოცანა ტერიტორიული მოლიანობის აღდგენისა, თანდაოან იზრდება მეორე, არანაკლები საფრთხე ენობრივი დაშლისა; არიან ისეთი ძალები, რომელიც ნაკლებად მოაზროვნე ადამიანებს უბიძგებენ, რომ ითარგმნოს ბიბლია ან სხვა წიგნები მეგრულად,

სგანურად, ლაზურად და მოამზადონ ნიადაგი იმისათვის, რომ ახლო მომავალში ქართულობრივი ეს განმტრიცებანი უცვე ცალკე უნებად გამოიცხვდონ მსოფლიოში ვრცელდება რუქები და კვალიფიკაციები, თითქოს საქართველო აჭარლების, ლაზების, სვანების, მეგრულების, თუშების და სხვათა ხელოვნური გაერთიანებაა, თითქოს ყველას ჩვენ-ჩვენი ენა და კულტურა გვაქვს. ამით უნდათ ჩვენი ერის სხვა და სხვა ეროვნულ გაერთიანებებად წარმოჩენა. აქედან კი სახელმწიფოს დაშლამდე ერთი ნაბიჯია.

კაცობრიობა ახალი ტიპის დაპირისპირებაზე, - ინფორმაციულ ომზე გადავიდა და იგი ძირითადად, მასმედიის საშუალებით ხორციელდება. აშკარაა, რომ ჩვენს წინააღმდეგ სხვა და სხვა მიმართულებით მიმდინარეობს ინფორმაციული ომი და ამ ყოველივეს შესაბამისი საშუალებებითვე უნდა გაეცეს პასუხი. \* \* \* ჩვენი საზოგადოება ეკლესიისგან მრავალწლიანი გაუცხოების შემდეგ კვლავ უბრუნდება რწმუნას და ეს ბუნებრივი, თანდაოთანობითი პროცესია. მართალია, აღდგა გარეგნული სახე ჩვენი ქრისტიანული ცხოვრებისა: აშენდა მრავალი ტაბარი, კელესიები გაიცხო ხალხთ, გამრავლდა სასულიერო პირთა რიცხვი, ჩვეულებად იქცა საეკლესიო წესებისა და საიდუმლოებების აღსრულება (ნათლობა, წესის აგება, ჯერისწერა, სახლის კურთხევა...), მაგრამ დღეს უკვე აუცილებელია ჩვენი საზოგადოების უფრო სიღრმისულ სულიერ განვითარებაზე ზრუნვა. ჩვენ გამოვედით ეგვიპტიდან - ცოდვის მონობიდან, მაგრამ აღთქმულ მიწაზე, სულიერ იურუსალიმში ჯერ არ შეესულვართ. უდაბნოს გზაზე ჩვენი მსველელობისას ზოგჯერ თავს იჩენს ცოდვითი ცდომილებანი. ამის ყველაზე მეტი გამოხატულებაა ჯვარდაწერილ წყვილთა ხშირი განქორწინება, ნარკომანია და აბორტი. არ შემიძლია არ შეეხეო ახალგაზრდებში გავრცელებულ ერთ მეტად მძიმე სენსაც - ბილწინიტეგაობას; რატომდაც ასეთი მეტყველება მათში კარგ ტონად და ვაჟეაცობად ითვლება. სინამდვილეში კი, ეს არის დაბალი კულტურისა და აზროვნების ადამიანების შინაგანი სამყაროს გამოვლინება. ყმაწვილები ხშირად საკუთარ დედასაც შეურაცხოფენ და ზოგჯერ ვერც აცნობიერებენ, რას ამბობენ. ეს არის უკიდურესი სიბილწე და უდიდესი ცოდვა, რითაც ადამიანი ეშმაგის თანაზიარი ხდება. საერთოდ, ყოველი სიტყვისათვის ადამიანი ასეუს აგებს დვთის წინაშე. განსაკუთრებით კი სახტიკად დაისჯებიან მშობლების მაგინებელი. ეს დანაშაული იმდენად მძიმეა, რომ ძველ აღთქმაში დედ-მამის მხოლოდ ავადმასებრების კი ქვით იქოლებოდნენ.

## შ მთავარი გვერდი

ე ეთხოვ ჩვენს ახალგაზრდებს, საერთოდ უარი თქვან ბილწიტყვაობაზე და განსაკუთრებით კი, დედასთან მიმართებაში. ერთად შევთხოვოთ დმირთს, მოგვანიჭოს მადლი „უძლურთა მკურნალი და ნაკლულევანთა აღმავსებელი, რათა, დეთის შეწევნით, შევდლოთ ცოდვათაგან გათავისუფლება: ‘შეუფერ ზეცათო, ნუჯშინისტცმელო, სულო ჰეშმარიტგბისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე აღავხებ მადლითა შენითა, საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო, მოვედ და დაემკვიდრე ჩვენს შორის და წმიდა მყენ ჩვენ ყოვლისაგან ბიწისა და აცხოვნენ სახიერო სულნი ჩვენნი“. \* \*

\* ამ ბრწყინვალე დღეს ყველა ჩვენგანის წინაშე დგას კითხვა: იშვება ოუ არა ბეთლემს შობილი მაცხოვარი ჩვენს გულშიც? უნდა გვახსოვდეს, რომ უფალი დაიბადა არა დიდებულ სასახლესა და სამეფო პალატებში, არამედ ყველასგან მიტოვებულ უბრალო ბაგაში და ამით მაგალითი უჩვენა და თავმდაბლობისკენ მოუწოდა მთელ კაცობრიობას. მუდამ უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ‘ამპარტგანთა შემუსრავეს დმერთი, ხოლო თავმდაბალთ მოსცემს მადლს’. რატომ არის ასე??!

იმიტომ, რომ ადამიანს მხოლოდ საკუთარი ძალით, სიკეთის გაკეთება არ ძალუძს და ამის ნიჭი მას მხოლოდ უფლისაგან ეძლევა. ვინც ასე არ ფიქრობს და წარმატებებს მხოლოდ საკუთარ თავს მიაწერს, ამპარტავნების მორევში იძირება. დმერთი მას ტოვებს და ის უფლებები და შესაძლებლობები, რომელიც დვთისაგან პქონდა ბოქებული, ერთმევა; ამის ნათელი მაგალითია მეფე საული, რომელიც თავიდან თვით უფლისაგან იყო გამორჩეული, მაგრამ საკუთარი ნებით ამპარტავნების ცოდვა დაეუფლა, და ბოლოს, მეფობაც დაკარგა და, მასთან ერთად, ყვლაფურიც საულის მსგავსად, დავით წინასწარმეტყველიც ისრაელის მეფედ იყო დადგენილი, მაგრამ თავისი თავმდაბლობით იგი თაობებისათვის სინანულის მაგალითად დარჩა. ხალხისათვის ყოველთვის ის წინამდოლია პატივსაცემი და საყვარელი, რომელიც ლირსეულია და თავმდაბალი.

საქართველოს ისტორიაში ამის არაერთი მაგალითი გვაქვს. გავისხენოთ წმიდა მეფე დავით აღმაშენებელი, თავმდაბლობის ნიმუშია მისი „გადობანი სინანულისანი“. წმიდა თამარი - თავისი ხელსაგმით გლახაკთათვის საზრდელის მიმცემი და დაუცხრომელი ლოცვით სამშობლოს დამცველი მეომრებისათვის შემწე. ბერად შემდგარი ჩვენი დიდებული მეფები - დემეტრე I, დავით X, თემიტრაზ I... თავმდაბლობით და თავისი უბრალო ცხოვრებით გამორჩეული იყო მეფე ერეკლე II. როდესაც ძალაუფლების და დიდების მწვერვალზე მყოფი ხელისუფალი თავმდაბლობის ასეთ უწეველო

მაგალითს გვიჩვენებენ, რამდენად უფრო შეტანილი გვასწავლის, ძველ აღთქმაში უკუჭურებული და თავმდაბალი მოსე წინასწარმეტყველი იყო, რომელსაც სწორედ ამ თვისების გამო მიეცა შესაძლებლობა, პქონოდა დმერთონ უშესალო ურთიერთობა; ახალ აღთქმაში და, საერთოდ, ყველაზე თავმდაბალი აღამიანთა შორის დვთისმშობელია. იგი სიწმინდისა და ამ განსაკუთრებული მადლის გამო შეიქმნა დირსი გამხდარიყო დედა დვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იქსო ქრისტესი. სამყაროს შემოქმედი - დმერთი ეტვირთა და წიაღი თვისი ცათა უკრცელეს ყოვ. თითოეული ჩვენგანის და საერთოდ, ჩვენი ერის უმთავრესი პრობლემა ის არის, რომ გვაკლია თავმდაბლობა და გვგონია, რომ ჩვენი ძალებით, ჩვენი ჰქუთა და უნარით შევძლებოთ წარმატებების მიღწევის, რაც მადლის მოპოვებაში ხელისშემშლელ გარემოებად იქცევა. დმერთის გარეშე თვით ანგელოზებსაც არ ძალუქმ არარა, მითუმეტეს ჩვენ. ამ დიდებულ დღეს მუხლოდმორეკით, უმორჩილესად შევთხოვ ყოვლადწმიდა სამებას, მოგვანიჭოს თავმდაბლობა და თითოეული ჩვენგანის გული ჰყოს ბეთლემის ბაგად, რომელშიც იშვება დმერთ-კაცი იგი - იქსო ქრისტე. დიდება შენდა, უფალო, მაცხოვერო ჩვენო, რომელი განცდასა ჩვენთა ცოდვათასა მოგვანიჭებ და დაცემულთა აღგვადგინებ! დიდება შენდა, უფალო, რომელი აღგვაგსებ ჩვენ მადლითა შენითა და გვაზიარებ საუკუნო ხეტარებასა შენსა!

დიდება და მადლობა შენდა, უფალო, რომელი აღგვაგსებ სიხარულითა, სიყვარულითა და იმედითა შენითა! გიხაროდენ, ყოვლადწმიდაო ლეონიშმობელო, შვენიერო შროშანო, რომლისაგან გამობრწყინდების მაცხოვარი. გიხაროდენ, რომლისა მიერ წყვავი მოაკლების, გიხაროდენ, სიწმიდისა ტაძარო, ძისა შენისა მადლისა მომფენელო. ქართველნო და ყოველნო ერთგულნო მევიდრნო საქართველოისა! - „ითხოვდით და მოგეცეს თქუებ; ეძიებდით და პპოვოთ; ირკვდით და განგერდოს თქუებ“ (მათე, 7,7).

არ დაუცეო, არ შედრეკო, არ შეუშინდეთ დროს, არ დაკარგოთ იმედი დვთისა, იმედი მომავლისა; არ დაკარგოთ სიყვარული მოყვასისა; იყავით მოყვარენი შრომისა და ცოდნისა!

„ნათელი ქრისტესი განგვანათლებს ყოველთა“. იხარეთ ორსავე სოფელსა შინა.

ჩვენთან არს ღმერთი!

სიყვარულით თქვენთვის მღოცველი ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქი



რევაზ ბველაშვილი  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის  
ხელმძღვანელი, სრული პროფესორი

„ძნელია ელოდო პოლიტიკური თავისუფლების სიცოცხლისუნარიანობას  
თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციული ბაზის გარეშე“

მ. ფრიდმანი

თავისუფალი მეწარმეობის პრიორიტეტები ჰქონის საზოგადოებრივი და ეკონომიკური სისტემის შედეგია. საზოგადოებრივი და ეკონომიკური სისტემის შესაბამისობა ზემოქმედებას ახდენს მეწარმეებზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ვინც „ერთი სისტემის“ თვალსაზრისით მოქმედებს, ამავე დროს „მეორე სისტემის“ მიზნებსაც ითვალისწინებს. ორივე სისტემა საკუთრების იმ სტრუქტურიდან გამომდინარეობს, რომელიც უპირატესობას კერძო საკუთრებას ანიჭებს.

თავისუფალი მეწარმეობის ორ ძირითად – საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კონკურენციულ-პოლიტიკურ – პრიორიტეტთან ერთად დეტალურად უნდა განვიხილოთ მისი კიდევ ორი მიზნების განვითარება თვალსაზრივი ზემოქმედება, რომლებიც ეკონომიკური პოლიტიკის მიზნის შემადგენელი ნაწილებია და რომლებსაც საერთოდ და განსაკუთრებით კი ტრანსფორმაციის პროცესისათვის დიდი მიზნებილობა ენიჭებათ. ესენია: სტრუქტურულ-პოლიტიკური და დასაქმებით-პოლიტიკური ქმედებანი.

ძალაუფლების დეცენტრალიზაცია და პიროვნული თავისუფლების „სივრცეების“ აღქმა განსაკუთრებული ზომით დამოუკიდებელ მეწარმეს მიეწეობა, ვინაიდან ის არა მხოლოდ პიროვნულად, არამედ აგრეთვე ეკონომიკურად სხვათა პასუხისმგებლობის სფეროდან თავს აღწევს, ძალაუფლების რაღაც ნაწილს იდებს და საკუთარი განვითარების შესაძლებლობებს ქმნის. ეკონომიკურ ცხოვრებაში თავისუფლების ასპარეზი ხელშეკრულების თავისუფლებით იქმნებოდა, რაც თავის მხრივ მეწარმეობის დამოუკიდებლობაშიც ვლინდება.

მცირე და საშუალო მეწარმეობის საზოგადოებრივი ფუნქცია ხშირად კავშირების ან პოლიტიკოსების მიერ სახელმწიფო დახმარების მოთხოვნების დასასაბუთებლად გამოიყენება, ამზომ სწორედ ამ სფეროშია მნიშვნელოვანი აღნიშნული მეწარმეობის პოლიტიკის განსაზღვრულ „საზომ“ სიდიდეებზე ორიენტირება. ასეთ ინდიკატორად გამოიყენება დამოუკიდებელთა რიცხვი ანდა მათი ქვემოთ მოქმედების თავისუფლება და ამგვარად თავისი წელი შეიტანოს ძალაუფლების დეცენტრალიზაციაში.

ეკონომიკური და საზოგადოებრივი სისტემა ასეთი ადამიანების მიერ უნდა იქმნებოდეს, მაგრამ არ არის გამორიცხული რომელიმე ქვეყანაში ან რეგიონში ეკონომიკური აქტიურობის „იმპორტირება“ გარედან, მაშინ, როცა მოსახლეობა თავისი ქვეყნის ან საკუთარი რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას თვითონ უნდა გაუძლეს და მასზე აქტიური ზემოქმედება მოახდინოს.

ბაზრის ყოველი სუბიექტის თავისუფლება, თვითონ გადაწყვიტოს დამოუკიდებელი მეწარმეობა, დიდად არის დამოუკიდებული კონკურენციის მოქმედებისუნარიანობაზე, რადგან თავისუფლებისაბაზო ეკონომიკა ხშირად დეგრადაციის ტენდენციებს (მაგალითად, მონოპოლიის შექმნა) ავლენს, ამიტომ მეწარმე სისტემის პოლიტიკურ ჩარჩოს უნდა დაეყრდნოს.

დეგრადაციის ტენდენციების საპირისპირო რეკომენდაციები მოიცავს დონისძიებებს ყოველგვარი ძალაუფლების კონცენტრაციის დაშლით დაწყებული (ატომისტური კონკურენცია)

და ოლიგოპოლიით, როგორც ბაზრის „იდეალური“ ფორმით დამთავრებული (ფუნქციონირების უნარიანი კონკურენცია). გერმანიის ეკონომიკური პოლიტიკა მიისწავის ყოველ ბაზარზე ჰყავდეს მცირე და საშუალო მეწარმეთა საკმარისი რაოდენობა, აგრეთვე კარტელის კანონის ფარგლებში იგი ეწინააღმდეგება მონოპოლიზებასა და უფრო დიდ ძალაუფლებათა კონცენტრაციას. შეფასება, არის თუ არა კონკურენცია ბაზარზე ფუნქციონირებისუნარიანი, ხორციელდება იმ კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც საშუალებას იძლევიან შეჯამდეს კონკურენციის სამი იერარქიულად მოწესრიგებული განზომილება:

ბაზრის სტრუქტურა;

მიმწოდებლების მოქმედება ბაზარზე და ბაზრის შედეგი.

მცირე და საშუალო საწარმოებთან დაკაეშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბაზრის სტრუქტურა, რადგან ეს უკანასკნელი სწორედ ამ საწარმოების სიდიდეთა სტრუქტურით განისაზღვრება. გერმანიის ეკონომიკურ სისტემაში მცირე და საშუალო საწარმოებს გააჩნიათ ფუნქცია, რომ მიმწოდებლებისა და მომხმარებლების საქმარისი რაოდენობით წინ აღუდგნენ ბაზრის „დაბყრობას“ და მის ბოროტად გამოყენებას. ამასთან, „საქმარისით“ მცირე და საშუალო საწარმოები არა „უბრალოდ „, რაც შეიძლება დიდი რაოდენობისაკენ“ მიისწავიან, არამედ სულ უფრო მეტად ზრუნავენ ბაზარზე მცირე და დიდი საწარმოების გაწონას წორებულ დამოკიდებულებაზე. ეს მოთხოვნა აისახა აგრეთვე საწარმოთა სიდიდებზე დამჭარებულ სტრუქტურულ პოლიტიკაშიც.

ემპირიული გამოკლევებისათვის, უწინარეს ყოვლისა, წარმოიშვება პრობლემა, თუ როგორ გამოიყურება ოპტიმალურ სიდიდეთა სტრუქტურა რელევანტურ ბაზრებზე. ამ პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობები გვთავაზობს, მაგალითად, კონცენტრაციის განსხვავებულ ზომებს, რასაც გერმანიაში მონოპოლიური კომისია იყენებს კარტელების გამოსაკლევად. რადგან ეკონომიკურ ცხოვრებაში ერთმანეთს კონკურენციას უწევს არა ყველა საწარმო, არამედ მხოლოდ ისინი, რომლებიც მსგავს პროდუქციას აწარმოებენ ან გასაცვლელად აწევიან, ამიტომ კონკურენცია ბაზრის ცალკეულ ნაწილებზე შეიძლება შეფასდეს. ამ რელევანტურ ბაზრებზე კონკურენციის შესახებ გამოთქმული მოსაზრებანი შეიძლება შეგვევდეს საწარმოების სიდიდეთა სტრუქტურასთან ან ბაზრის წილთან დაკავშირებით. შესაძლებელია, აგრეთვე, საწარმოთა კონკურენციის მდგრამარეობის ზოგადი აღწერა, რაც,

მაგალითად, შეიცნობა საწარმოთა დარსების ან ბაზრიდან გამოსვლის მიმდინარე უზრუნველყოფას, კონკურენცია ცალკეულ ბაზრებზე საჭარბებული სრულიად განსხვავებულ სიდიდეთა სტრუქტურებზე და საბაზრო ურთიერთობებზე შენდება. ამის მაგალითებია, სურსათით საცალო ვაჭრობა, რაც ოლიგოპოლიის სტრუქტურას უფრო დიდი საწარმო კრიტერიუმით წარმოადგენს, ან სასტუმრო საქმიანობა, რომელშიც სრულიად განსხვავებული სიდიდის მრავალი საწარმო უპირისპირდება ერთმანეთს.

სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში ცხოვრების პირობების ერთიანობა აქტიური სტრუქტურული პოლიტიკით მიიღწევა. ამასთან, განასხვავებენ:

სექტორულ სტრუქტურულ პოლიტიკას, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ცალკეულ დარგებში ცვალებად მოთხოვნებისა და წარმოების პირობების შესაბამისობაში მოყვანას;

რეგიონულ სტრუქტურულ პოლიტიკას, რომელმაც ეკონომიკური საქმიანობის გაწონასწორებული განაწილების ფარგლებში უნდა იმოქმედოს და

საწარმოთა სიდიდეებზე დამყარებულ სტრუქტურულ პოლიტიკას, რომელმაც საწარმოების განსაზღვრული სიდიდეების სტიმულირებით უნდა დააჩქაროს ცვალებად საბაზრო პირობებთან ადაპტაცია.

დიდი და მცირე საწარმოების „ჯანსაღი“ შერწყმით მცირე და საშუალო საწარმოებმა შესაძლებელი უნდა გახადონ საწარმოების სიდიდეთა სტრუქტურის სწრაფი შესაბამისობა ბაზრის ცვლილებებთან. ამასთან, არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, ეს ცვლილებები მომხმარებლის მხრიდან მომდინარეობს, მაგალითად, მომსახურების უფრო გაძლიერებული დაგვირთვით, თუ მიმწოდებლის მხრიდან, მაგალითად, ახალი ტექნოლოგიების დანერგვით.

ადაპტაციისუნარიანობა შეიძლება შეეხებოდეს როგორც ცალკეულ საწარმოს, ასევე ბაზრის სტრუქტურას. დიდ საწარმოებთან შედარებით მცირე საწარმო ერთეულების უფრო მაღალი შესაბამისობისუნარიანი მოქნილობის კავლება მიზნად ისახავს, უწინარეს ყოვლისა, საწარმოთა ინფარქტურ მოღვაწობას. მართალია აშშ-ში, აგრეთვე გერმანიაშიც მცირე და საშუალო საწარმოების მოქნილობის უპირატესობანი აღიარებულია, მაგრამ კრიტიკას ვერც ისინი გადაურჩნენ. ინოგაციური მოქმედების გვერდით მეწარმის პიროვნებაც განიხილება, როგორც განსაკუთრებული შესაბამისობის უნარის მქონე მაგრამ ამ სფეროში ჩატარებულმა გამოკლევებმა ცხადყო, რომ სწორედ ამაშია მცირე და საშუალო საწარმოების არა

მხოლოდ ერთ-ერთი განსაკუთრებული სიძლიერე, არამედ ერთ-ერთი უდიდესი სისუსტეც.

შესაბამისობის აღნიშვნული პროცესები მიმდინარეობს არა მხოლოდ მთელი ეკონომიკის მასშტაბით, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ცალკეული დარგების შიგნით. გერმანიაში ძლიერი სტრუქტურული ცვლილებები შეიმჩნეოდა საცალო გაჭრობასა და ბეჭდვით საქმეში. ეს ცვლილებები იზომებოდა მცირე და საშუალო საწარმოების წმინდა რაოდენობრივი განვითარების ან მათი დასაქმების ამსახველი ციფრობრივი მონაცემების მიხედვით. შესაბამისობის უზნარიანობის ინდიკატორად შეიძლება აღებული იქნას აგრეთვე საწარმოების ინოვაციისუნარიანობა, რადგან იგი გვიჩვენებს თუ რა მასშტაბით „შეეწყობიან“ საწარმოები ბაზრის ცვლილებებს.

დასაქმების საერთო ეკონომიკური სიტუაციისათვის მცირე და საშუალო საწარმოების მხრივ, მხედველობაში პირველ რიგში მათი მასტაბილიზებელი ზემოქმედება მიიღება (სამუშაო აღილების შემნა). დიდ საწარმოებოთ შედარებით მცირე და საშუალო საწარმოების დასაქმების განსხვავებული პოლიტიკის ახსნის ცდები თითქმის ისეთივე მრავალრიცხოვანია, როგორც მათი ცნებისა. დისკუსია ეხება, უწინარეს ყოვლისა, მოქნილობის პიპოთეზას და ტექნოლოგიის პიპოთეზას. პირველის თანახმად, მცირე და საშუალო საწარმოები უფრო მოქნილი ორგანიზაციის საფუძველზე დროულად რეაგირებენ მოთხოვნის ცვლილებებზე და ბაზრის ნიშებს მომხმარებლებთან დიდი სიახლოების გამო შედარებით სწრაფად გრძნობენ. ტექნოლოგიის პიპოთეზა იქნად გამომდინარებოს, რომ მოთხოვნის სტრუქტურები ინდივიდუალურად და ხარისხობრივად დიფერენცირებული საქონლისა და მომსახურების სასარგებლოდ იცვლება და ამით ხდება მასობრივ წარმოებაზე უარის თქმა. ასეთმა „მოძრაობამ“ წარმოება კვლავ მცირე მეწარმეობის პირობებს უნდა მიუახლოოს.

ამ პრობლემატიკის უფრო ახლოს გაცნობის გარეშე შეუძლებელია საერთოდ დასაქმებისათვის მცირე და საშუალო საწარმოების პოზიციური როლის შეფასება. მათ მასტაბილიზებელი ეფექტი აქვთ შრომის ბაზარზე და კრიზისების დროს უფრო მეტ სამუშაო აღილებს ქმნიან, ვიდრე დიდი საწარმოები. გერმანიაში მცირე და საშუალო საწარმოები შრომისუნარიანი მოსახლეობის ორ მესამედს ასაქმებს. აღმოსავლეულ გერმანიაში მცირე და საშუალო საწარმოები ახალი სამუშაო აღილების შექმნით გადაიქცა ყოფილი

სახელმწიფო საწარმოებიდან გამოთავისუფლებული სამუშაო ძალის მიმდევ რეზერვუარად. გვიპოვთ

თუ რამდენად ახორციელებს მცირე და საშუალო მეწარმეებია ახალი სამუშაო აღილების შექმნის მიზანს ტრანსფორმაციის პროცესში, ანუ ახდენს თუ არა იგი დადებით ზემოქმედებას დასაქმების პოლიტიკაზე, პირველ რიგში მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობით შეიცნობა. დამატებითი ინფორმაცია შეიძლება მოგვცეს აგრეთვე პროფესიული მომზადებისათვის გამოყოფილი სამუშაო აღილების რიცხვმა. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა როგორც მომავალი დასაქმების, ასევე დარგების განვითარება გამოვიყენებით. დასაქმების თვალსაზრისით მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს აგრეთვე საწარმოა ინვესტიციები. მზარდი ინვესტიციური დანახარჯების საფუძველზე წარმოების გაფართოებას თან სდევს დასაქმების ზრდა.

აქ განხილული პრიორიტეტებიდან გამომდინარე შეიძლება კონკრეტულად ჩამოვაყალიბოთ თუ რა განასხვავებს მცირე და საშუალო საწარმოებს დიდი საწარმოებისაგან და რისი გათვალისწინება შეიძლება მათი გამოცდილებიდან.

წარმატება იწყება ნათელი და პრეტენზიული მიზნით: იყო საუკეთესო ან №1. ამისათვის კი აუცილებელია გრძელვადიანი ორიენტირება, კვალიფიციური თანამშრომლები და რეინის ნებისყოფა. ბაზრები ვიწროდ უნდა განისაზღვროს, სამეწარმეო საქმიანობა კონცენტრირებული უნდა იყოს ერთ სიმბიმის ცუნტრში (ძირითად კომპეტენციებზე), რადგანაც სპეციალისტები ხშირად „ამარცხებენ“ ზოგადად მცოდნების.

წარმატება საერთოდ მიიღწევა მხოლოდ გლობალური კომერციალიზაციით – ასე შეიძლება ბაზრის თვით უმცირესი ნიშებიც კი საკმაოდ დიდი გახდეს. ქვეყნების ცოდნა, აგრეთვე, ბაზრის პოზიციების რაც შეიძლება ადრე „დაპყრობა“ ქმნის გლობალური წარმატების საფუძველს.

საუკეთესო მომსახურება მომხმარებლებთან სიახლოების მნიშვნელოვანი ასპექტია. ეს არის მცირე და საშუალო საწარმოების სტრატეგიის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მოქნეტი. მომხმარებელი ხომ ყველგან საჭიროებს სერვისს, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი. ხშირად საწარმოები ახალ საქონლს ქმნიან და შემდეგ ცდილობებს ეს წინსვლა ინოვაციებით შეინარჩუნონ. ამასთან, სიახლეები ყოველთვის არა მხოლოდ ნაწარმს უნდა შეეხოს, არამედ მომხმარებელთა სფეროსაც, რადგან აქ ინოვაციები მნიშვნელოვან როლს თამაშობს.



ბრიბოლ თოდუა  
ეპონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

შესახვათის გარემონტინი

ეპონომიკური ინდივიდუალიზმის სისტემური ანალიზი პირებული და ავსტრიული სკოლაში მოგვცა. მან საფუძველი ჩაუყარა სუბიექტურ-ფიქოლოგიურ მიმართულებას ეპონომიკურ მეცნიერებაში და XIX საუკუნის უკანასკნელი მესამედის გასწვრივ თოთქმის გაბატონებულ მდგრამარეობას მიაღწია. ამ მეცნიერულმა მოძრაობამ უკიდურესი ინდივიდუალიზმის ხასიათი მიიღო და ზღვრული სარგებლიანობის თეორიის სახით ჩამოყალიბდა. ეს იყო მარჯინალური რევოლუცია, რომლის ლიდერები იყვნენ ვენის უნივერსიტეტის პროფესორები: მენგერი, ვიზერი და ბემ-ბავერკი. ავსტრიული სკოლის თეორიამ დასრულებული სახე ბემ-ბავერკის მოძღვრებაში მიიღო. ამის უდავო მოწმობა მისი ნაშრომი: „მეცნიერობრივი დოკუმენტის ფასეულობის თეორიის საფუძვლები“.

დირებულების პრობლემა ყოველთვის იღა მოწინავე მეცნიერთა უურადღების ცენტრში. ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული დღემდე მრავალი საფურადღებო იდეა ჩამოყალიბდა მისი არსისა და გამოვლინების ფორმების შესახებ. ახალი დროის ეკონომიკურ თეორიებს შორის ამ მხრივ უპირველესი ადგილი მაინც ზღვრული სარგებლიანობის ანუ უკიდურესი (კიდეზე მყოფი) სარგებლიანობის თეორიამ დაიკირა. მან საცვლელი დირებულების საფუძვლად საქონლის სუბიექტური სარგებლიანობა გამოაცხადა და ამით აშკარად დაუპირისპირდა შრომითი დირებულების თეორიას.

XIX საუკუნის გასწვრივ შრომითი დირებულების თეორიას სამი ძლიერი სკოლა აკრიტიკებდა მიუღაომელი სიმკაცრით: 1. ძველი გერმანული ისტორიული სკოლა; 2. სოციალური მიმართულება, ანუ ახალი გერმანული ისტორიული სკოლა; 3. მარჯინალური რევოლუციის შემოქმედი. პირებული ორის შემოტევას მან გაუძლო, მესამედ კი მის წინაშე ფაქტობრივი უპირატესობა მოიპოვა.

სახმარი დირებულებიდან დირებულების გამოყვანის ცდა ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში დაიწყო. ამ მეცნიერულ ძიებაში პირველი ადგილი ე კონდილიაქს ეკუთვნის. მოგვიანებით კი სახმარი დირებულებიდან დირებულების გამოყვანის საკითხთან დაკავშირებით საესხით დამაჯერებელი კონცეფცია წამოაყენა პ. ჟ პრუდონმა. ჰეგელის დიალექტიკის ზოგიერთი ფუძემდებლური დებულების გამოყენებით იგი შეცადა ეკონომიკურ მოვლენათა გამოაშკარავებას. მან სახმარი დირებულებისა და საცვლელი დირებულების თანაფარდობის საკითხის გაშუქების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქმნადობის დიალექტიკას, რომელიც არსისა და არას ერთიანობასა და ურთიერთგადასხვლაში ხორციელდება. მისი აზრით, დირებულება არის მარადიული იდეა, წმინდა გონების წინააღმდეგობრივი ერთიანობის ნაყოფი. ყველა ეკონომიკური კატეგორიის შინაგანი წინააღმდეგობრივი ბუნება დირებულებიდან იღებს სათავეს. ეს ერთიანობა გამოხატავს მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დაპირისპირებულთა ერთიანობას, რომელშიაც ნივთის სარგებლიანობა პოულობს საზოგადოებრივ აღიარებას. სარგებლიანობაში სახმარი დირებულება ხორციელდება და ეს უკანასკნელი გარდაიქმნება საცვლელ დირებულებად.

აზრთა ასეთი ლოგიკური მსვლელობის პროცესში პრუდონმა ჩამოაყალიბა ე. წ. კონსტიტუირებული ანუ სინთეზური დირებულების თეორია, რომლის მიხედვით მხოლოდ გაცვლაში ხორციელდება სახმარი რირებულებისა და საცვლელი დირებულების ნამდვილი ერთიანობა. შრომა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს დირებულების წყარო, როცა გაცვლის პროცესი ქმნის სახმარი დირებულებისა და საცვლელი დირებულების ერთიანობისა და ურთიერთგადასვლის პირობებს სარგებლიანობის წიაღში.

მაგრამ, XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედობა დირებულების სუბიექტურ-ფიქოლოგიურმა №1(16), 2010 წელი

კონცეფციებმა საფუძვლიანი გავლენა მაინც ვერ მოახდინა პოლიტიკურ ექონომიაზე. ამ დროიდან კი ექონომიკური მეცნიერება ისევ დაუბრუნდა თურიული საკითხების დამუშავებას და შრომითი დირექტულების თეორიას ორი იდეური მიმართულება დაუპირისპირა. პირველი იყო ავსტრიული სკოლა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა დირექტულების სუბიექტურ-ფიქოლოგიურ კონცეფციას, ხოლო მეორე – ინგლის-ამერიკული სკოლა, რომელმაც გვერდი აუარა ფიქოლოგიურ წანამდღვრებს, მაგრამ უფრო მეტი მონდომებით შეუდგა ამ წანამდგართა დასკვნების მათემატიკურ დამუშავებას და სდგრული სარგებლიანობის თვალსაზრისი განაწილებაზე და, საერთოდ, კონომიკური ყოფის ყველა მხარეზე გაავრცელა.

1854 წელს გერმან ჰაინრიხ გოსენმა გამოაქვეყნა წიგნი: „საზოგადოების გაცვლის კანონები და აქედან გამომდინარე საზოგადოებრივი ვაჭრობის წესების განვითარება“. მასში მოცემული დასკვნები შემდგომში საფუძვლად დაედო ავსტრიული სკოლისა და ინგლისურ-ამერიკული მათემატიკური სკოლის გონიერი მემკეიდრეობას. სწავლულ ეკონომისტთა საზოგადოებაში თავდაპირველად ამ ნაშრომმა სრულიად ვერ პოვა მნიშვნელოვანი აღიარება. ამის გამო ავტორმა მთელი გამოცემა შეისყიდა და გაანადგურა. მოგვიანებით 1882 წელს ამ წიგნის მეორე გამოცემა განხორციელდა, ხოლო შემდგომში იგი დაისტამბა იტალიურ (1950) და ინგლისურ (1983) ენებზე.

გოსენის მტკიცებით, ნივთის სარგებლიანობა მით უფრო კლებულობს, რაც უფრო იზრდება დოკუმენტის მარაგი. მან სარგებლიანობა განიხილა როგორც კვლევის ერთადერთი ობიექტი; მოგვცა ზღვრული სარგებლიანობის პრინციპების მათემატიკური შეფასება; ჩამოაყალიბა ეკონომიკურ-მათემატიკური თეორიის პირველი ვარიანტი; გვიჩვენა, რომ ამა თუ იმ დოკუმენტის ინდივიდუალური მოხმარების პროცესში ყოველი მისი მომდევნო ერთეულის სარგებლიანობა მცირდება და ზღვრულ შესაძლებლობამდე გაჯერებამდე ნულამდე ეცემა. ამ მეტად ნიშანდობლივ დასკვნაში გოსენის პირველი კანონის შინაარსი აისახა.

გოსენი, ჯეონისი, ვალრასი და, საერთოდ, მათემატიკური სკოლის გამოწენილი მოაზროვნები საესტი აღიარებენ უკიდურესი სარგებლიანობის თეორიას. თუმცა, ავსტრიული სკოლის მსგავსად, მათვის ადამიანთა მოთხოვნილებები სამეურნეო საქმიანობის ამოსავალი პუნქტია, მაგრამ მათემატიკოსები უფრო შორს მიდიან, მეტ უურადღებას აქცევენ იმ გარემოებას, რომ

სარგებლიანობა უოველთვის უალრესად სუბიექტური მოვლენაა. ზოგიერთი ნივთი მართლაც სასარგებლოა ადამიანთა ჯუფისათვის, ეჭირა და მოვლი კაცობრიობისთვისაც კი, მაგრამ ჩაგრძელდს სუბიექტური სარგებლიანობა ორი სხვადასხვა პიროვნებისთვის თვისებრივად განსხვავებულია, ამიტომ ფასი, რომელიც ყალიბდება ორ ადამიანს შორის გაცვლის პრიცესში, არ შეიძლება მოლიანად აიხსნას ადამიანთა ფსიქიკური სამყაროს ანალიზის გზით. მათემატიკოსები ამბობენ: „უცნობია ხიდი ორი ცალკე ადამიანის გრძნობებს შორის“.

სწორედ აქედან გამოდიან მათემატიკოსები და ფასების ახსნის დროს იყენებენ იმ მტკიცებულებებს, რომელსაც გოსენის მეორე კანონი ჰქვია. ამ კანონის მოთხოვნის მიხედვით, ადამიანი თვის სარგებლიანობას მაქსიმალურ შეფასებას აძლევს მხოლოდ მაშინ, როცა სხვადასხვა დოკუმენტს შორის თითოეულ საქონეზე საკუთარი უფლადი სახსრების განაწილებისას დახარჯული უფლის უკანასკნელი ერთეულიდან თანაბარ ქმაყოფილებას დებულობს. როგორც ჩანს, გოსენი ყველაზე ოპტიმალური გაცვლის აუცილებელ პირობად თვლიდა ადამიანთა შორის თითოეული პროდუქტის ზღვრული სარგებლობის გათანაბრებას. თითოეული პიროვნება საკუთარ ფულად სახსრებს ბიუჯეტის ცალკეულ მუხლებს ჰქვია შორის ისეთნაირად ანაწილებს, რომ ყველა მისი შესაძენი საგნის ზღვრული სარგებლიანობა თანაბარი იყოს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო გერმან გოსენი ზღვრული სარგებლიანობის აღიარებულ თუორუტიკოსად ითვლება. ამასთან, მან ეკონომიკურ-მათემატიკური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის სახელიც დაიმკვიდრა.

ლირებიულების (ფასეულობის) სუბიექტურია კონცეფციამ განვითარებული სახე ავსტრიული სკოლის იდეურ მემკვიდრეობაში მიიღო. აქ განსაკუთრებული ადგილი უდავოდ ბემ-ბავერების ნაშრომებს ეკუთვნის. მან ნათლად გამოყო ლირებულების (ფასეულობის) ორი სახეობა:

1. სუბიექტური ფასეულობა. მასში მოიაზრა ის მნიშვნელობა, რომელიც აქვს განსაზღვრულ მატერიალურ დოკუმენტების ერთობლივი სუბიექტის ეკოილდებობისთვის. ადამიანი მაშინ მსჯელობს ამა თუ იმ საგანზე, როგორც სუბიექტურ დირებულებაზე, როცა იგი ხედავს თავისი მატერიალური კეთილდღეობის მჭიდრო კავშირს აღნიშნულ საგანთან;

2. ობიექტური ფასეულობა. ეს არის მატერიალური დოკუმენტის მნიშვნელობა გაცვლის სფეროში, კ. ი. შესძლებლობა, მის სანაცვლოდ მიიღო განსაზრვრული რაოდენობის

სხვა მატერიალური დოკლათი; ამასთან, ამ შესაძლებლობას ბემ-ბავერკი განიხილავს როგორც მატერიალური დოკლათისთვის შინაგანად დამასახიათებელ თვისტას. თუმცა ამ ცნებებიდან ერთი საუბიექტური ხასიათისაა და მეორე ობიექტური. მაგრამ მას შესაძლებლად მიაჩნდა დოკლათის სუბიექტური ფასეულობიდან ობიექტური ფასეულობის გამოყვანა.

სუბიექტური ფასეულობის შინაარსის ნათელხილვის მიზნით ბემ-ბავერკი ასეთ მარტივ მაგალითს მიმართავს. ვთქვათ, ტყეში მარტო მცხოვრებ პირების ფილიანი ადამიანს სჭირდება ხუთი ტომარა პური. აქედან ერთ ტომარას იგი არსებობისათვის აუცილებელი მოთხოვნილების დაქმაყოფილებისთვის იქნებს, მეორეს – კვების გაუმჯობესებისთვის, მესამე – შინაური ფრინველების გამოკვებისთვის, მეოთხე – არყის გამოსახდელად, მეხუთე – თუთიყუშის გამოსაკვებად, „რომლის ლაყბობის მოსმენა მას უვარს“. ცხადია, ტყეში მცხოვრებ პიროვნებას თუ ხუთი ტომარა პური აქვს, იგი შეძლებს ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, მაგრამ თუ თოს ტომარა პურს ფლობს, მაშინ იგი იძულებული იქნება უარი თქვას თუთიყუშის მოსმენის სიამოვნებაზე. თუ მობინადრეს თრი ტომარა პური აქლია, ის იძულებულია უარი თქვას არყის დამზადებაზე. მესამე ტომრის დაკარგვა გამოიწვევს უარს შინაური ფრინველის ხორცის მოხმარებაზე და ა.შ. მეხუთვ ტომრის მნიშვნელობა ჩვენი მარტოხელასთვის შედარებით მცირეა, პირველ ტომარაზე კი თვით მისი არსებობა დამოკიდებული.

ამრიგად, მატერიალური დოკლათის თითოეული ერთეულის დირებულება განისაზღვრება იმ კონკრეტული მოთხოვნილებით, რომელიც დაუქმაყოფილებელი რჩება ამ ერთეულის დაკარგვის დროს. მაგალითად, თუ მარტოხელა ხუთი ტომარა პურიდან კარგაეს ერთს, ვერ დატკბება თუთიყუშის მოსმენით. ასეთ შემთხვევაში მოთხოვნილება, რომელსაც პური აქმაყოფილებს, იქნება არყის დამზადება. პურის უკიდურესი სარგებლიანობა კი უკანასკნელის მოთხოვნილების დაკმაყოფილებით გამოიხატება. ეს უკიდურესი სარგებლიანობა განსაზღვრავს თითოეული დანარჩენი ტომარა პურის სუბიექტურ ფასეულობას. იმ შემთხვევაში, თუ ტყის მობინადრე ინარჩუნებს ხუთივე ტომარა პურს და თავისი ხუთი მოთხოვნილების საფეხურებს თანმიმდევრულად იკმაყოფილებს, მაშინ პურის უკიდურესი სარგებლიანობა აისახება თუთიყუშის მოსმენაში, ხოლო დირებულება იქნება უფრო დაბალი, ვიდრე არყის დამზადების შემთხვევაში იყო. მატერიალური

დოკლათის ფასეულობა იზომება ამ დოკლათის უკიდურესი სარგებლიანობის სიდიდით, ეს დებულება ბემ-ბავერკს მიაჩნდა ტექნიკურ დოკლათის უკიდურეს ცენტრალურ პუნქტად.

მაგრამ, საქმარისი არაა ცალკეული მომხმარებლის ან მეურნე სუბიექტის მიერ დოკლათის შეფასების კრიტერიუმების გარკვევა. საჭიროა იმის ცოდნა, თუ როგორ წარმოიშობა ამ განსხვავებულ შეფასებათა საფუძველზე ერთანი საბაზო ფასი, ან როგორც ავსტრიული სკოლის თეორეტიკოსები ამბობენ, როგორ გადადის სახმარი დირებულება ბეიქტურ საცვლელ დირებულებაში, როგორ შეიძლება მოაზრებულ იქნეს ის შეფარდება, რომლითაც ერთი საქონელი იცვლება მეორეზე.

სუბიექტური ფასეულობა გაცვლითი ურთიერთობის პირობებში ბემ-ბავერკს თავდაპირეელად ობიექტურ ფასეულობაზე დამოკიდებულ მოვლენადაც კი მიაჩნდა, თითქმის მისგან წამოებულად გამოყავდა. მაგრამ ობიექტური საცვლელი ფასეულობის თავისებურებათა გაშუქების დროს სრულად საწინააღმდეგო დებულებას აყალიბებდა. მას მიაჩნდა, რომ ობიექტურ საცვლელ ფასეულობას ცალკეულ პიროვნებათა მიერ მატერიალური დოკლათის სუბიექტური შეფასების ტოლქმედი თვისება ახასიათებს. შემდგომში ეს დებულება მან საფუძვლად დაუდო ობიექტური საცვლელი ფასეულობის მისეულ მოძღვრებას.

გაცვლის პროცესის თითოეული კონტრაგენტი, ბემ-ბავერკის მტკიცებით, შემდეგი ძირითადი პრინციპით მოქმედებს: 1. იგი გაცვლაში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აქტი მისთვის სასარგებლოა; 2. ისეთ გარიგებაში ებმება, რომელიც მას მეტ სარგებლობას მოუტანს; 3. ნაკლებ სარგებლობაზეც კი მიდის, თუ გაცვლა ამ პირობებს ღდნავ მაინც აქმაყოფილებს. სასარგებლო გაცვლა ნიშნავს ისეთ გარიგებას, როცა შესასყიდ დოკლათს სუბიექტის კეათილდღებისთვის მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე იმ დოკლათს, რომელსაც იგი სანაცვლოდ იძლევა. გაცვლა ორივე კონტრაგენტისათვის ეკონომიკურად გამართლებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ურთიერთსაწინააღმდეგო გზით განსაზღვრავენ გასაცვლელ საგანთა ფასს. უმაღლესი გაცვლის უნარი შეიძლება პქონდეს მხოლოდ იმ კონტრაგენტს, ვინც საყიდელ ნივთს საკუთარ ნივთან შედარებით გაცილებით მეტად აფასებს.

ბემ-ბავერკი ფასების დამყარების ოთხ შემთხვევას განიხილავდა: **პირველი:** ფასები მყარდება მყიდველისა და გამყიდველის სუბიექტური

შეფასებით. მყიდველის სუბიექტური შეფასება არის ფასების ამაღლების საზღვარი, ე. ი. ბაზარზე მყიდველის მიერ შეთავაზებული თანხა ეს არის მაქსიმალური ანუ უმაღლესი ფასი, რომელსაც მყიდველი განსაზღვრავს. ამასთან, გამყიდველიც იძლევა გასაყიდი საქონლის შეფასებას. ეს არის საქონლის უდაბლესი ანუ მინიმალური ფასი. ბეჭ-ბავერი საბაზრო ფასის დადგენაში გადამწყვეტ როლს მყიდველის სუბიექტურ შეფასებას ანიჭებს. საბოლოოდ საბაზრო ფასს განსაზღვრავს მყიდველისა და გამყიდველის სუბიექტური შეფასებები, რომელნიც უახლოვდება ან ზოგჯერ ემთხვევა კიდევ ერთმანეთს.

წინააღმდეგ შრომითი დირექტულების თეორიისა, რომელიც საქონელთა გაცვლის ეპივალენტურობას აღიარებს, ბეჭ-ბავერი და, საერთოდ, ავსტრიული სკოლა ამტკიცებდა, რომ მხოლოდ შეფასებათა უთანასწორობის დროსაა შესაძლებელი საქონელთა გაცვლა. მყიდველი უფრო მეტად უნდა აფასებდეს საქონელს, კიდრე გამყიდველი, თანასწორ დირექტულებათა გაცვლა სარგებლობას არ იძლევა.

**მეორე:** ფასების ჩამოყალიბება მყიდველთა შორის ცალმხრივი კონკურენციის დროს. გასაყიდ ნივთს იძენს კველაზე უფრო ძლიერი კონკურენტი, ე. ი. ვინც კველაზე მეტად აფასებს საყიდელ ნივთს, ვიდრე გასაყიდს. ფასი მყარდება ნივთის მყიდველი კონკურენტის შეფასებით, როგორც მაქსიმუმის და დამარცხებული კონკურენტებისაგან კველაზე უფრო ძლიერი სუბიექტისა, როგორც მინიმუმის ფარგლებს შორის. ამავე დროს, თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს ფასის სხვა, მეორეხარისხოვანი მინიმუმებიც, რომელიც თვით გამყიდველის მიერ ნივთის შეფასებაში მდგრამარეობს.

**მესამე:** ფასის წარმოშობა გამყიდველთა შორის ცალმხრივი კონკურენციის პირობებში. ამ შემთხვევაში გაცვლით გარიგებას შეძლებს კველაზე ძლიერი კონკურენტი, ე. ი. ისეთი, რომლის გაცვლითი უნარიანობა კველაზე მაღალი იქნება და რომელიც საკუთარ ნივთს შესაძენ ნივთთან შედარებით დაბალ ფასს ადებს. საზღვრები, რომელშიც ფასები წესდება, განპირობებულია კველაზე ძლიერი გამყიდველის მიერ საკუთარი ნივთის შეფასებით, როგორც მაქსიმუმის ფარგლებში.

**მეოთხე:** ფასების წარმოშობა ორმხრივი კონკურენციის დროს. გარიგებაში მონაწილეობენ კველაზე უფრო ძლიერი გაცვლის უნარის მქონე კონტრაგენტები. მყიდველთა მხრივ ნივთის შეფასება ხდება კველაზე უფრო ძვირად, ხოლო

გამყიდველთა მხრივ ეს შეფასება ყველაზე უფრო იაფია. აქ ფასის დამყარების ზედა ზღვარს განსაზღვრავს გაცვლით გარიგებაში მონაწილეობა მყიდველთაგან უკანასენელის შეფასებია და გაძევებულ გამყიდველთაგან ყველაზე უფრო ძლიერის შეფასება. ქვედა საზღვარს კი – ყველაზე სუსტი ფაქტობრივი მყიდველისა და განდევნილ გამყიდველთაგან ყველაზე უფრო ძლიერის შეფასება. აქ ორმაგი საზღვრის დაწესება იმ აზრით უნდა გავიგოო, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ყოველთვის უფრო ვიწრო საზღვრებს ეძლევა. მოკლედ რომ ვთქვათ, საბაზრო ფასის სიმაღლე წესდება და განისაზღვრება ორი უკიდურესი წყვილის მიერ საქონლის სუბიექტური შეფასებით.

გამოდის, რომ ავსტრიული სკოლა კონომიკური თეორიის საგნად თვლიდა არა საერთოდ წარმოებით ურთიერთობას, არამედ ინდივიდუალურ მეურნეობას, ადამიანთა დამოკიდებულებას ნიეთთან. ასეთი მიღვიმა პირველ რიგში, ნაწილობრივ მაინც, მათი მეთოდოლოგიური ზრდიდან გამომდინარეობდა, რომელმაც ამ სკოლის მოძღვრებაში მკაფიოდ იჩინა თავი. სინამდვილის შემცნების მეთოდოლოგია კი არის თეორიული კვლევა-ძიების ის უცილობელი იარაღი, რომლის სწორი გამოყენება წინასწარ განსაზღვრავს მეცნიერული მუშაობის შედეგებს. მართალია, მარტინალიზმია ინდივიდუალიზმის წინაპლანზე წამოწევით დიდი წელი და არსებითად სწორი მიმართულება მინიშნა მეურნეობრივი სუბიექტების პრაქტიკულ საქმიანობას, მაგრამ ინდივიდუალიზმს უკიდურესი მნიშვნელობა მიანიჭა და ამით საზოგადოებრივი გარემოს როლი სუბიექტის ჩამოყალიბებაში გააფერმერთალა. ზღვრული სარგებლივიანობის სკოლის წარმომადგენლები არ უარყოფნ ეკონომიკური კანონების შესწავლის აუცილებლობას, მაგრამ ამ კანონებს სუბიექტურ-ფიქილოგიურ სფეროში ეძიებენ, ეკონომიკურ კატეგორიებს მარადიულად თვლიან. მათი უკიდურესი ინდივიდუალიზმის მეთოდოლოგია რობინზონადული მოტივებით არის გაედენთილი. სახალხო მეურნეობას ისინი მრავალი „სამეურნეო ატომის“, მრავალი ინდივიდუალური მეურნეობის შეჯახებისა და დაპირისპირების შედეგად თვლიდნენ; ეკონომიკური თეორიის საგნად მიიჩნევდნენ კაპიტალისტური საწარმოების, ფერმების და სხვა მისთანების შესწავლას; სინგულარული (განცალკევებული) მეურნეობრივი ერთეულების სამყაროს გამოკვლევას. თანამედროვე გადასახელიდან ასეთი შეხედულება არ შეიძლება უარყოთ. ამჟამად წერილი და საშუალო საწარმოების დაწესებული წინსვლა,

№1(16), 2010 წელი 23



განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, ეკონომიკური პროგრესის აუცილებელ ფაქტორად იქცა.

მაგრამ, არც „სოციალურ საზოგადოებათა“ (ფ. ლისტი) როლის უარყოფა შეიძლება. კაცობრიობა, როგორც ერთიანი სოციალური არსი, არ არსებობს. არსებობენ მხოლოდ მისი ცალკეული ეროვნული ორგანიზმები, რომელთაც სოციალური ცხოვრება აქვთ. ერთ სოციალური ინდივიდია, ამიტომ აქვს მას ისტორიული ინდივიდუალობა. ფ. ლისტს, რომელსაც გამოჩენილი გერმანელი მოაზროვნები ეკონომიკური მეცნიერების ლუთერს უწოდებდნენ, არა ინდივიდი, არამედ სოციალური საზოგადოება მიაჩნდა სახალხო მეურნეობის მამოძრავებელ ძალად. კ. მენერი კი ასეთ სწავლებას და, საერთოდ, ისტორიულ მეთოდს მეთოდოლოგიურ აბდაუბდას უწოდებდა.

ყოვლად გაუმართლებელია სოციალური საზოგადოებისა და ინდივიდის ასეთი დაპირისპირება. იგი ორი სხვადასხვა მოვლენის გაერთიანება კი არაა, არამედ ერთიანის გაორებაა. ასევე შეიძლება ითქვას შრომითი დირებულებისა და სარგებლიანობის მიმართაც. აქ სრულებითაც არ გააქვს საქმე შეურიგებელთა შერიგებასთან, არამედ ჩვენს წინაშეა ერთიანის გაორება. თვით საქონლის დირებულება თავის წიაღში გაორებულია. არის თვითონ და თავისი სხვა, მისგან განსხვავებული რომელიმე სხვა კი არაა, არამედ საქონლიანი სხვაა. ერთს აქვს თავისი თავი და თავისი სხვა. ასეთია შრომითი დირებულებისა და სარგებლიანობის ერთიანობის დიალექტიკა. საქონელთა სამყაროში ხანგრძლივი პერიოდის გასწვრივ შრომითი დირებულება დომინირებს, როგორც საფუძველი. იგია ერთიანობის აქტიური მხარე, ხოლო შედარებით ხანმოკლე დროში ამ უწესების სარგებლიანობა ასრულებს, როგორც ფასების მექანიზმის მთავარი რეგულატორი.

ფაქტია, რომ ჯერჯერობით მეცნიერება პიროვნული ინდივიდუალიზმის არსის საკითხებზე თანმიმდევრულ ამომწურავ პასუხს მაინც უერ იძლევა. არის გარევეული სინხელეები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია. საქმე ისაა, რომ მათები არა საერთოდ და, საბუნების მეტყველები მეცნიერებათა მიღწევები მიღწევები რეალური ფაქტებით მოწმდება. ‘მატემატიკა ისეთი მეცნიერებაა,

რომელსაც დმურთებიც უმორჩილესია’ (პლატონი), მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადამიანთა ურთიერთობის შემთხვევაში ფაქტები უსტიურებული ასრულებს ჰეშმარიტების დადგენისათვის სახლო კრიტერიუმის ფუნქციას. თუმცა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა თეორიები თავიანთი შესწავლის ობიექტთან რეფლექსურ კავშირში იმყოფებიან, ე. ი., მათ შეუძლიათ გავლენა მოახდინო მოვლენებზე რაც საბუნების მეტყველობა მეცნიერებათა შემთხვევაში შეუძლებელია, მაგრამ ეს მაინც არ იძლევა ზუსტი განზოგადების საშუალებას. ეკონომიკურმა მეცნიერებამ სცადა შეუძლებელი გაეკეთებინა, საბუნების მეტყველობა მეცნიერებათა მიმგრაცია მოეხდინა და ამით საკუთარი პრესტიული აეწია, მაგრამ ეკონომიკური მეცნიერება არ არის მათებატიკა, რომელიც მუდმივად მდგრად კანონებს ექვემდებარება. ეკონომიკის მარადიული კანონების გამოვლენის კონკრეტული ფორმები დინამიკურია, სისტემატურ ვარიაციებს განიცდის. ამიტომ ასეთი ცვლილებების ინტენსივობის ხარისხი მკვლევარს არ უნდა დარჩეს უურადღების მიღმა. რაც შეეხება მეცნიერულ მიღწევებს მასების ფსიქოლოგიის შესახებ, მისი გათვალისწინების გარეშე თანამედროვე ეკონომიკური პროცესების სიღრმისეული გაცნობიერება შეუძლებელია.

მართალია, ყოვლი პიროვნების დაუცხრომქლი ზრუნვა საკუთარი ქონების გადიდებისათვის, საბოლოო ანგარიშით, მთელი საზოგადოების სიმდიდრის ზრდასაც იწვევს, მაგრამ როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, იგი საერთაშორისო წონასწორობის დამტკიცების გარანტი მაინც არ შეიძლება იყოს. ეგოისტური მოტივები მძლავრად ბობოქორობს ადამიანის შინაგანი ბუნებაში, მისი დაოკება ძალიან ძნელია. საზოგადოებრივი ღოვლათის ოპტიმალური ზრდა და პროდუქტობა წარმოება-განაწილების რეგულირების მისაღები მექანიზმის დამტკიცება ადამიანთა აზოვნებისა და მოქმედების მაქსიმალურ თავისუფლებას მოითხოვს, მაგრამ ერთს ინტერესებიდან გამომდინარე, დროის მოთხოვნათა შესაბამისად მისი შეზღუდვაც უნდა ხდებოდეს თანმიმდევრული სიმტკიცით. საქმე ისაა, რომ თავისუფლების გაცვლა სტომაქის პარაზიტულ მოთხოვნებზე საბოლოოდ თავისუფლებასაც დაგაკარგვინებს და თავისუფლების მოპოვების შესაძლებლობასაც.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე. ბემ-ბავერკ, Основы теорий ценности хозяйственных благ, Л.1929.
2. ფ. ვიზერ, Теория общественного капитала, в кн. Австрийская школа политической экономии, М., 1992.
3. М. Блауг, Экономическая мысль в ретроспективе, М., 1994, гл.12.
4. Б. Селигмен, Основные течения современной экономической мысли, М., 1968., гл.III(1), IV(2)



The article is dedicated to the historical aspects of value problem discussion. Privately, there are given origin preconditions of utmost utility theory, evolution, basic thesis. The author examines the matters in two ideological direction's oppose context of working cost theory: first – Austrian school, which based subjectal – psychological conception of value, and the second one – English-American, which passed around psychological conceptions, but began to process resolutions of conceptions by mathematical way and spread the standpoint of utmost utility about distribution and all sides of economical status.

There is marked, that the science can't give us an exhaustive answer about personal individualism. Economical science tried to do impossible thing, to make imitation of natural sciences and by this way raise his prestige, but economical science is not plural mathematics, which always submits to steady laws. The forms of showing eternal laws of economics are dynamic, feel variations systematically. That is why intensity extent of this change should not be besides of investigator's attention. What about the scientific achievements about the masses psychology, without foreseeing it, it is impossible to realize modern economical processes.



საქართველოს მთავრობის

სხვადასხვა სახელმწიფოების ეკონომიკური ზრდის ტემპები გრომანერთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. აღმოსავლეთ აზიის ზოგიერთ ქვეყანაში, კერძოდ, სინგაპურში, სამხრეთ კორეასა და ტაივანში, საშუალო შემოსავალი ბილო ათწლეულების განმავლობაში ყოველწლიურად 7%-ით იზრდებოდა [1, გვ 522]. ზრდის ასეთი ტემპის შემთხვევაში შემოსავალი ყოველ ათ წელიწადში ერთხელ ორმაგდება. ამ უდარიბესმა ქვეყნებმა დროის ძალიან მცირე მონაკვეთში მოიპოვეს საპატიო ადგილი მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს შორის. თუმცა მათგან განსხვავებით, აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის მრავალ ქვეყანაში საშუალო შემოსავალი წლების განმავლობაში არ შეცვლილა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ისმის კითხვა, რა უნდა გააკეთოს ჩვენმა ქვეყანაზ იმისთვის, რომ გამოვიდეს არსებული მდგომარეობიდან და შევძლოთ ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა?

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით 2008 წლის მონაცემებით: ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მთლიანმა შიდა პროდუქტმა ამერიკის შეერთებულ შტატებში 47348, იაპონიაში - 38520, მექსიკაში - 9785, რუსეთში - 11806, სასომხეთში კი - 2626 აშშ დოლარი შეადგინა [4].

საშუალო შემოსავლის ძალზე საინტერესო სტატისტიკური მონაცემებია დიდი ბრიტანეთის შესახებ. 1870 წელს დიდი ბრიტანეთი მსოფლიოში უმდიდრესი ქვეყანა იყო, რომლის საშუალო შემოსავალი 20%-ით აღემატებოდა აშშ-ის საშუალო შემოსავალს და ორჯერ მეტი იყო კანადის საშუალო შემოსავალზე. დღეს კი დიდი ბრიტანეთის საშუალო შემოსავალი ნაკლებია თავისი ყოფილი ორი კოლონის საშუალო შემოსავალზე. ყოველივე ზემოთქმული ნიშავს, რომ მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყნებსაც კი არა აქვთ იმის გარანტია, რომ მშვიდად იყვნენ და იყვნენ ყველაზე წარმატებული ქვეყნები.

ერთობების აკადემიური დოქტორი,  
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის  
ასოცირებული პროფესორი

ეს მონაცემები ძალზე საყურადღებოა ჩვენი ქვეყნისათვის, რომელიც აგრე უკვე თითქმის 20 წელია იბრძვის უკეთესი მომავლისთვის, თუმცა კერ მიაღწია ეკონომიკის განვითარების სათანადო დონეს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოში 2008 წელს მშპ-მა მოსახლეობის ერთ სულზე საბაზრო ფასებით შეადგინა 2850,9 ლარი, ხოლო მუდმივი 2003 წლის ფასებით - 2257,6 ლარი. 2009 წლის მონაცემებით ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, მშპ-მა ნომინალურ ფასებში შეადგინა 2450 აშშ დოლარი, ანუ 4092,9 ლარი. ამ დროს რა უნდა მოიმოქმედოს ხელისუფლებამ, რომ მივაღწიოთ რეალურ ეკონომიკურ ზრდას?

დღეისათვის დადგენილია და ეჭვს არ იწვევს ის, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპები ტოლია დაგროვების ნორმა (ინვესტიციების წილი მთლიან შიდა პროდუქტში) გამრავლებული კაპიტალის ზღვრულ მწარმოებლურობაზე. აღნიშნული მოკლედ შეიძლება დახასიათდეს, როგორც დაგროვების ეფექტიანობა.

დაგროვების ნორმის ზრდას უცილობლად თან ახლავს მისი ეფექტიანობის დაცემა. მაგრამ, ეს ცოტა უფრო რომელი საკითხია და ვიდრე მას შევეხებოდეთ, ჯერ ვნახოთ, რატომ არის აუცილებელი დაგროვება.

თუ წარმოება არსებული ფონდების (შენობა, მაქანა-დანადგარები) და საწარმოს არსებული ორგანიზაციის პირობებში ახდენს კაპიტალის ინვესტიციებას ნედლეულის და მუშახელის შესაძლებელ, მაშინ შედეგი იქნება, პირველ ეტაპზე მშენებელი შემდგომ ეტაპზე კლებადი უკუგება ("კლებადი უკუგების კანონი"). ეს ფაქტი ცნობილია ნებისმიერი მეწარმისათვის. მას შეიძლება ეს გაზრდებული არ ჰქონდეს, მაგრამ ის ქვეცნობიერად მაიც ემორჩილება ამ კანონის მოქმედებას. ამასთან, მეწარმემ იცის რა, ქვეცნობიერად, ამ კანონის მოქმედების შესახებ, იმულებულია, დღესვე იფიქროს იმ საწარმოო ძალების (მუშახელი, ფონდები) შესაქმნელად, რომელიც მზად იქნება მოხმარებისათვის მომავალში. ე.ი. პირველი, კანონი

აიძულებს მას განახორციელოს ინვესტიცია კაპიტალში. ინვესტიცია კი, თავის მხრივ, დაგროვების პროპრიეტეტია (აქ მხედვების გარეშე ვტოვებთ იმ გარემოებას, რომ დაგროვება და ინვესტირება 100 %-ით არ ემთხვევა ერთმანეთს).

მართალია, დაგროვების ნორმის ზრდას თან ახლავს კლებადი უკუგება, მაგრამ უკუგების კლებადობას არ შეუძლია მოახდინოს დადებითი ეფექტის ასპროცენტიანი ნიველირება. ამიტომ, ქვეყნები, სადაც ინვესტიციების წილი მაღალია მთლიან შიდა პროდუქტში, ხასიათდებიან მაღალი ზრდის ტემპებით, ვიდრო ქვეყნები, სადაც ეს წილი ნაკლებია.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: როგორ შეიძლება შეიცვალოს მთლიანი შიდა პროდუქტის არსებული სტრუქტურა? რა არის აუცილებელი ამისათვის? რისი გაკეთება შეუძლია ბაზარს დამოუკიდებლად და რისი არა? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად უნდა დაგუბრუნდეთ ისევ ჩეცნს ფორმულას.

ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედი ფაქტორების კლასიფიკაცია შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ა) ფაქტორები, რომლებიც ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედებენ დაგროვების ნორმის მეშვეობით (რაოდენობრივი მხარე) და ბ) ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ინვესტიციების ეფექტიანობის მეშვეობით (თვისებრივი მხარე).

დავიწყოთ პირველი ფაქტორით. დაგროვების დაბალი ნორმა, პირველ რიგში, იწვევს კაპიტალდაბანდების შემცირებას და შესაბამისად ქვეყნის დაბალ კონკურენტუნარიანობას. საქართველო ამის ნათელი მაგალითია. დაბალი კაპიტალდაბანდები სარკისებურად აისახება ქართული პროდუქციის დაბალ ხარისხზე და მის დაბალ კონკურენტუნარიანობაზე. გარდა ამისა, დაგროვების დაბალი დონის გამო, იმპორტი უფრო იაფი ხდება და ექსპორტი კი გაცილებით ძვირდება. შესაბამისად, იზრდება სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო, რომელიც თავის მხრივ აისახება ქვეყნის საგადამხდელო ბალანსში.

ისმის კითხვა: რა იწვევს დაგროვების დაბალ ნორმას? ძირითადად, პირადი და სახელმწიფო დანაზოგების დაბალი დონე. დაუბალანსებელი, ანუ დეფიციტური ბიუჯეტის შემთხვევაში, რაიმე სახელმწიფო დანაზოგებზე ლაპარაკი ზედმეტია. ასევე, თუ არ არსებობს პირადი დანაზოგების წახალისების სისტემა და სტაბილური საბანკო სექტორი, არც პირადი დანაზოგების სიდიდე იქნება შთამბეჭდავი. დაგროვების ნორმის ზრდა და, შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის სტიმულირება, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურაზე და

დეფიციტის ოდენობაზე. ფისკალური პოლიტიკა უფლად-საკრედიტო პოლიტიკასთან, მრავალ წლების შარმოადგენს იმ მნიშვნელოვან ბერკეტს, რომლის პროფესიონალური გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელია მნიშვნელოვანი ეფექტის მოხდენა დაგროვებაზე და ეკონომიკურ ზრდაზე.

ბიუჯეტის შედგენისას, აუცილებელია პრიორიტეტების განსაზღვრა. სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ არცერთ ბიუჯეტში არ ჩანს რაიმე გონივრული პრიორიტეტი. დროის დაკარგვა არ ღირს იმის სამტკიცებლად, რომ რეცესიის პროცესში მყოფი ქვეყნის ბიუჯეტის შედგენისას, მთავარია ეკონომიკური ზრდის და არა რომელიმე სხვა პრიორიტეტის გათვალისწინება. ასეთი უფლებულების საშუალება ჩეცნ, უბრალოდ, არ გაგამნია.

თავის დროზე, მოზესი ასაბუთებდა, რომ 'გადასახადებს გააჩნიათ ფისკალური და არაფისკალური დანიშნულება, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, თუ გადასახადები აჭარბებენ დასაშვებ ზღვარს, მაშინ ისინი უკვე აღარ წარმოადგენენ გადასახადებს, არამედ გვევლინებიან საბაზო ეკონომიკის ნგრევის საშუალებად". აღნიშნული საყოველთაოდ აღიარებულია. სწორედ ამიტომ, განვითარებულ ქვეყნებში, აქცენტი კეთდება არა გადასახადის განაკვეთებზე, არამედ საგადამხდელო ბაზაზე და მის ზრდაზე. სამწუხაროდ, ჯერ არავის წარმოუდგენია რაიმე დასკენა, რომელიც მეტნაკლებად დაასაბუთებს ამა თუ იმ გადასახადის განაკვეთის აუცილებლობას. აქ გაოვალისწინებული უნდა იყოს ის გარემოება, რომ ყოველ ქვეყანას გააჩნია საკუთარი ეკონომიკური წყობა. ამიტომ, გადასახადების განაკვეთების შემცირება განეითარება განეითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში სხვა ეფექტის მომზანი იქნება, ვიდრე ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო. კერძოდ, პირველ შემთხვევაში, ადგილი ექნება საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებას, მაგრამ მეორე შემთხვევაში, ასეთი შედეგი არ არის ფატალური გარდუვალობა. შესაძლებელია პირიქით მოხდეს, მოთხოვნის სტიმულირება, რომელიც ბიძგს მისცემს წარმოების გაფართოებას, დასაქმების მაღალ დონეს და საპროცენტო განაკვეთის ზრდას, რომელიც შექმნის სტიმულს უცხოური ინვესტიციებისათვის. ამ უკანასკნელის გარეშე კი საქართველოს ეკონომიკას გაუჭირდება კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვება და საგაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდოს შემცირება. ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა ქვეყნის მოლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, საგადასახადო სისტემის



მას მერე, რაც განვიხილეთ რაოდენობრივი  
მხარე (დაგროვების ნორმა და მასზე მოქმედი  
ფაქტორები), საჭიროა განვიხილოთ ინკასტიციების  
ეფექტუანობის საკითხი. რაზეა დამოკიდებული  
ინკასტიციების უფექტუანობა? ეკონომისტის პასუხი  
იქნება – მრავალ ფაქტორზე ჰყვიანი ეკონომისტი  
ამ ფაქტორებს დაყოფს ორ ჯგუფად: ა) ფაქტორები,  
რომლებიც გამომდინარეობენ ეფექტური ბაზრის  
არსებობიდან და ბ) ფაქტორები, რომლებიც  
უკავშირდებიან ეფექტურ ინსტიტუტებს.

საბეჭნიუროდ, დღეს აღბათ საკამაო არ არის, რომ ინგესტიციების ეფექტიანობის უზრუნველყოფა შეუძლებელია ლიბერალური ეკონომიკის ანუ საბაზო ეკონომიკის გარეშე. ჩვენ ახლო წარსულიდან ძალიან კარგად გვახსოვს, რომ ცენტრალიზებულ ადმინისტრაციული (ე.წ. სოციალისტური) ეკონომიკის პირობებში, შიდა პროდუქტის სტრუქტურაში, მოხმარებაზე ძალის მცირე ნაწილი იხარჯებოდა, ინგესტიციებზე კი მოელი შიდა პროდუქტის ხახვარზე მეტი. მაგრამ ქვემა მაინც დამტული იყო, შედგები სავალალო. ასე, რომ ცენტრალიზებულ-ადმინისტრაციული ეკონომიკა არ წარმოადგენს უფლებური დაგროვების გარანტის. ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, ასეთი გარანტი მხოლოდ თავისუფალი ბაზარი და საბაზო ეკონომიკა შეიძლება იყოს.

მაგრამ, ჩვენ დღეს ხომ მართლა გვაქვს  
საბაზრო ეკონომიკა მისი ძირითადი ატრიბუტებით?  
კერძო საკუთრება, ხელშეკრულების თავისუფლება,  
თავისუფალი ფასები, ორიარუსიანი საბანკო  
სისტემა და ა.შ. ეკონომიკური თავისუფლების  
ხარისხით საქართველო ხომ არაფრით არ  
ჩამოუვარდება ჩინეთს, ტაივანს ან თუნდაც სამხრეთ  
კორეას.

რაშია საქმე? ნუთუ საქართველო ან მისი  
მეზობელი პოსტ საბჭოთა ქვეყნები არ  
ემორჩილებიან ზოგად კანონზომიერებებს? ან  
აკიდოთ ნებისმიერი ორი ქვეყანა, სადაც ბაზრის  
თავისუფლება მეტნაკლებად ერთნაირია, მაგრამ  
ეკონომიკური ზრდა კი მეტად განსხვავებული.  
მაგალითად, ფილიპინები და სამხრეთი კორეა. 40  
წლის წინათ ფილიპინები გაცილებით

მაღალგანვითარებული ქვეყანა იყო, ვიდრე  
სამხრეთი კორეა, მაგრამ დატვირთვად  
საპირისპირო სურათი გვაძეს. რაშიც ხაქვერია  
განასხვავებს საქართველოს კონფიდენციალურობის  
ბეჭრულების, ყირგიზეთის ან ესტონეთის  
კონფიდენციალურობის, ანდა, სამხრეთ კორეის კონფიდენციალურობის  
ფილიპინების კონფიდენციალურობის?

საქმე იმაშია, რომ ეკონომიკური პროცესები ნებისმიერ ქვეყანაში მიმდინარეობს განსაზღვრული სამეურნეო წყობის შიგნით და ამ წყობის მეშვეობით. ერთი და იმავე ქვეყნის სამეურნეო წყობა, დროის განსაზღვრულ მონაკვეთში (ისტორიული ასპექტი) და განსაზღვრულ სივრცეში (გეოგრაფიული ასპექტი) განსხვავებულია. ამიტომ, არ არსებობს ქვეყნები, რომელთა სამეურნეო წყობა აბსოლუტურად ერთმანეთის იდენტურია. სამეურნეო წყობა შეიძლება იყოს კარგი ან ცუდი, მაგრამ მის გარეშე მეურნეობრიობა შეუძლებელია. ყოველი ქვეყანა თვითონ ირჩევს საკუთარ სამეურნეო წყობას. ასეა ეს აშშ-ში და გერმანიაში და ა.შ. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სამეურნეო წყობები, რომლის შიგნით მიმდინარეობს ეკონომიკური პროცესები, თითეულ ქვეყანაში განსხვავდებულია, არსებობს ამ წყობის ე.წ. „წმინდა ფორმები“ (შემადგენელი ერთეულები), რომლებიც ერთ და იმავე ისტორიულ მონაკვეთში უმრავლესი ქვეყნებისათვის მსგავსია. მაგალითად, კერძო საკუთრება, ხელშეკრულების თავისუფლება, კონკურენცია, ბაზრის ფორმები და ა.შ. ამრიგად, თუ აბსტრაგირებას მოვახდენთ ინდივიდუალური თავისტურებებიდნან, მაშინ დაახლოებით ერთნაირ სურათს მივიღებთ. ყველა ზემოთ მოყვანილ ქვეყანაში, ეკონომიკური პროცესები გაცვლითი მეურნეობის, ანუ, როგორც ახლაა მიღებული, საბაზრო კონომიკის პირობებში მიმდინარობს.

ის, რაც ძირეულად განასხვავებს საქართველოს ეკონომიკას ესტრონეტის ეკონომიკისაგან და ასევე, ფილიპ პინგბის ეკონომიკას სამხრეთ კორეის ეკონომიკისაგან, არის სამეურნეო წყობის ისეთი მახასიათებელი, როგორიცაა სამეურნეო-სამართლებრივი გარემო. უფრო ზუსტი ვიქნებით ინსტიტუტების ეფექტურობა (უფრო სწორედ არაფუნქციურობა).

ეპონომიკური გარდაქმნების საწყის ეტაპზე, ესკოლა და ორწევნებული იყო, რომ ცენტრალიზებულ-ადგინისტრაციული ეპონომიკის პირობებში ორსებული დაგროვების მაღალი ნორმის ხევდრი წილის შემცირების კომპენსაცია უნდა მომხდარიყო ინვესტიციების ეფექტიანობის ხარჯზე, რისი გარანტიც უნდა ყოფილიყო თავისუფალი ბაზარი. მაგრამ პოსტსაბჭოთა ჭავჭავაძის ამტკიციობაში, და

მათ შორის საქართველოში, ეს არ მოხდა და არ მოხდა ზუსტად ინგენიერის არაეუკეტინობის გამო და არა იმის გამო, რომ ქართველები ესტონელებზე უფრო ზარმაცნი არიან ან ესტონეთს განსაკუთრებული სტრატეგიული რესურსები გააჩნია.

სახელმწიფოს ფინანსური სისუსტე ასახვას პროცესი ინსტიტუტების უსუსურობაში, რომელსაც თავის მხრივ მინიმუმადე დაჲყავს დაგროვების ეფექტიანობა. უფრო მეტიც, რომ ავიდოთ ბელორუსია (ან თუნდაც თურქმენი), სადაც თავისუფალი ბაზარი და ლიბერალიზაცია ხაწყის ეტაპზეა, ძლიერი ინსტიტუტების წყალობით გაცილებით მეტ წარმატებებს აღწევს ეკონომიკაში, ვიდრე საქართველო, სადაც ბელორუსთან შედარებით ლიბერალური ეკონომიკა და პოლიტიკური წყობაა.

როგორ უნდა მივაღწიოთ ინსტიტუტების უფასობას? სამწუხაროდ, ეს კითხვა უკვე გადის ეკონომიკური კვლევის სფეროდან და ის უფრო პოლიტიკური საკითხია. ამ სფეროში სელისუფლების პოლიტიკური ნების გარეშე რაიმეს მიღწევა შეუძლებელია. საქმე იმაშია, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში პოლიტიკურმა რეფორმებმა წინ გაუსწრო ეკონომიკურ გარდაქმნებს (და ეს ლოგიკურიც არის, კინადან, არჩევნების შესახებ დემოკრატიული კანონის მიღება და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება გაცილებით სწრაფი და ადგილია, ვიდრე, სახელმწიფო ქონების პირველი ანგარიში). პოლიტიკური დემოკრატიის პირობებში კი, ინსტიტუციონალური გარდაქმნები საქმაოდ როცლია და მნიშვნელოვან რისკთან არის დაკავშირებული.

ის, რომ ეკონომიკური გარდაქმნები დემოკრატიული ინსტიტუტების პირობებში გაცილებით როცლია, ვიდრე აეტორიტარული რეჟიმების შემთხვევაში, ნათლად ჩანს ჩინეთის, ტაივანის და სამხრეთ კორეის მაგალითზე. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დემოკრატიის პირობებში ასეთი გარდაქმნების განხორციელება არ შეიძლება. უბრალოდ, დემოკრატიის პირობებში კერცერი მთავრობა ვერ განახორციელებს არაპოლარულ ნაბიჯებს (ინსტიტუციონალური გარდაქმნების დროს კი, ეს აუცილებელია), თუ არ იქნება პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების აქტიური მხარდაჭერა, რომ არაფრი ვთქვათ პოლიტიკური ძალების მხარდაჭერაზე.

თუ დავაკვირდებით ჩენი დამოუკიდებლობის 19 წლიან ისტორიას, ადგილი დასანახია, რომ

საქართველომ 1994-1998 წწ.-ში წარმატებით განახორციელა ეკონომიკური გარდაქმნებულები პირველი ეტაპი: ეკონომიკის ლიბერალიზაცია და სტაბილიზაცია. მართლაც, პიპერინფლაციის შემდგომ გატარებულმა დონის სძიებებმა (ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია, ადეკვატური ფულად-საკრებიტო პოლიტიკა, ფასების განთავისუფლება და ა.შ.) შესაძლებელი გახდა სტაბილიზაციის მიღწევა. აღნიშნულს, შემდგომ პერიოდში, უნდა მოჰყოლოდა ინსტიტუციონალური გარდაქმნები. ლიბერალიზაცია, სტაბილიზაცია და ინსტიტუციონალიზაცია მოგვცემდა საშუალებას დაგვესრულებინა ტრანსფორმაციის პერიოდი. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. შესაბამისად, ეკონომიკაში პირველ ეტაპზე მიღწეული შედეგები (ეკონომიკური ზრდა 1995-1998 წლის პირველ ნახევარში შოთამბეჭდავი იყო – 10-13 %) დარჩა შემდგომი ინსტიტუციონალური მხარდაჭერის გარეშე. რამაც თავისი შედეგი გამოიიღო და ეკონომიკა 1998 წლის მეორე ნახევრიდან 2003 წლამდე პერიოდში ღრმა კრიზისში შევიდა. ვარდების რევოლუციის შემდეგ, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევას. მოჰყვა 2007-2008 წლების ცნობილი მოვლენები, რასაც თან დაერთო მსოფლიო კრიზისული მოვლენები. ამ მოვლენებმა დიდად შეუწევს ხელი ქვეყანაში კრიზისის გაღრმავებას და ფაქტო სახეზე-2009 წლს, რეალური მშპ-ის ზრდამ 96,1 პროცენტი შეადგინა.

დიდი განმანათლებლი მონტესკიე, ჯერ კიდევ მც-18 საუკუნეში წერდა: ‘ხალხი, რომელსაც აქვთ სუვერენული ხელისუფლება, თვითონ უნდა აკეთებდეს ყველაფერს, რისი გაკეთებაც კი მას კარგად შეუძლია, ხოლო იმას, რისი გაკეთებაც კარგად არ შეუძლია, თავისი მინისტრების მეშვეობით უნდა აკეთებდეს’. თუ ვერწმუნებით მონტესკიეს, ჩვენ დღეს, პირველ რიგში, გვჰქირდება ეფექტური ინსტიტუტები და მინისტრები, რომლებიც ხალხის საქმეს კარგად გააკეთებენ.

ასე, რომ დაზოგვისა და ინვესტირების ხელშეწყობა მთავრობის მიერ ეკონომიკური ზრდისა და გრძელვადიან პერიოდში ცხოვრების დონის ამაღლებისათვის ხელშეწყობის ერთ-ერთი გზაა.

კერძო დანახარჯების წახალისებისა და ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მისაღწევად მიზანშეწონილად მიგვაჩნია მთავრობამ გატაროს შემდეგი ღონისძიებები:

1) შემოღებულ იქნას დეპოზიტების დაზღვევის სისტემა. ამ სისტემის ამოქმედების შემდეგ საერთოდ უნდა გაუქმდეს დღეს არსებული ანაბრების საშემოსავლო დაბეგვრის 5 პროცენტიანი განაკვეთი.



2) მოხდეს რეინვესტირებაზე მიმართული  
თანხის მოგვბის გადასახადისაგან  
განთავისუფლება.

3) მოხდეს მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების ამოღების სფეროებში ადმინისტრირების გაუმჯობესება. (კადრების კვალიფიკაციის აძალვება, ანტიკორუფციული დონისძიებების გატარება, შესრულება).

4) ქვეყანაში ხელახლა უნდა გამოცხადდეს ფინანსური ამნისტია, ხოლო - შემდეგ ურჩ გადამხდელებზე და ჩრდილოვან კონომიკაში წარმოებულ საქონელზე (გაწეულ მომსახურებაზე) დაწესდეს უმკაცრესი კონტრლი და შესაბამისად დაწესდეს ახალი სამართლებრივი ნორმები.

5) გარკვეული კატეგორიის ინდიკირულებრი  
მეწარმეთათვის (შესაძლებელია მხოლოდ ბაზრებსა  
და ბაზრობებზე დასაქმებული მეწარმეებისთვის)  
შემცირებული იქნას ფიქსირებული გადასახადი.

6) ქავენის ეკონომიკის ზოგიერთი დარგის, განსაკუთრებით ტრადიციული დარგების აღორძინებისა და წმინდა ქქსპორტში მიხილების გაზრდისათვის ამ დარგებში წარმოებულ პროდუქციაზე მიზანშეწონილია დაწესებების დაბალი საგადასახადო განაკვეთები, ხოლო უცხოეთიდან იმპორტირებულ პროდუქციაზე მაღალი საბაჟო განაკვეთები,

7) ჩვენი აზრით, ქართული პროდუქტია უნდა დაუძრუნდეს რუსულ ბაზარს. არა აქვს პრინციპული და არსებითი მნიშვნელობა, თუ ვინ, რომელი პოლიტიკური ძალა იტვირთებს ამ პრობლემის მოგვარებას.

8) ეკულა პოლიტიკოსმა თუ პოლიტიკურმა ძალამ უნდა გაითვალისწინოს, რომ მრავალთვიანი საპროტესტო აქციები, ანგრევს ეკონომიკას და ამცირებს უცხოური ქაპიტალის ინვესტირების მოცულობას.

9) ქალავაც უნდა გაგრძელდეს მწ., ასრულის  
შემოფერის" პოლიტიკა და ამ უკუკისტუბისან  
მიღებული თანხა მიმართულ მუნიციპალიტეტებს  
ეკონომიკის ცალკეული პრიორიტეტული დარგების  
განვითარებისათვის.

10) იმის გათვალისწინებით, რომ განათლებას – ადამიანური კაპიტალის ინვესტირებას – ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური წარმატებისათვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ფიზიკური კაპიტალის ინვესტირებას, ამ სფეროს დაფინანსების მოცულობის ზრდას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. როგორმე უნდა შევამციროთ უცხოეთში ქართული ინტელექტის გადინების პროცესი. ინტელექტის გადადინება ქვეყანაში დარჩენილ ადამიანებს უფრო მეტ სიღარიბეში ტოვებს, ვიდრე წინააღმდეგ შემთხვევაში იქნებოდენ. საჭიროა უცხოეთში სასწავლებლად წასულ ახალგაზრდებისათვის თავიანთ ქვეყანაში ნორმალური სამუშაო ადგილების შეთვავაზება, რათა ისინი დაუბრუნდენ თავიანთ ოჯახებს და ხელი შეუწყონ ქვეყნის ეკონომიკის ზრდას..

11) სახელმწიფო ვალდებულია დიდი უზრადღება მიაქციოს მეცნიერების, ახალი ტექნოლოგიების, მეცნიერული კვლევების განვითარებას. ასევე უძიდესი მნიშვნელობა გნიჭყავა საპატენტო სისტემის განვითარებას.

12) სახელმწიფო ვალდებულია იყოს კერძო საკუთრების გარანტი

13) სახელმწიფომ უნდა შექმნას ისეთი  
საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უმკაცრესად  
დასჯვადს გახსძის ისეთ ქმედების, რომელიც ამ  
რამდენიმე ხნის წინ განხორციელდა  
ტელეკომპანია „იმედის“ საშუალებით. ასეთი  
გადაცემში მოსახლეობაში, მასობრივ ფიქტობაზ  
ერთად, იწვევს უცხოური ინვესტიციების  
მოცულობის შემცირებას და ქვეყნის პრესტიჟის  
დაცვას.

## ଧାରଣାରେତିଶ୍ଲୋ ହିନ୍ଦୁତେରାତିଶ୍ଲୋ:

1. გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, „დიოგენე”, თბ., 2008. გვ. 522.
  2. ლეო ჩიქავა, თავისუფალი ვაჭრობა თუ ეკონომიკური პროტექციონიზმი?, ჟურნალი „ახალი ეკონომისტი”, №4, 2009, გვ.10-15.
  3. ჯამლებ ჯანჯღავა, „ეკონომიკური ზრდა – ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტი”, ჟურნალი „ხოციალური ეკონომიკა”, №3, 2007, გვ. 32-43.
  4. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
  5. [www.wikipedia.org](http://www.wikipedia.org).



There are several factors determining economic growth, but the fact is that economic growth rate is equivalent of accumulation norm (share of investments in GDP) multiplied on marginal productivity of capital.

On the other hand low rate of accumulation norm depends on low level of private and state savings that can't influence investments.

The measures that government should take to improve situation in this direction are as follows:

1. to set up a new deposit system;
2. to abolish taxes on profits which are oriented on reinvesting;
3. to announce financial amnesty once more;
4. to impose fixed tax regime for small entrepreneurs (even only for those who work at markets or fairs);
5. Georgian product should go back to Russian market (it doesn't matter who or which political force undertakes a responsibility to solve the problem);
6. cut down state administration expenses and put the money saved from it in the fields which are priorities for Georgia;
7. the state should serve as guarantee for protecting private property;
8. the state should increase funding of scientific and educational fields and try to stop the process of brain drain from Georgia.

Solution of above mentioned and some other problems that depends on the economic policy of the country will greatly contribute to achieve high rates of economic growth.



გიორგი ნანუაშვილი  
თბილისის საბანკო-საფინანსო  
ინსტიტუტის სრული პროფესორი

საქართველოში მიმდინარე გარდაქმნები მოითხოვენ მოქმედი იმ საკანონმდებლო აქტებისა და დებულებების გადასინჯვა-გადამუშავებასა და ახლების შემუშავებას, რომლებიც არებულირებენ შრომით ურთიერთობებს. ჩვენი აზრით მან უნდა მოიცვას:

- შრომის კანონმდებლობა;
- სასიცოცხლო (საარსებო) მინიმუმის განსაზღვრა;
- კოლექტიური შრომითი დავისა და კონფლიქტების გადაწყვეტა;
- შრომითი ანაზღაურების (ხელფასის) რეგულირება;
- საწარმოთა გაქოტრება;
- მინიმალური ხელფასის ინდექსაცია;
- უმუშევრობის გამო დახმარებათა გამოყოფა და სხვა.

ორგანიზაციის დამოკიდებულება პერსონალის მიმართ წარმოადგენს ვალდებულებას. ეს ვალდებულება წარმოქმნება ამ პერსონალის წვლილით სამეცნიერო საქმიანობაში.

ჩვეულებრივ ითვლება, რომ მუშაკის წვლილი ტოლი უნდა იყოს სამუშაოს მიმცემის ვალდებულების სიდიდისა. მაგრამ ეს მთალდ ასე არ არის. როგორც რუსმა ეკონომისტმა მ. ი. ტუგანბარანვსკიმ (1865-1919) აღნიშნა, ხელფასის სიდიდე დამოკიდებულია მუშაკის და მისი სამაშაოს მიმცემის ძალთა თანაფარდობაზე. რაც უფრო ღარიბია მუშაკი, სხვა თანაბარ პირობებში, მით უფრო დაბალია ხელფასი, ხოლო მისი წვლილი კი უფრო დიდი შესრულებულ სამუშაოებში.

გარდა ამისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ იმის გარემოებაც, რომ პერსონალის წვლილი შეიძლება გამომდინარეობდეს ხელშეკრულებიდან. იგი შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად, მუშაკის მონაწილეობით ორგანიზაციის მართვაში. მუშაკებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ფირმის კაპიტალში (შეიძინონ ფირმის აქციები), რომლებიც

თავის მხრივ წარმოიქმნიან ვალდებულებებს დივიდენდების გასაცემად.

1973 წელს ამერიკის ბუღალტერთა ასოციაციის (AAA) ადამიანური რესურსების შუღალტრული აღრიცხვის კომიტეტმა განსაზღვრა “ადამიანური რესურსების მონაცემების იდენტიფიკაციის და შეფასების პროცესი”, რომელიც შემდგომ გადაეცემა, როგორც ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებს” ამერიკის შრომის ინსტიტუტის აზრით ადამიანური რესურსების ბუღალტრული აღრიცხვა თავის თავში მოიცავს:

- “თეორიული საფუძვლების განვითარებას, რომელიც ხსნის ადამიანთა ღირებულების ბუნებასა და განმსაზღვრელ ფაქტორებს თვიციალური ორგანიზაციების მხრიდან. ორგანიზაციისათვის ადამიანთა ღირებულებებისა და ფასეულობათა შეფასების საიმედო და დასაბუთებული მეთოდების შემუშავებას, შეფასების შემოთავაზებული მეთოდების ორგანიზაციული უზრუნველყოფის დანგრევის პროექტირებას”.

მთელმა რიგმა გამოკვლევებმა, რომლებიც ჩატარდა გასული საუკუნის ბოლოს, გვიჩვნა, რომ შრომითი რესურსების შესახებ ინფორმაციის გამოყენებით შეიძლება მოგებული დარჩენებ როგორც ფირმის ადმინისტრაცია, ისე ინგენიერები და საზოგადოება მთლიანად.

ადამიანების რესურსების აღრიცხვა ითვლება მართვის უმნიშვნელოვანეს და ფასდაუდებელ ინსტრუმენტად. შემთხვევითი არ იყო როგორც პენრი ფორდი (1863-1947) აკრიტიკებდა რა ბუღალტრულ ანგარიშგებას, მიუთითებდა, რომ “მასში არ არის მოცემული მთავარი – ადამიანთა დახასიათება, რომლებიც ფირმისთვის გამოიმუშავებენ ფულს”. გარკვეულ წილად ის მართალი იყო, რადგანაც ადამიანი – ეს არის სწორედ უველაზე მთავარი კაპიტალი. ხოლო ამერიკელი პროფესორი ე.ჯ.ფლამხოლცი ადამიანური რესურსების აღრიცხვაში გამოყოფდა სამ ძირითად ფუნქციას: ინფორმაციულ ფუნქციას,

პარადიგმების უუქციას და კატალიზატორის ფუნქიას. ინფორმაციულ ფუნქციას ავტორის აზრით ადამიანური რესურსების აღრიცხვა უსრუნველყოფს ადმინისტრაციას ორგანიზაციის პერსონალის თვითრიერებულებისა და დირექტორის შესახებ ინფორმაციით, ხოლო წარმოდგენილი ინფორმაციის სახეები განისაზღვრება მოცემული ორგანიზაციის კონკრეტული მოთხოვნილებიდან გამომდინარე.

არ შევცდებოთ თუ ვთუთვით, რომ ადამიანური რესურსების აღრიცხვა უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი ინფორმაციით არა მარტო მეცნიერებს, ის ეხმარება ასევე ინვესტორებსაც რათა მიიღონ ინფორმაცია ორგანიზაციის ადამიანურ აქტივებზე, როგორც მნიშვნელოვან ფაქტორზე.

ბოლოდროინდელმა გამოკვლეულმა გვიჩვენეს, რომ ადამიანური აქტივების შესახებ ინფორმაციის გაშუქება გავლენას ახდენს ინვესტორების მიერ კაპიტალდაბანდებათა მოცულობაზე. დიდი კომპანიების მიერ მიღებული ფინანსური აღრიცხვის თანამდროვე პრაქტიკის შესაბამისად ადამიანურ რესურსებში განხორციელებული ინვესტიციები განიხილება უფრო მეტად როგორც ხარჯები და არა როგორც აქტივები, რაც ვფიქრობთ, ამასინჯებს დაბანდებული კაპიტალიდან უქცევების მაჩვენებელს. რადგანაც კაპიტალზე შემთხვევად გაიანგარიშება როგორც წმინდა მოგების თანაფარდობა აქტივების სიდიდესთან. ის იცვლება, თუ მნიშვნელში აისახება ადამიანური რესურსი. შესაბამისად, ინვესტორებს, თუ სურთ თავიახოთ გადაწყვეტილება ააგონ დაბანდებული კაპიტალის უქცევების მაჩვენებელზე, უნდა ეცადონ შეიგანონ ცელილებები ადამიანური რესურსების ინვესტიციებში.

როგორც ამერიკის შრომის ინსტიტუტი აღნიშნავს, ადამიანური რესურსების აქტივის შემაღენლობაში ჩართვის მოწინააღმდეგები ურდნობიან, სხვა არგუმენტებთან ერთად, აქტივებზე საკუთრების კანონის იურიდიულ ფორმულირებას. ფ.ა.ნიკოლსი აღნიშნავს, რომ ბუღალტრები უძლური არიან შეიმუშაონ ადამიანური რესურსების შეფასების სისტემა. იგი მიუთითებდა ასევე, რომ ამორტიზაციის დარიცხვასთან და ადამიანური კაპიტალის განახლებასთან დაკავშირებით წარმოიქმნება სიძნელეები. ცნობილია, აგრეთვე, შრომითი რესურსების აღრიცხვის მომხსევთა კონტრარგუმენტებიც. დრობისონი მიუთითებს, მიუხდავად იმისა, რომ თუ ადამიანი არ შეიძლება იყოს საკუთრების თბიერები, ფირმის დამოკიდებულება

თანამშრომლებთან, ჩეეულებრივ აგრარებს სტაბილურ ხასიათს. ფლამხოლცის, რობინსონის, დაფუძნებულია დაქირავებული მუშაკების, როგორც მომავალი შედეგის წყაროს საშუალებაზე.

როდესაც ვსაუბრობთ ადამიანური აქტივების შეფასებებზე, წარმოიქმნება მოედი რიგი პრობლემები: რომელი დანახარჯები ავღრიცხოთ, როგორ მოვახდინოთ მათი ამორტიზაცია და ჩამოწერა? ადამიანური რესურსების თვითდირებულების შეფასებისას შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც მინიმუმ სამი რეალური კონცეპცია: ა) პირვანდელი დირექტორი ან თვითდირებულება, ბ) შეცვლილი (გადაფასებული) ფასები; გ) ალტერნატიული დანახარჯები.

**პირვანდელ დირექტორი** ანუ თვითდირებულებაში გათვალისწინებულია იმ დანახარჯების კაპიტალიზაცია, რომელიც დაკავშირებულია მუშაკთა დაქირავებასთან, მოძიებასთან, სწავლასთან და კვალიფიკაციის ამაღლებასთან. ის აისახება აქტივების შემაღენლობაში და შესაბამისად ამორტიზირება. აქ შეიძლება გამოვყოთ ორი მომენტი: შეძენისა და სწავლების დანახარჯები.

სისტემა, რომელიც დაფუძნებულია პირვანდელ დირებულებაზე, შეიცავს როგორც დადებით ისე უარყოფით მომენტებს. დადებით მომენტებად შეიძლება მივიჩნიოთ – დანახარჯების საზოგადიდ მიღებული ობიექტურობა და შესაბამისობა, როგორც დირებულების საზომი. უარყოფით მომენტად კი შეიძლება მივიჩნიოთ აღნიშნული საფუძვლის ტრადიციული სისუსტე, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეფასებასთან, ასევე იმ შეხედულებების შეზღუდულობა, რომელიც დაკავშირებულია დანახარჯების, როგორც დირექტორის დონისძიების წარმოდგენასთან – მიუთითებდა ჯ.მ. ბეიკერი.

ადამიანური რესურსების თვითდირებულების განსაზღვრის მეორე მეთოდი ითვალისწინებს ფირმის დანახარჯების შეფასებას, მუშაკის შეცვლას სხვა პიროვნებით, რომელიც იგივე თვისებებს ფლობს როგორსაც მისი წინამორბედი. აქ შეიძლება იყოს განხილული ორი მომენტი: პოზიტიური, რომელიც ითვალისწინებს ვაკანსიის შევსებას და პირადი, რომელიც ითვალისწინებს მმართველის პირად შეხედულებას დაიქირაოს ანალოგიური თვისების მქონე სხვა მუშაკი. ამ შემთხვევაში უნდა ვისაუბროთ არა ამრტო ადამიანური რესურსების შეძენასა და მის სწავლებაზე გათვალისწინებულ ხარჯებზე, არამედ გათვალისუფლების დადებით და უარყოფით



მომენტებზე. დადგით მომენტად ჩვენ მიგვაჩნია  
ის, რომ შეცვლილი ღირებულება საშუალებას  
გვაძლევს შევაფასოთ ცალკეული მუშაქის  
დაკავებული თანამდებობა. უარყოფით მომენტად  
კი მიგვაჩნია მმართველის სტანდარტობა.

მესამე მეოთვიდი ეს არის დანახარჯების აღტერნატიული მცნება. აღნიშნული კონცეპციის შესაბამისად აქტივებს გააჩნიათ ღირებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეიძლება მათი აღტერნატიული გამოყენება. ამ შემთხვევაში ადამიანური რესურსების ღირებულება განისაზღვრება იმ თანხით, რომელსაც ისინი გამოიმუშავებოდნენ სხვა სამუშაო ადგილას.

პოტენციურად ადამიანური რესურსების  
ბუღალტრული აღრიცხვა კვლავ რჩება  
აქტუალურად ისევე, როგორც განული საჟაზის  
ბოლოს, როდესაც ამ სფეროში მიმდინარეობდა  
საკმაო კვლევები და ექსპერიმენტები. ჩვენ ვეცადეთ  
გვეჩვნებინა ამ მოკლე სტატიაში, რომ ადამიანური  
რესურსების ბუღალტრული აღრიცხვა შემდგომშიც  
სასარგებლო იქნება როგორც ფირმის  
ხელმძღვანელობისთვის, ახევე ინვესტორებისათვის  
და მთლიანად საზოგადოებისათვის, რადგანაც  
ფირმაში მომუშავე თითოეული პიროვნება ამ  
საზოგადოების შემადგრენად ნაწილს წარმოადგენს.

მსოფლიო ეკონომიკა მიემართდეა წარმოების სფეროდან მომსახურების სფეროსკენ, ამავე დროს ტექნოლოგიები სულ უფრო და უფრო როგორია,

რის გამოც ადამიანური რესურსების დინებულება  
და ფასეულობის შეფასება აუცილებელი იყო  
სასარგებლო იწნება მომავალი გზის გადაწყვეტილებას

ბუდალტრულმა აღრიცხვამ განიცადა მრავალი  
ცვლილება, მას შექმდებ რაც პირველად გაამახვილეს  
ფურადეგბა ადამიანური ოქსურსების აღრიცხვის  
პრობლემებზე. სრულად მოსალოდნელია, რომ დღეს  
ბუდალერთა როგორც სამეცნიერო, ისე  
პრატიკული წრები, აღნიშნულ საკითხს სხვა  
რაკერსით ხედავენ, ვიდრე გუშინ და გუშინვინ.  
ხომ არ მოვიდა ის დრო, რომ კვლავ გადაისინჯოს  
და დაიხვეწოს ადამიანური ოქსურსების აღრიცხვა  
არა მარტო დღევანდელი პირობებიდან  
გამომდინარე, არამედ, იქიდანაც თუ რა მოთხოვნებს  
წაუყენებს ცხოვრება მას მომავალში. აღნიშნულის  
თქმის უფლებას ჩვენ გვაძლევს დღეისათვის  
საქართველოში შექმნილი სიტუაცია. არ არის  
დასამაღლი, რომ სახელმწიფო სექტორში  
დასაქმებული მუშაკების ხელფასები რადიკალურად  
განსხვავდებიან კერძო სექტორში დასაქმებული  
მუშაკების ხელფასებისგან, არადა შრომის  
კანონმდებლობა, რომელიც ჩვენ დასაწყისში  
ავლიშნეთ ერთია ორივე სექტორისათვის. მეტსაც  
გიტყვით, თვით სახელმწიფო სექტორშიც კი არის  
თვალში საცემი განსხვავდები. მაგალითისათვის  
საქართვისა მოვიყვანოთ სხვადასხვა უმაღლეს  
სასწავლებლებში დასაქმებული პროფესორ-  
მასწავლებლების ხელფასები.

ბამობენებული ლიტერატურა:

1. Б. Нилдз, Х. Андерсон, Д. Колдуэлл-Принципы бухгалтерского учета, М., 1999 г.
  2. М.В. Соколов, Ф.Ф. Бутынец, Л.Л. Горецкая , Д.А. Панков –Бухгалтерский учет в зарубежных странах , М. 2005 г.
  3. Nicholls, F.A. (1975). Human asset accounting Gertified Accountant (England), 323-324.
  4. Baker, G.M.N. (1974), The feasibility and utity of human resource accounting.
  5. Robinson, D (1975). Turo apporoaches to human asset accounting Accountancy (England), 86, 46-48
  6. Jaggi, B.I. (1976). Human resources are assets Management Accounting 57, 41-42



It is well known, that civilized market includes the market of goods, capital and working persons.

Current transformations in Georgia request to give a glance and remake that legislative asset and plural regulations and also to make new ones, which settles working interrelations.


Dependence of organization about personnel is obligation. This obligation is formed in the thrift activities by the personnel's mite. It must be equal to the obligation of the one who gives work. About this, M.I. Tugan-Baranovski said, that the size of salary is depended on the correlation of forces of worker and the one, who gives work. How much the worker is poor in the other equal conditions, as much is his salary low. This is proper to the today's reality of Georgia.

Registration of human resources secures with important information not only the managers, but is also helps the investors to get the information about the human assets of the firm.

In the big companies investments are considered as expenses and not as assets, which, as we think, disfigures index of reject from the capital investment.



წოდარ ვარამაშვილი

აკადემიური დოქტორი,  
სრული პროფესორი

„ერგელი ადამიანი უნდა ეცადოს, ამჭერიადგვე იპოვოს ღმერთი და მისძიოს მის გზას. ეს კი მხოლოდ მაშინ მიიღწევა, თუ უცდის ნებას (რაც მის მცნებებშია განცხადებული) ჩვენი პიროვნეული ნებაც შეუერთდება; ანუ, თუ ვიცხოვოთ სახარებისეულად, დათავიდოთ და ადამიანური ნების თანხევდრას სინერგია ეწოდება; სწორედ იგია ზეცდა აღმყენებელი უდიდესი ძალა, რომელიც გეელა დაბრკოლებას დაგვაძლევინებს და ამჭერიადგვე გვაცრნობინებს, რომ ‘სასუფელებლივი ჩვენშია’.“

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საშობაო ეპისტოლა, 2010-01-06.

### ახალი ეკონომიკისთვის

სინერგია, უფრო ზუსტად კი “სინერგეტიკული ეკონომიკა,” ფართოდ დამკვიდრდა თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში, როგორც კალევის სფერო და სასწავლო დისციპლინა მსოფლიოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში. სწორედ მის განუსაზღვრულად დიდ მნიშვნელობაზე მიაინშებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია მეორის არაერთი ქადაგება და ჩვენი სტატიისათვის ეპიგრაფად წამდლვარებული მისი ხიტყვები.

სინერგეტიკა შეისწავლის სისტემებს, რომლებიც შედგებიან პევრი სხვადასხვა პუნქტის ქვესისტემებისაგან. ამ ქვესისტემების ურთიერთქმედება იწვევს მაკროსკოპული მასშტაბის სივრცითი, დროითი და სივრცულ-დროითი სტრუქტურების წარმოშობას. მოკლედ, სინერგეტიკა შეიძლება განისაზღვროს როგორც სხვადასხვა ბუნების სისტემების თვითორგანიზების თეორია. სინერგეტიკა პირველ ადგილზე აყენებს ეკოლუციის და თვითორგანიზების პროცესების ზოგადობას ფიზიკურ, ქიმიურ, ბიოლოგიურ, ხოციალურ და სხვა სისტემებში.

სინერგეტიკა წარმოიშვა წრფივი აზროვნების ქრიზისის ნიადაგზე. წრფივი აზროვნების ძირითადი ნიშნებია:

1) ქაოსის, როგორც სამყაროს დესტრუქციული საწყისის წარმოდგენა;

2) შემოხვევითობის მეორებარისხოვან ფაქტორად განხილვა;

3) სამყარო დაკავშირებულია მტკიცე მიზეზ-შედეგობრივი კავშირებით;

4) მიზეზობრივ ჯაჭვებს წრფივი ხასიათი აქვთ.

ამ სტერეოტიპის დასაბალებად საჭირო გახდა შესაბამისი კატეგორიების შექმნა.

შემოტანილი იქნა ლია სისტემის ცნება. ეს ცნება უფრო გასაგები იქნება ჩაკეტილი სისტემის განხილვის შემდეგ. ჩაკეტილი სისტემის ძირითადი თვისება არის წონასწორული მდგომარეობის არსებობა, როდესაც მაკროსკოპული პარამეტრები უცდლელი რჩება და ჩაკეტილი სისტემა ინარჩუნებს სტრუქტურას, ფუნქციონირებას. წონასწორობის მდგომარეობაში დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ ჩაკეტილი სისტემები შეიძლება იქოს. წონასწორულ სისტემებს არა აქვთ განვითარების და თვითორგანიზაციის უნარი, რადგანაც ახშობენ ურკელგვარ გადახრას სტაციონალური მდგომარეობიდან.

დია სისტემებისათვის დამახასიათებელია გარემოს გაელექით წარმოქმნილი არაწონასწორობა და ციკლურობა. ას სინილობა სისტემის თვითორგანიზებისათვის აუცილებელი, მაგრამ არა საგამარისი პირობაა. სისტემა არაწრფივიც უნდა იყოს.

არაწრფივს ეძახიან ისეთ სისტემებს, რომელთა მახასიათებლები დამოკიდებულია მათში მიმდინარე პროცესებზე კ.ი. სისტემის თვითორგანიზებზე მოქმედებს მასში მიმდინარე პროცესების ინტენსივობა. ბოლო ხანებში, შედარებით მარტივ დინამიკურ სისტემებში როგორ მომრაობების დასახასიათებლად, ფართოდ გამოიყენება დინამიკური ქაოსის ცნება. სიტყვა დინამიკური ნიშნავს, რომ არ არსებობენ ფლუქტუაციების, უწესრიგობის წყაროები.

დინამიკური ქაოსის წარმოშობის პირველი მაგალითი დადგენილი იქნა 1963 წელს პოლანდიული №1(16), 2010 წელი

მეცნიერის ედვარდ ლორენცის რიცხვით გამოვლებში. ლორენცი იქვემდინარ გაზებში და სითხეებში კონვექციური მოძრაობის მათემატიკური მოდელის განტოლების ამოსსნებს. ჩატარებულმა აზალიზმა აჩვენა, რომ ტემპერატურის დიდი ცვლილების შემთხვევაში ამოსსნის ქცევა იმდენად როგორია, რომ შესაბამისი მოძრაობა აღიქმება როგორც ქაოსური. საუბარია დინამიკური განტოლების ამოსსნაზე ისეთი შემთხვევითი წყაროების არასეპობის შემთხვევაში, რომელთაც შეუძლიათ ქაოსური მოძრაობის გამოწვევა.


დადგენილი იქნა, რომ საწყისი პირობების უმცირესი ცვლილებები რადიკალურად ცვლის მოძრაობის ხასიათს. ამგვარად, მოძრაობა დინამიკურად არამდგრადია. რადგანაც, საწყისი პირობები მხოლოდ სასრული სისუსტით შეიძლება იყოს მოცემული, მოძრაობის სახის წინასწარმეტვებით მოცემული საწყისი პირობებით პრატიკულად შეუძლებელი ხდება.

შედარებით მარტივ დინამიკურ სისტემებში არსებობს ძალზედ როგორი მოძრაობები, რომლებიც აღიქმება როგორც ქაოსური. ამის საფუძველზე შემოგანილი იქნა ახალი ცნებები: დინამიკური (ან დეტერმინირებული) ქაოსი და უცნაური ატრაქტორი. სიტყვა ქაოსი, როგორც წესი ნუატიური დატვირთვის მქონეა როგორც ფიზიკაში, ასევე გონიომიკაში. თუმცა


ეს მოვლენა ცალსახად დესტრუქციულიც არაა. სიცოცხლე შეუძლებელია რიგორც სრულდება მაგრა ასევე სრული წესრიგის პირობებში. გრძელი მოვლენების შესწავლის დროს მას ხშირად აღწერენ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის საშუალებით. ამ განტოლებათა სისტემის ამოსსნის წარმოდგენას, ცვლადთა რაოდენობის ტოლი განზომილების მქონე სივრცეში (კ.წ., ფაზურ სივრცეში) გარკვეული წერტილის მოძრაობის საშუალებით, უწოდებენ ფაზურ ტრაექტორიას. მდგრადიობის თვალსაზრისით ფაზური ტრაექტორიის ქცევა გავიჩვენებს, რომ არსებობს მისი რამდენიმე ძირითადი ტიპი, ატრაქტორი. ატრაქტორს აქვს მიზიდვის არე საწყისი წერტილების სიმრავლე, ისეთი, რომ დროის გასვლასთან ერთად ყველა ფაზური ტრაექტორია მიისწრაფის ამ ატრაქტორისაკენ. არსებობს ატრაქტორის რამდენიმე ძირითადი ტიპი. ატრაქტორების კლასიკური მაგალითებია ფიქსირებული წერტილი, ზღვრული ციკლი, ზღვრული ტორი. არსებობენ კ.წ. უცნაური ატრაქტორები. ასეთ სივრცეში წერტილის მოძრაობა არამდგრადია, ხოლო ნებისმიერი ორი ტრაექტორია აქ ყოველთვის შორდება ერთმანეთს. საწყისი პირობების მცირე ცვლილების მივყავართ სხვადასხვანაირ განვითარებამდე. ე.ი. უცნაური ატრაქტორების სისტემის დინამიკა ქაოსურია.

### წერტილოვანი ატრაქტორი

ქანქარა





ფაზური სივრცე



### ზღვრული ციკლი


ქანქარა

ფაზური სივრცე




### ტორის ქაოსური ატრაქტორი

ქანქარა



### ლორენცის სამგანზომილებიანი ატრაქტორი

ქანქარა





## მეცნიერება/SCIENCE

ულუქტუაცია არის სისტემის შემთხვევითი გადახსრა მისი კანონზომიერი მდგომარეობიდან. ულუქტუაციები, სინურგიული მოდელების თანახმად, თამაშობენ სამნაირ როლს:

პირველი - თუ რაღაც ზღურბლს არ გადააჭარბა, დიდი ფლუქტუაციაც კი ჩაიხშობა წყნარი ატომების და მოლექულების ზემოქმედებით.

მეორე - ულუქტუაციამ შეიძლება ითამაშოს ახალი მდგომარეობის „ჩანასახის“ როლი: ხელსაყრდნო პირობებში ცალკეულმა ფლუქტუაციამ შეიძლება გამოიწვიოს არაერთგვაროვნების გაზრდა და შეშფოთების მნიშვნელოვანი გაძლიერება, ამან შეიძლება გამოიწვიოს სისტემის შიგნით ასეთი შეშფოთების განმტკიცება და მთელი სისტემის მზადყოფნა მდგომარეობის ცვლილებისადმი.

მესამე - ულუქტუაციამ შეიძლება ითამაშოს „ჩახმახის“ როლი. როდესაც სისტემა არახეტაბილურია და მზადაა ნახტომისათვის, ხდება მისი მყისიერი ინიცირება ფლუქტუაციით.

არამდგრადობის ის მომენტი, როდესაც სისტემა ბალანსირებს მომავალი მდგომარეობების არჩევანში, როდესაც მთელი სისტემის ბედი შეიძლება დამოკიდებული იყოს ერთ შემთხვევით ფლუქტუაციაზე, სინერგეტიკაში იწოდება ბიურკაციად.

სისტემის არაწონასწორობა და არამდგრადობა, მასში ბიურკაციის მრავალი წერტილის მუსხლება უოველთვის არ იწვევს მის ნერვულს. რაც უფრო მეტი აქცე სისტემას თავისუფლების ხარისხი მით უფრო მეტად შეეძლია თვითგაძლიერება და თვითგართულება, მოწერიგებულობის დონის ზრდა. ამაში მდგომარეობს „წესრიგი ქაოსის გავლით“ ფორმულის არსი.

ეკონომიკა შეიძლება განხილული იქნას როგორც მთლიანად სინერგეტიკის ნაწილი. სინერგეტიკულ ეკონომიკას საშე აქვს ეკონომიკურ ეფოლუციასთან, ის წარმოადგენს ეკონომიკური დინამიკის თეორიულ ნაწილს. სინერგეტიკული ეკონომიკა წარმოადგენს ტრადიციული ეკონომიკური დინამიკის თუორიის გაფართოებას იმ თვალსაზრისით, რომ უკანასკნელი შედეგები შეიძლება აიხსნას ამ ახალი თეორიის საშუალებით. ამას გარდა ახალი თეორია ცდილობს ახსნას სხვა ეკონომიკური მოვლენები, რომლებსაც ტრადიციული თეორია უგულებელყოფს. სინერგეტიკული ეკონომიკის თვალსაზრისით, ტრადიციული ენოკომიკური დინამიკის თეორიები წარმოადგენს უფრო ზოგადი თუორიის კერძო შემთხვევებს. როგორი ეკონომიკური მოვლენების ასახენვლად სინერგეტიკული ეკონომიკა გვთავაზობს საიმედო ახალ მიმართულებას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნოდარ ვარამაშვილი, სინერგეტიკა და სოციალურ-ეკონომიკური პროცესები, ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, №4, 2000.
2. В.-Б. Занг. Синергетическая экономика. Время и перемены в нелинейной экономической теории, М.: Мир, 1999
3. Ҳакен Г. Синергетика. Иерархии неустойчивостей в самоорганизующихся системах и устройствах. М.: Мир, 1985
4. Пригожин И., Стенгерс И. Порядок из хаоса: Новый диалог человека с природой. М.: Прогресс, 1986.
5. Капица С. П., Курдюмов С. П., Малинецкий Г. Г. Синергетика и прогнозы будущего. — М., 1997
6. Князева Е. Н., Курдюмов С. П. Основания синергетики. Синергетическое мировидение. М.: КомКнига, 2005.
7. Michael Bushev. Synergetics: chaos, order, self-organization. World Scientific, 1994

The paper reviews the nature of synergetics as a scientific direction. Synergetics is trying to create a universal mechanism by which it will be possible self-organization, self-formation systems of various types. Self-organization means the system's transition from the simple to the more orderly state. In this process, each a tiny fluctuation can play a huge role. Analysis of the stability regime of functioning of a dynamic system is extremely important from a practical point of view. The stability of systems such as automobile, air and sea linery, with respect to perturbations certainly a vital factor in the truest sense of the word.

Even more important issue is the stability analysis of complex, multi component systems. Watching the evolution of wildlife and abiocoen and the different systems, we see that the development of a complex system is always accompanied by loss of stability of some modes of operation and the birth of a new, sustainable. Changes can be accumulated gradually, and may occur abruptly in the form of disasters.

Most of the economic processes taking place in time, so the corresponding mathematical models have a dynamic character. The economy can be considered as part of synergetics and to describe the processes taking place there can use the methods of synergetics.

## გიგართება



**გიორგი გეგარებიძე**  
კუნიკოლიურ მუცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი.



**ნუბარ ბაბუაძე**  
აკადემიური დოქტორი,  
პროფესორი.

საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების სრულყოფილი შესწავლა თანამედროვე ეტაპზე ინტერდისციპლინარულ მიღებობას მოითხოვს, კინაიდან ყველა ფუნდამენტურ საკითხს თავისი ცნობილი შემოქმედი იკვლევენ, რომელთა ნააზრებს აგრეთვე სჭირდება საკუთრივ მასზე მომუშავე მუცნიერნი. ცივილიზაციის, კულტურის და ლირებულების პრობლემათა თანამედროვე ქართველი მუცნიერებიდან არ შეიძლება არ გამოვარჩიოთ ცნობილი მუცნიერები: პროფ. ი. ჯალანძია, პროფ. ე. ავალიანი, პროფ. ნ. ჩიქოვანი, პროფ. გ. შუშანაშვილი, პროფ. კ. აუტუბიძე, პროფ. დ. ლაპატაძე – ხოშტარია, პროფ. მ. ქუმაშვილი, პროფ. პ. ლეიაშვილი, პროფ. გ. შიხაშვილი და სხვ; თუმცა ამ სტატიაში ჩვენი მთავარი მიზანი ასაჭვალი ნაშრომების გამოწვლილებით ანალიზი არის.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა კარგად გაეკრევეთ „ცივილიზაციისა“ და „კულტურის“ ცნებებში. როგორც ცნობილია, პუმანიტარული აზროვნების ადრეულ ეტაპზე გაჩნდა „ცივილიზაციისა“ და „კულტურის“ ცნებები. ტერმინი „ცივილიზაცია“ მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან *civitas*, რაც ნიშნავს საზოგადოებას, აქედან წარმოსდგება *civis* – მოქალაქე, *civilis* – სამოქალაქო; ადრეულ ისტორიულ ეტაპზე ესტერმინი გაჩნდა ლათინურ საზოგადოებაში და გამოხატავდა ლათინური სოციუმის, სახელმწიფოებრივი მოდელის უპირატემობას ბარბაროსების ცხოვრების წესთან შედარებით. ანტიკურ საბერძნებით დათინურ ტერმინს ცივიტას შეესატყვისებოდა ბერძნული *civitas* – ქალაქი, სახელმწიფო, საზოგადოება, *civis* – მოქალაქე, *civilis* – სამოქალაქო.

მეორე ტერმინი, „კულტურა“, წარმოსდგება ლათინური კულტურა-დან. აღსანიშნავია, რომ იგი თავდაპირველად ნიშნავდა დამუშავებას, მოვლას, აღზრდას, განვითარებას, გამომუშავებას [10].

კაცობრიობის ისტორიის განვითარების კვალობაზე ცივილიზაციისა და კულტურის ცნებების შინაარსი გლობალიზაციას დაუკავშირდა. „შუა საუკუნეების ეპოქულ განმანათლებლებთან თანდათანობით ხდება ცივილიზაციისა და კულტურის ცნებათა დაახლოება, რომლებიც უკვე უკავშირდებიან გლობალურ, ისტორიულ პროცესებს. [1,გვ. 5.]

დღეისათვის, კულტურის ცნების უნიკურული განსაზღვრება, რომელიც ყველასათვის მისაღები იქნებოდა, ჯერ კიდევ ერთ ჩამოყალიბდა. ეს ეხება ცივილიზაციის ცნებასაც. ამ ტერმინების მოელეოდ განმარტება მეტად ცნობილმა მკელევარებმაც ვერ მოახერხეს. ამიტომ პროფ. ე. ავალიანი სამართლიანად, ამ ცნებათა ზოგად პარამეტრებს ეხება და აღნიშნავს: „ბუნებრივია, ჩვენც შევეცდები ამ ცნებათა ზოგადი პარამეტრების განსაზღვრას, როთაც მხოლოდ ნაწილობრივ წარმოვაჩენთ „კულტურისა“ და „ცივილიზაციის““ რთულ ბუნებას:

1. ზოგადად, კულტურა, ცივილიზაციისაგან განსხვავებით, კაცობრიობის ვიწრო, შემოქმედებით-ინტელექტუალური, პარამეტრებით განისაზღვრება. იგი მოიცავს, ძირითადად, ადამიანის შემოქმედებით საწყისებს, შეზღუდულია სივრცესა და და დროში.

2. თავისი ბუნებით კულტურა ნაკლებად კოსმოპოლიტური მოვლენაა. იგი ემყარება მიზანებავე ეთნოსების ურთიერთშეხების შეღვად მიღებულ გამოცდილებას, ხოლო კომუნიკაციის საშუალებად იყენებს ვიწრო, ეთნიკურ-ენობრივ

ჯგუფში გაერთიანებულ ლოგალურ ენებსა და დიალექტებს. ლოგალური კუტურების მსოფლადქმის სისტემა ძირითადად რელიგიურ ორიენტირება მიმართული, ხოლო აღნიშნული საზოგადოების მხატვრული, ანალიტიკური და პრაქტიკულ-გამოყენებითი კატეგორიები, თავის მხრივ, სულიერ-ირაციონალურ პლასტჩეა გათვალისწინებული.

3. ცივილიზაცია თავისი ბუნებით ეთსმოპოლიტური და კომუნიკაბელური საზოგადოების ფორმაა, რომელიც ხშირ შემთხვევაში თავის საზღვრებს შიგნით აკრთიანებს სხვადასხვა ეთნოსებსა და ენობრივ აზახებს.

4. ცივილიზაცია განფენილია დიდ სიერცესა და დროის ხანგრძლივ მონაკვეთში. იგი მოიცავს საზოგადოების შემოქმედებით-ინტელექტუალური მიღწევების საფუძველზე მიმდინარე ტექნოლოგიურ და სოციალურ პროცესებს. ცივილიზაციის მსოფლადქმის, ცნობიერების მოდელი თავისი სპეციფიკით ნაკლებადირაციონალურია. ცივილიზაციის ეტაპზე სხვადასხვა რელიგიათა სინოეზი ირელიგიურობასა და რაციონალური აზოვნების ტიპს ნერგავს". [1,გვ. 6-7.]

და ბოლოს, რაც უკელაზე მთავარია, შემაჯამებელი დასკვნები ასეთია:

„საერთო ჯამში, ცივილიზაცია, ალბათ, გაებულ უნდა იქნეს როგორც პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, ინტელექტუალურ ტრადიციათა ერთობლიობა, მაშინ, როცა კულტურა უკავშირდება ადამიანის შემოქმედებით, შემცნებით და სულიერ საწყისებს. იგი ნაკლებად მატერიალიზებულია ცხოვრების ისეთ ფორმებში, როგორიც არის პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციალური ურთიერთობები. ზოგადად, კულტურა წარმოადგენს საზოგადოების სულიერ ძალებისა და შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაციის სფეროს. კულტურის როგორც ისტორიულ-ფილოსოფიური კატეგორიის შიგნით შესაძლებელია გამოიყოს სამი ძირითადი ვორმა: მხატვრული, ანალიტიკური და პრაქტიკულ-გამოყენებითი. ამ ფორმათა არსებობა და მათი ერთობლიობა აყალიბებს კაცობრიობის ისტორიაში კ.წ. „მაღალი“ ანუ „განვითარებული“ გულტურების მოდელს.

და ბოლოს, ჩვენის აზრით, კულტურის ისტორია (ფართო გაგებით) არის ზოგადსაკაცობრიო გამოცდილება ყოფისა და აზრისა, გაკეთილები წარმულისა, რომელიც გვეხმარება აწყობულისა და მომავლის გაცნობიერებაში. ცალკეულ ლოგალურ

კულტურათა თუ ცივილიზაციათა მიღწევები, რომელიც ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებად იქცევიან, აღნიშნული სოციუმების სულიერ მატერიალურ მიღწევათა ერთიანობას წარმოადგენს.

ისტორია ცალკეული კულტურებისა და ცივილიზაციების ერთობლიობაა, ეს არის კრებითი ცნება – ტერმინი, რომელიც აღნიშნული ერთეულების გამოცდილებას ერთ ზოგადსაკაცობრიო ისტორიად, ცოდნად და გამოცდილებად აყალიბებს. მაშასადამე, თავად ისტორია ჯამია ისტორიული ცნებებისა (ცივილიზაცია + კულტურა = ცივილიზაციის კულტურის ისტორია), სადაც „კულტურა“ და „ცივილიზაცია“ თავისოთავად ისტორიულ-ფილოსოფიური კატეგორიებია". [1,გვ. 7]

კულტუროლოგიის მნიშვნელოვანი საკითხების გარკვევა-დაზუსტებაში დიდი წვლილი შეიტანა ზიგმუნდ ფროიდმა. სწორედ მას ეძღვნება პროფ. მ. ქუმსიშვილის გამოკვლევა – „რა დაუშავა კულტურამ ფროიდს?“, „როგორც ავტორი ტერმინ „კულტურას“ ფროიდისეული გაგების შესახებ აღნიშნავს:

„ფროიდის აზრით, ტერმინი „კულტურა“ აღნიშნავს მიღწევებისა და ინსტიტუტების მთელ ჯამს. კულტურა გულისხმობს ადამიანის დაცვას, ბუნებისაგან და ადამიანის ბარონობას ბუნებაზე. კულტურას ევალება ადამიანთა შორის ურთიერობების რეგულირება. კულტურაში შედის ინტელექტუალური, მეცნიერული და მხატვრული მიღწევები: რელიგია, ფილოსოფია და იდეალები, ანუ ცალკეული პიროვნების, მთელი ხალხის ან მთელი კაცობრიობის წარმოადგენები სრულყოფის შესაძლებლობების შესახებ. რადგან ფროიდი არ ასხვავებს ერთმანეთისაგან კულტურისა და ცივილიზაციის ცნებებს, ამიტომ როდესაც კულტურის ან ცივილიზაციის ფროიდისეულ გაგებაზე ვლაპარაკობთ, ყოველთვის მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ კულტურა ან ცივილიზაცია, არამედ თავისებური „კულტურა-ცივილიზაცია“. მაგრამ ჩვენ შეიძლება ამ ორი ცნების გამიჯვნა ვცადოთ; ფროიდისეულ „კულტურა-ცივილიზაციას“ ცივილიზაცია არის ყველაფერი ის, რაც შეუქმნია ადამიანსა და კაცობრიობას დასაბამიდან დღემდე, ანუ ყოველგვარი დადებითი და უარყოფითი, მთავარი და არამთავარი, მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო, მდაბალი და ამაღლებული დირებულებები, ხოლო კულტურა არის ცივილიზაციის მხოლოდ საჟაერესო ნაწილი, მხოლოდ დადებითი, უმთავრესი და უმნიშვნელოვანები ლირებულებები, მხოლოდ



**შ**უმაღლესი რანგის დადებითი ღირებულებები. ეს ღირებულებებია: სიკეთე, ჭეშმარიტება, მშვენიერება, სამართლიანობა, სიყვარული, თაგვისუფლება, მშვიდობა, ხელოვნება, შემოქმედება და სხვა...

კულტურასა და ცივილიზაციას შორის ნაწილისა და მთელის მიმართებაა და ამიტომ ყველაფერი ის, რაც მიეკუთვნება კულტურას, ამავე დროს მიეკუთვნება ცივილიზაციასაც, მაგრამ ცივილიზაცია უფრო ფართო და ტევადი ცნებაა, კულტურა კი უფრო ვიწროა მოცულობის თვალსაზრისით, მაგრამ უფრო დრმა და წონიანია შინაარსის თვალსაზრისით". [2, გვ. 12]

იმისათვის, რომ „კულტურის“ გაგება ჩვენთვის უფრო ნათელი გახდეს, აუცილებლად უნდა განვიხილოთ დიდი ქართველი ფილოსოფოსის ნიკო ჭავჭავაძის მოსახრებანი, რომლის მიერ 1984 წელს რუსულ ენაზე გამოიცა ფრიად გახმაურებული ნაშრომი: „კულტურა და ღირებულებები“.

**კართლის ახალი კულტურის შემთხვევას, რომ :** „კულტურის ნ. ჭავჭავაძისეული განსაზღვრების მიხედვით, კულტურა არის განხორციელებულ ღირებულებათა სამყარო [3, გვ. 10, 33]. და ამავე დროს კულტურა არის იდეალურ-ღირებულებითი მიზნების რეალიზაცია, ღირებულებების გადასახლება ჯერარსის სამყაროდან არსებულის სამყაროში და იდეალის განხორციელება [3 გვ. 53, 89], საიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ კულტურა ყოფილა არა მხოლოდ განხორციელებულ ღირებულებათა სამყარო, არამედ ჯერ განუხორციელებელი ღირებულებებისაც იმის გამო, რომ ამ ღირებულებებში იგულისხმება ადამიანის იდეალებიც და ოცნებებიც, რომლებიც კულტურის მამოძრავებელ მიზნებს წარმოადგენს. ამიტომ, კულტურაში პოტენციალურად, შესაძლებლობის სახით ყოველთვის უნდა ვიგულისხმოთ იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე ის არის. მართალი იყო ფრონტი, როდესაც კულტურას იდეალებიც მიაკუთვნა. ჩვენ შეიძლება დავაზუსტოთ კულტურის განსაზღვრება და ვთქვათ, რომ კულტურა არის არა მხოლოდ განხორციელებული უმაღლესი რანგის დადებითი ღირებულებები, არამედ კულტურა არის ადამიანის და კაცობრიობის კეთილი ნების მისწრაფებაც ამ უმაღლესი რანგის დადებითი ღირებულებების განხორციელებისაკენ. „მისწრაფება“ იმიტომ, რომ, მაგალითად, ბრძოლა და ძალისხმევა უსამართლობისა და ძალმორეობის წინააღმდეგ უკეთ უნდა ჩაითვალოს კულტურულ პროცესად. „მისწრაფება“ იმიტომ, რომ

კულტურული რევოლუცია თუ კულტურული ღირებულებების აბსოლუტური განხორციელება შეუძლებელია და ადამიანი არასოდეს არ იქნება საგსებით კმაყოფილი არსებული კულტურული მიღწევებით". [2 გვ. 12-13] ზიგმუნდ ფრონტის და ნიკო ჭავჭავაძის აზრებზე დაყრდნობით მანანა ქუმსიაშვილი კულტურას განიხილავს როგორც ეთიკური შინაარსის მისწრაფებას ესთეტიკურ ფორმაში დასრულებისაკენ.

„კულტურა“ რომ უფრო კლასიკურად, სრულყოფილად გავიაზროთ, კიდევ ბევრი რამის გაცნობიერება საჭირო. მათ შორის უმთავრესი, ყველაზე მნიშვნელოვანი არის „სინდისის“ ცნება, რომლის გასაგებად ისევ ფრონტის უნდა მივმართოთ. პროფ. მანა ქუმსიაშვილი წერს: „ფრონტის აზრით, სინდისი არის ადამიანის მიერ სხვების ნაცვლად საკუთარი თავისაკენ, საკუთარი მე-ს წინააღმდეგ მიმართული აგრესია. მაგრამ ამ აგრესიაში ფრონტი გულისხმობს ზედამხედველობა-აკრძალვებსაც, დანაშაულის გრძნობასაც, სასჯელის მოთხოვნირებასაც და ცოდვების მონანიებასაც. ფრონტის აზრით, სინდისი არ არსებობს „ზე-მე“-მდე. უფრო მეტიც, სინდისი არის „ზე-მე“-ს ანუ სუპერ-ეგოს ფუნქცია და მას ევალება „მე“-ს ანუ ეგოს განზრახვებსა და მოქმედებზე თვალყურის დევნა, მათი შეფასება, კონტროლი და მორალური ცენზურა. „ზე-მე“ არის პიროვნების თავისებური თვითცნობიერება და თვითდაკვირვების უნარი. და ამავე დროს „ზე-მე“-ში შედის მორალური, რელიგიური და სოციალური მოთხოვნები და იდეალები, რაც ამავე დროს კულტურის ძირითადი შემადგენელი ნაწილებიცაა. სინდისი თავისეუბრი კრიტიკული ინსტანციაა. „მე“-ს მისწრაფებები იძულებული არიან, რომ დაემორჩილონ „ზე-მე“-ს მოთხოვნებს და მათი გავლენით ბევრ რამეცე თქვან უარი, თავი შეიკავონ და სურვილები მოთოქონ. ამიტომ, სინდისი არის პირველადი მისწრაფებების დაგმაყოფილებაზე უარის თქმის შედეგი. ფრონტი კულტურასაც ხომ ამაში ადანაშაულებს.

ფრონტის აზრით, ინდივიდის „ზე-მე“-ს მსგავსად კულტურასაც გააჩნია თავისი „ზე-მე“. კულტურის იდეალები და მოთხოვნები, რომლებიც ეხებიან ადამიანთა შორის ურთიერთობებს, ერთიანდებიან ეთიკაში. ეთიკის დახმარებით კი კულტურა ცდილობს, რომ მოშოროს ისეთი დიდი დაბრკოლება, როგორიცაა აგრესიისადმი მიღრეულება. ამიტომ, კულტურის „ზე-მე“-ს უპირველესი მოთხოვნაა: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითრცა თავი შენი“. [2, გვ. 27-28]

სწორედ კულტურა და სინდისი ხელმძღვანელობენ იმ უმაღლესი რანგის დადგებითი ლირებულებებით, რომლებიც ადამიანის და კაცობრიობის მიერაა შექმნილი. სწორედ მათთვის უნდა მოწმდებოდეს ჩვენი ქცევის სისწორე. ჩვენ ასევე მთლიანად ვიზიარებთ ფრონტის უარყოფითი დასკვნებიდან გამოტანილ პროფ. მ. ქუმსიშვილის შემდეგ დადგბით დასკვნებს: „ფრონტი დიდად არაა აღტაცებული და უფრო მეტად უქმაყოფილოც კია, როგორც კულტურის, ასევე სინდისის გამო, რომლებიც მას ადამიანის და კაცობრიობის მჩვავვრელებად წარმოუდგნია. ფრონტი სინდისესაც და კულტურასაც უარყოფითი ნიშნით აფასებს, მაგრამ თუ ამ უარყოფით ნიშანს დადგებითით შევცვლით, მაშინ ფრონტის ნააზრევი მიგვანიშნება და შეგვახსენებს, რომ კულტურაც და სინდისიც „ზემე“-დან გვითვალთვალებენ კაცობრიობის უმაღლესი ეთიკური მონაპოვრების, ღირებულებების და იდეალების სახით; კულტურაც და სინდისიც ის შუქურებია, რომლებისკენაც გეზი უნდა გვქონდეს აღებული და რომლებისკენაც უნდა ვისწრაფვოდეთ მოელი ჩვენი კეთილი ნების ძალისხმევით; კულტურაც და სინდისიც ის კამერტონებია, რომელთა დახმარებითაც ჩვენი ქცევის სისწორე უნდა მოწმდებოდეს. კულტურაც და სინდისიც იმ უმაღლესი რანგის დადგებითი ღირებულებებით, რომლებიც ადამიანის და კაცობრიობის მიერაა შექმნილი ისევ და ისევ ადამიანის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ. კულტურა, როგორც სინდისი არის სიამაყე ადამიანის და კაცობრიობის მიღწევების გამო და სირცხვილი ადამიანისა და კაცობრიობის წინაშე ადამიანის მიერვე ჩადენილ დანაშაულობათა გამო. კულტურა არის ყველაზე წმინდა და ნათელი, ყველაზე მშვენიერი და ამაღლებული, ყველაზე ძვირფასი და საუკეთესო, რაც კი შეუქმნია კაცობრიობას. კულტურა – კაცობრიობის სინდისია.

მეღიმება ამას როს ვწერ, მაგრამ გამახსენდა და არ შემიძლია, რომ არ ვთქვა. კომუნისტებს ძალიან უყვარდათ ლოზუნგი: „პარტია ხალხის ჭიუა, ლირსება და სინდისია“. ამ ლოზუნგის წაბაპეით ჩვენც შეგვიძლია ვთქვათ, რომ „კულტურა კაცობრიობის ჭიუა, ლირსება და სინდისია“. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს სიტყვები კულტურას უფრო უხდება და შეეფერება“. [2, გვ. 28]

ბოლოს, უნდა ვთქვათ, რომ კულტურის უქმნების უფრო ნათლად წარმოჩენის მიზნით, პროფ. მ. ქუმსიშვილი კოველმხრივ ანგარიშგასაწვევ დასკვნას გვთავაზობს. მისი დასკვნა ასეთია: „

საცნოვის განვითარება/SCIENCE

ძალიან მნელია კულტურის სრული, ერველმხრივი და დამაკამაყოფილებელი განსაზღვრების მოცემა, უფრო ადვილია პატარ-პატარა განსაზღვრების კულტურის უკნომენის სხვადასხვა კულტურის ჩვენება. ფრონტის კულტურასთან დაკავშირებით გაკეთებული დასკვნები რომ შევაჯამოთ, ასეთ სურათს მივიღებთ:

1. კულტურა არის ამაღლესი რანგის დადგებითი ღირებულებები.

2. კულტურა არის კაცობრიობის კუთილი ნების მისწრაფება ისეთი უმაღლესი რანგის დადგებითი ღირებულების განხორციელებისაკენ, როგორიცაა სიკოუ, ჰემარიტება, მშენიერება, სამართლიანობა, სიყვარული, ბედნიერება, მშვიდობა, თავისუფლება და ა. შ.

3. კულტურა არის ეთიკური შინაარსის მისწრაფება ესთეტიკურ ფორმაში დასრულებისაკენ.

4. კულტურა არის აუცილებელი და სასარგებლო ღირებულებების მისწრაფება თავისთავადი მშვენიერებისაკენ.

5. კულტურა არის ხელოსნობის მისწრაფება ხელოვნებისაკენ.

6. კულტურა არის აუცილებელი, სასარგებლო, პრაქტიკული და სახმარი ღირებულებების სუბლიმაცია ანუ გადაჭცევა-გარდაქმნა-შეცვლა და ამაღლება-აღმასვლა უანგარო, ამაღლებულ და თავისთავად მშვენიერ ღირებულებებით, დ რებულებებად და ღირებულებებზე.

7. კულტურა კაცობრიობის სინდისია.

კულტურის თითოეული ეს განსაზღვრება დამოუკიდებელ განსაზღვრებადაც შეიძლება გამოღებეს და ერთობლიობაში კი ისინი კულტურის ფენომენის შედარებით დასრულებულ აღწერილობას ქმნიან. კულტურის ამ განსაზღვრებათა უმეტესობაში კულტურა წარმოდგენილია არა მხოლოდ როგორც უკვე განხორციელებულ დადებით ღირებულებათა ერთობლიობა, არამედ მათში ნაჩენებია კულტურის დინამიურ-განვიტარებადი და ეკოლუციოურ-პროგრესული ბუნებაც. ამ განსაზღვრებათაგან პირველს პირბითად შეიძლება მოკლე განსაზღვრება ვუწოდოთ, ბოლოს – პოეტური, ხოლო დანარჩენებს კი – დინამიური“. [2, გვ. 29-30.]

კულტურისა და ცივილიზაციის შესახებ, უფრობო, საინტერესო და მისაღები მიღებით ჩამოყალიბებული ერთ-ერთ მეტად საინტერესო რუსულ სახელმძღვანელოში. [7] მისი ავტორები სამართლიანად მიუთითებენ, რომ თანამედროვე სამყაროს მაკრორეგიონების ფორმირების ფეხვები

## მეცნიერება/SCIENCE

შემდეგ მიღის კაცობრიობის უძველეს წიაღში. მატი ემბრიონები ადამიანურ კულტურათა და ცივილიზაციათა ჩასახვის, განვითარების და გავრცელების პოლუსებზე განხნდა. ისინი ღებულობდენ თავის თანამედროვე საზღვრებს ეთნოსების, ხალხების, სახელმწიფოთა, კულტურების, ცივილიზაციების ინტენსიური ურთიერთობების შედეგად კონტინენტთა უზარმაზარ სიერცეებზე ან განსაზღვრულ, ბუნებრივი ბარიერებით ძნელად დასაძლევ სუბკონტინენტებზე. ხალხების მშიდრო კონტაქტები, კულტურათა ურთიერთობამდიდრება და ამის საფუძველზე რეგიონული ცივილიზაციების წარმოშობა ყოველთვის მშეიდობიანი ურთიერთობების, სავაჭრო გაცვლის, იერარქების დანათესავების გზით კი არ ხორციელდებოდა, არამედ მიწების, რესურსების, რეგიონში ბატონობისთვის გამძაფრებული ბრძოლის პირობებში. რეგიონულ ომებში გამარჯვებულნი ყოველთვის ის ხალხები ვერ გამოდიოდნენ, რომელსაც მაღალი კულტურა პქონდათ. მაშინ დამარცხებული ხალხის კულტურა უკუგდებული ხდებოდა. ხშირად გამარჯვებულები და დამარცხებულები როლებს იცვლიდნენ, აღგილი პქონდა გარეუგიონულ შემოსევებს და ძალადობას, ქრებოდნენ და ჩნდებოდნენ სახელმწიფოები და ხალხები, მაგრამ ეს ყველაფერი უკვალოდ კი არ ქრებოდა, არამედ ესა თუ ის თავისი წვდილი შვპქონდა თანამედროვე ხალხთა მექანიზმებაში, მათ კულტურასა და ხასიათის ფორმირებაში, მათს სიწმინდებასა და იდიოსინკრაზიაში.

კულტურა შეიძლება განხილული იქნეს როგორც ფართო გაგებით, ასევე მხოლოდ ეთნოსის, ხალხის, ერის დონეზე. ამასთანავე, ერთიანი ზოგადეროვნული კულტურის პირობებშიც კი, ერს შეიძლება პქონდეს კულტურული პროვინციებით თავისი თავისის განვითარებით და სპეციფიკით. როგორი გავლენაც არ უნდა განიცადოს კულტურამ გარედან, ის ყოველთვის არის ეროვნული, კონკრეტული, განუმეორებელი, აქეს საკუთარი ისტორია, გამოხატავს მის საერთოისტორიულ და ეროვნულ ეტაპებს. ხალხების გაქორბასთან ერთად მათი კულტურებიც ქრებოდა და მხოლოდ მისი რადაც ნაწილი ხდებოდა ხელმისაწვდომი არქოლოგთაოვის.

პროფ. ვ. ვოლსკის აზრით, „ჩვეულებრივ კულტურა მოიცავს შემდეგ ქვესისტემებს და კომპონენტებს:

მატერიალური კულტურა:

საწარმოო ძალები (წარმოების იარაღები, ტექნოლოგიები, კომუნიკაციების მუშაობის კვალიფიკაცია, მეცნიერება და პრაკტიკული წარმოებითი ურთიერთობანი;

მოხმარების საგნები (საცხოვრებელი ბინა, ტანსაცმელი, კედება და ა. შ.);

ადამიანის მიერ გარდაქმნილი (კულტურული) ლანდშაფტი;

სულიერი კულტურა:

ენა, დამწერლობა, ლიტერატურა;

ხასიათი, ზეტემულება, ეოიკა;

რელიგია;

იდეოლოგია, ფილოსოფია, სამართალი,

ხოლოგნება;

განათლება.

საზოგადოებრივი ინსტიტუტები:

ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა;

პოლიტიკური ჯგუფები, პარტიები;

საზოგადოებრივი ორგანიზაციები;

ხელისუფლების, მართვის სისტემა.

საბოლოოდ, კულტურა – ესაა ადამიანის ნასწარები ქცევა საზოგადოებაში, რაზედაც დამოკიდებულია ამ საზოგადოების მატერიალური და სულიერი განვითარება". [7,გვ. 17.]

თანამედროვე საზოგადოებაში კულტურა იწყება განათლებიდან და თავის პროგრესს აღწევს მეცნიერების, ტექნოლოგიების, ლიტერატურის, ხელოვნების განვითარების ზომის კვალდაკვალ. ერთ-ერთი ყველაზე მთავარი საფუძველი კულტურის განვითარებისა არის საწარმო ძალების მუდმივი განახლება უფრო მაღალ დონეზე, ტექნიკური და ტექნოლოგიური ინოვაციების გენერაცია და დანერგვა.

ინდუსტრიალურამდელ საზოგადოებაში ინოვაციები მწიფდებოდა ან ხანგრძლივი ამოცადების, ან შემთხვევითი გაბრწყინების (ეგრიკა!) შედეგად, მათგან ყველაზე მნიშვნელოვნების დანერგვა კი კულტურული რევოლუციების ხასიათს იძენდა. დასრულებულ ინდუსტრიულ საზოგადოებაში ინოვაციების დამჟღავება სპეციალურად ორგანიზებული მეცნიერების ამოცანა გახდა და სისტემატურ ხასიათს ატარებს, რასაც მათ დანერგვასთან ერთად ყველა საწარმოო ძალთა პერიოდულ ნანახლებასთან მოყვავარო, რაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის (მტკ) ეტაპებს მოასწავებს. პოსტინდუსტრიალურ საზოგადოებაში მეცნიერება გადაქცეულია მთავარ საწარმოო ძალად, ინოვაციების დამუშავება კი ღებულობს მნიშვნელოვანზილად წინასწარმეტყველურ და გეგმიან ხასიათს.

როგორც წესი, დასაწყისში ინოვაციები იბადა ურთი კულტურის ფარგლებში და მათი შემდგომი გავრცელება (დიფუზია) მიმდინარეობს კულტურათა შორის ურთიერთობების განვითარების პროცესში. კულტურათა კონტაქტები საბაზო ეკონომიკის წარმოშობამდე შემთხვევით, არალეგალურ, ან საგანგებო (ომის) ხასიათსაც კი ატარებს და ჩვეულებრივ, ბატონბადამორჩილების სისტემად გადაიქცევა. ინოვაციების დიფუზია დაკვემდებარებულ კულტურებში ნელა, მაკროეგიონის დანარჩენი სამყაროსგან იზოდირებულ მასშტაბებში მიმდინარეობს. რეგიონთაშორისი გარღვევები იშვიათია და, როგორც წესი, ეხება არა წარმოებას, არამედ მოხმარებას (მაგალითად, ევროპაში აღმოსავლური სუნიელ-სანელებლების, აბრეშუმის ადრიანი შეღწევა).

სამრეწველო რევოლუციამ ევროპაში და მსოფლიო ბაზრის ფორმირებამ კულტურათა კონტაქტების მკვეთრი გააქტიურობა, მათი რეგულარულობა და მოელი მსოფლიოს მასშტაბებამდე გავრცელება გამოიწვია. სწრაფად იზრდება ინოვაციათი დამუშავების ტემპი. ოვითონ ინოვაციები პირებ რიგში მიმართულია მათი გავრცელების გზაზე ბარიერების დაძლევისაკენ. სატრანსპორტო და კომუნიკაციური ტექნიკის განვითარებასთან ერთად მინიმუმამდე დაინი ფიზიკურ-გეოგრაფიული ბარიერების (მთები, ტროპიკული ტყეები, უდაბნოები, ოკეანები და ა. შ.) და მანძილების (მაგალითად, იაპონიის დაშორება ინოვაციების ეკონომიკისა და ამერიკული ცენტრებისგან) მნიშვნელობა. უფრო ძნელად დასაძლევი რჩება სულიერ-კულტურული ბარიერები – ენობრივი, რელიგიური, ცხოვრების წესის და ა. შ. განსხვავებანი. გართულდა კულტურათა შორისი ურტიერთობების ხასიათი. განსხვავებენ პროცესების არა უმცირეს სამ ტიპს: კულტურათა ასიმილაცია (ზოანთქმა), ამაღვამირება (შერევა, შეწყობა) და თანარსებობა.

ს წატია ეძღვნება იმ მიზეზების ამოცნობას, რომლებიც განსაზღვრავენ ბალანსსა და გადახდისუნარიანობას საპერმეტში, იტალიაში, ქსანეთში, პორტუგალიასა და საქართველოში. შესაბამისად, აქ გამოკვლეულია გაჭრობის, შემოსავლების, მიმდინარე ტრანსფერების, მიმდინარე ანგარიშების, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების, პორტფელური ინვესტიციებისა და სხვა სახის ინვესტიციების ბალანსი. განხორციელებულია საქართველოსა და სამხრეთ ეკონომის ქვეყნების ბალანსისა და გადახდისუნარიანობის გონიომიკური ანალიზი. ასევე, განაგარიშებულია ქვეყნების ქსელური შემოსავლის მგრძნობელობითი კოეფიციენტი, ქვეყნების სავაჭრო და სამომსახურებო ბალანსის ელასტიკური კოეფიციენტი, პირდაპირი, საპორტფელო და სხვა სახის ინვესტიციების შემოსავალი. ქვეყნების საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციების სტრუქტურა და დინამიკა გაანალიზებულია თანამედროვე საერთაშორისო ფულადი ფონდის სტანდარტების შესაბამისად. შესწავლილია სამხრეთ ეკონომის ქვეყნებში ნებატიური ინვესტიციის მდგომარეობის ზრდის მიზეზები გრძელვადიანი პერიოდის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მიხედვით. დაგენილია ქვეყნების საგარეო ფინანსური დაქვემდებარების დონე. თანაც, გამოკვლეულია გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის ვითარებაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების შესაძლებლობები საბერძნეთში, იტალიაში, ქსანეთში, პორტუგალიასა და საქართველოში.

კასშემზღვევი აქტუალურ პირების გადახდა



ჩვენ ვაგრძელებთ რუბრიკას „კიოთხვა-პასუხი“. დასმულ კიოთხვებზე პასუხობს ჩვენი უკრნალის ექსპერტი, აუდიტი 03-ი  
შარჩავა

3001635:

როდის არის ვალდებული დადგეს  
საგადასახადო აღრიცხვაზე ფიზიკური პირი  
გადასახადის გადამხდელად?

ՀԱՍՏԵՕ:

საგადასახადო კოდექსის მე-100 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით განსაზღვრულია ფიზიკურ პირის გადასახადის გადამხდელად აღრიცხვისა და საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების პირობები. ქრძოდ:

- საქართველოს მოქადაქე ფიზიკური პირი  
(მათ შორის მეწარმე ფიზიკური პირი) ვალდებულია  
საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული  
ეკონომიკური საქმიანობის დაწყებამდე (გარდა  
ისეთი საქმიანობისა, რომლის შედეგად მიღებული  
შემოსავალი იძეგრება გადახდის წყაროსთან ან  
განთავისუფლებულია დაბეგვრისაგან),  
განცხადებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს  
საიდენტიფიკაციო ნომრის მიზნით;

- საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი, რომელიც არ არის გადასახადის გადამხდელი, საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის შემთხვევაში უფლება აქვს პირადობის მოწმობაში აღნიშვნელი პირადი ნომერი (საიდენტიფიკაციო ნომერი) მიუთიოთს საგადასახადო დეკლარაციის წარდგენისას ან საბანკო დაწესებულებაში გადასახადის გადახდისას. პირის საგადასახადო აღრიცხვა მოხდება აღნიშვნელ დოკუმენტებში მითითებული მონაცემების საფუძვლზე;

- საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირი ვალდებულია გადახახადის გადახების ან საგადახახადო დეკლარაციის წარდგენის ვალდებულების დადგომაში

განცხადებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების მიზნით.

3001635

გთხოვთ განვიმარტოთ, ფიზიკური პირის  
მიერ ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული  
ქონება ჩაირთვება ოუ არა მის მიერ მიღებულ  
ერთობლივ შემოსავალში და იძეგრება ოუ  
არა საშემოსავალო გადასახადით?

ՀԱՅՈՒԹԵՈՒԹՅՈՒՆ

მიხედვით საგადასახადო წლის განმავლობაში  
საშემოსაკლო გადასახადისაგან  
განთავისუფლებულია

— I და II რიგის მემკვიდრეების მიერ ჩუქებით  
ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების დირექტორი;

— ფიზიკური პირისაგან 1000 ლარამდე  
დირებულების, ჩუქებით მიღებული ქონების  
ლირატულობა;

— III და IV რიგის მექანიზმების მიერ 150 000 ლარამდე ლირებულების ჩატარებით ან მექანიზმებით მიღებული ქონაბის დირექტორება.

յալա և երա մշտեցածո աղինոմուլո վարեօնս  
գործելով ա օդքարկա և աշխատացալո զարգածագոտ.



## პირველი:

ვინ და როდის იხდის საშემოსავლო გადასახადის 2010 წლის მიმდინარე გადასახდელებს?

## პასუხი:

საგადასახადო კოდექსის 219-ე მუხლის თანახმად, მეწარმე ფიზიკური პირი ვალდებულია საშემოსავლო გადასახადის 2010 წლის მიმდინარე გადასახდელები გადაიხადოს 2009 წელს მიღებული დასაბური შემოსავლიდან შემდეგი ოდენობით:

- არა უგვიანეს 15 მაისისა – 25%
- არა უგვიანეს 15 ივნისისა – 25%
- არა უგვიანეს 15 სექტემბრისა – 25%
- არა უგვიანეს 15 დეკემბრისა – 25%

მაგალითი, მეწარმე ფიზიკური პირის დასაბური შემოსავლი 2009 წელს შეადგენს 2000 ლარს. საშემოსავლო გადასახადის თანხა 400 ლარი ( $2000 \times 20\% = 400$ ), 2010 წლის მიმდინარე გადასახდელების სახით პირმა უნდა გადაიხადოს: 15 მაისამდე 100 ( $400 \times 25\% = 100$ ) ლარი, 15 ივნისამდე -100 ლარი, 15 სექტემბრამდე-100 ლარი და 15 დეკემბრამდე – 100 ლარი.

## პირველი:

გთხოვთ განგვიმარტოთ, ვინ და რა ვადებში არის ვალდებული წარადგინოს საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია ?

## პასუხი:

2009 წლის საშემოსავლო გადასახადის შესახებ წლიურ დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით 2010 წლის I პრილამდე (31 მარტის ჩაფლო) წარუდგენს

ა) რეზიდენტი მფიზიკური პირები, რომელთა შემოსავლებიც არ იძეგრება საქართველოში არსებული გადახდის წყაროსთან;

ბ) რეზიდენტი ფიზიკური პირები, რომელთაც ფულადი სახსრები აქვთ ანგარიშებ უცხოეთში;

გ) არარეზიდენტი ფიზიკური პირები, რომლებიც შემოსავლებს იღებენ საქართველოში არსებული წყაროდან და არ იძეგრებიან გადახდის წყაროსთან.

გადასახადის გადამხდელი საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტისას, საგადასახადო ორგანოს 30 დღის ვადაში წარადგენს დეკლარაციას ერთობლივი შემოსავლებისა და გამოქვითვის შესახებ

## პირველი:



გადასახადის გადამხდელმა (ფიზიკური ან იურიდიული პირი) მაუწვევს თავის 3 დაქირავებულ პირზე გაუმჯობესებულ შემდეგი ოდენობით: ერთ დაქირავებულზე 300 ლარი, მეორე დაქირავებულზე 200 ლარი და მესამე დაქირავებულზე 150 ლარი. გთხოვთ განგვიმარტოთ ვის მიერ და რა ვადებში ხდება გაცემული ხელფასიდან საშემოსავლო გადასახადის დაკავება და დაკავებული საშემოსავლო გადასახადის შესახებ დეკლარაციის წარდგენა ?

## პასუხი:

მოცემულ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელი წარმოადგენს საგადასახადო აგენტს, რომელსაც ევალება გადახდის წყაროსთან საშემოსავლო გადასახადის დაკავება და საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისათვის დაკავებული გადასახადის შესახებ დეკლარაციის წარდგენა. მოყვანილი მაგალითის მიხედვით გადამხდელის (საგადასახადო აგენტი) მიერ ხდება გადასახადის დაკავება შემდეგი ოდენობით:

- $300 \times 20\% = 60$  ლარი
- $200 \times 20\% = 40$  ლარი
- $150 \times 20\% = 30$  ლარი

საგადასახადო კოდექსის 218-ე მუხლის 3-ე ნაწილის „ა“ პუნქტის მიხედვით დამქირავებული (საგადასახადო აგენტი) ვალდებულია დაკავებული საშემოსავლო გადასახადი 130 ( $60+40+30$ ) ლარი ბიუჯეტში გადარიცხოს პირისათვის თანხის გადახდისთანავე. არაფულადი (ნატურალური) განაცემის შემთხვევაში კი გადასახადის გადახდა ხდება შესაბამისი თვის ბოლო რიცხვებში. მაგალითად, თუ დამქირავებული მარტის თვეში, დაქირავებულ ფიზიკურ პირს ყოველდღიურად აძლევდა 3 ცალ პუნქტს, რომლის საბაზო ღირებულებაა 3 ლარი, იგი ვალდებულია თვის ბოლოს ბიუჯეტში გადაიხადოს 18,60 ( $3 \times 3 \times 20\%$ ) ლარი.

მოყვანილი მაგალითის მიხედვით გადასახადის გადამხდელი ვალდებულია არა უგვიანეს 15 პრილისა, საგადასახადო ორგანოში წარადგინოს დაკავებული საშემოსავლო გადასახადის შესახებ დეკლარაცია.

300ხვა:

კინ შეიძლება იყოს საგადასახადო აგენტი ?

პასუხი:

საგადასახადო აგენტი პირი რომელსაც  
საგადასახადო კოდექსით დადგენილ შემთხვევაში  
და დადგენილი წესით უნდა შეასრულოს  
საგადასახადო ვალდებულება. იგი შეიძლება იყოს  
იურიდიული პირი, საჭარმო/ორგანიზაცია ან  
მეწარმე ფიზიკური პირი, რომელთაც გადახდის  
წყაროსთან გადასახადის დაკავება ეკალებათ.  
ქერძოდ:

- პირი, რომელიც დაქირავებულ ფიზიკურ პირებს უხდის ხელფასს, ან წებისმიერ საზღაურს, ან სარგებელს, პენსიას (გარდა სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის სისთემაში გაცემული პენსიისა), სტიპენდიას (გარდა სახელმწიფო სტიპენდიისა), პირს უხდის პროცენტებს, გარეულ მომსახურებას უნაზღაურებს გადასახადის გადამხდელის მოწმობის არმქონე ფიზიკურ პირებს, გასცემს მოგებებს (მათ შორის ნიერომოგებებს).

- საბროკერო კომპანია, რომელიც  
გადასახადის გადამხდელად არარეგისტრირებული  
პირის ფასიანი ქაღალდების რეალიზაციის  
შემთხვევაში გასცემს ასეთი რეალიზაციით  
მიღებულ ნამეტ შემოსავალს.

- საქართველოს საწარმო, რომელიც პირს უხდის დივიდუნდს.

საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის  
საგადასახადო აგენტი, უფლებათა და მოვალეობათა  
თვალსაზრისით გთავანაბრეტულია გადასახადის  
წაღამხდელებთან.

300635:

რა არის საგადასახადო დეკლარაცია ?

ՀԱՆՐԵՊԵՐԱ:

საგადასახადო კოდექსის 95-ე მუხლის  
თანახმად საგადასახადო დეკლარაცია არის  
გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის  
ან სხვა ვალიდებული პირის წერილობითი  
ანგარიშებია, რომელსაც ისინი წარუდგენერ  
საგადასახადო ორგანოს დადგენილ ვადაში. მასში  
აისახება:

- მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია;

— შემოსავლის წყაროები და გადასახადით  
დაბეგვრის სხვა ობიექტები;

- საგადასახადო შეღავათები;
- გამოაწერიშებული გადასახადის უნიტეტი

ან/და გადასახადის გამოაწერიშებული უნიტეტი  
გადახდის დაკავშირებული სხვა მონაცემები.

საერთო-სახელმწიფო ობრივ და ადგილობრივ გადასახახდებზე საგადასახადო დექლარაციებისა და მათი შეკვების წესის შესახებ ინსტრუქციებს ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა პინისტრო.

300635:

გთხოვთ განგვიმარტოთ, რომელ ქონებაზე  
და რა შემთხვევაში წარმოეშობათ ფიზიკურ  
პირებს ქონების გადასახადის - გადახდის  
გალდებულება ?

ԱՆՏԵՐ:

პირი ვალდებულია 2010 წელს გდაიხადოს  
ქონების გადახახვით:

ა) პირის ოჯახის შემოსავლები 2009 წელს  
აღემმატებოდა 40 000 ლარს და:

საქართველოს ტერიტორიაზე საკუთრებაში გააჩნია ან ლიზინგით ადებული აქცეს უძრავი ქონება (საცხოვრებელი სახლი, აგარაკი, ავტოფარეხი და სხვა), დაუმთავრებელი მშენებლობა ან/და იახტა (კატარი), თეიომფურინაგი, შეკულებმფრენი.

2010 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, საკუთრებაში აქვს ან/და კანონით გათვალისწინებულ სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში აქვს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დაწილების მიწა.

ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების  
შემთხვევაში ბალანსზე ძირითად საშუალებებად  
აღრიცხული აქვთ აქტივები (გარდა ბიოლოგიური  
აქტივებისა), დაუმოზნება ჟენებული მოწყობილობები  
და არამატერიალური აქტივები.

ბ) 2010 წლის მდგრმარეობით, საკუთრებაში აქვს ან/და კანონით გათვალისწინებულ სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში აქვს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (რეაბის შემოსავლების ოდინობის მიუხედავად).

გ) ოუ მიწის ნაკვეთს იჯარით, ქირით, უზუფრუქტით ან სხვა ამბგარი ფორმით გადასცემს სხვა პირს, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე პირმა უნდა გადაიხადოს ქონების გადასახადი მიუხდავად იმისა, გადააჭარბა თუ არა მისი ოჯახის შემოსავალმა 2009 წელს 40 000 ლარს.

დასუსტებული ეპრო - სასიამოვნო  
სიახლე თუ დამატებითი პრობლემა

ევროპულ ბიზნესში ტარიფები მკვეთრად შეიცვალა. წინა პლანზე წამოიწია ტენდენციამ, რომლის მიხედვითაც, ძლიერი დოლარი - კარგია, ხოლო ძლიერი ევრო - ცუდი.

ევროს კურსი ნელ-ნელა მწვერვალიდან ძირს ეშვება და არ არის გამორიცხული, რომ ამ ფაქტმა უამრავი დამატებითი პრობლემა გამოიწვიოს. თუმცა, ამ სიახლეში, დადგებითი მხარეც არსებობს. დასუსტებული ევრო სასიამოვნო ნიუსია ევროპელი ექსპორტიორებისთვის. ეს მათ საშუალებას აძლევს, გაცილებით ნაკლებ ფასად მიიღონ მომსახურება შეერთებულ შტატებსა და ბევრ სხვა ქვეყანაში.

დასუსტებული ევრო ასევე სასიხარულო ახალი ამბავია საბერძნეთის, ესპანეთისა და პორტუგალიისათვის. ეს სამივე ქვეყანა ხომ საკატრო დეფიციტს განიცდის და თანაც, უკელა მათგან სურს, მსოფლიო ბაზარზე უფრო კონკურენტული გახდეს. ევროს კურსის ამგვარი ცვლილება კი, საკარაულოდ, მათ მიზნის მიღწევაში ხელს შეუწყობს.

The New York Times [www.nytimes.com](http://www.nytimes.com)

### „ჩვენ ვჰიქობთ მომავალზე”

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ საგხებით შესაძლებელია, მომავალში დაარსდეს ისეთი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც, უკიდურეს შემთხვევაში, ევროკავშირს საშუალება ქვება ქვები, რომლებიც დაარღვევენ კავშირის ფინანსურ წესებს, გაერთიანებიდან გააგდოს.

გერმანიის კანცლერმა, რომლის ქვეყანასაც ევროპაში მეწინავე ეკონომიკა აქვს, ზემოთ აღნიშნულ საკითხში მხარდაჭერა ითხოვა. თუმცა, ანგელა მერკელმა იქვე დასძინა, რომ ეს ცვლილებები არაა გამიზნული საბერძნეთში მიმდინარე ფინანსური დაძაბულობისა და კრიზისისადმის.

„ჩვენ ვფიქრობთ მომავალზე და ვეძებთ გზებს, რომელთა შეშეეობითაც ევროკავშირში მდგრმარეობა გაუმჯობესდება” - აღნიშნა გერმანიის კანცლერმა.

The Washington Post [www.washingtonpost.com](http://www.washingtonpost.com)

BMW-სთვის პრიზისი ჩავლილი  
აერიოდია

გერმანიის ავტოჯგუფმა BMW AG-მ განაცხადა, რომ ეკონომიკურმა კრიზისმა, როგორც იქნა, მიაღწია უმცირეს წერტილს და მანქანის ბაზარმა, შეიძლება 2010 წელს წინსვლა განიცადოს.

BMW-ს წარმომადგენლობამ აღნიშნა, რომ ქსელის მოგებამ მოლიანობაში 2009 წელს 37%-ით დაიწია და 2008 წელს დაფიქსირებული მაჩვენებლიდან 324 მილიონი ევროდან 204 მილიონ ევრომდე შემცირდა. წლიურმა შემოსავალმა, დაახლოებით, 4%-ით დაიკლო და 2008 წელს მიღებული 53 მილიარდი ევროდან 51 მილიარდ ევრომდე ჩამოვიდა.

კომპანია BMW იმდოვნებს, რომ 2010 წელი მათვეის გაცილებით მეტი სარგებლობის მომტანი იქნება ეიდრე გასული 2009 და გათვლებს გაუმჯობესებულ წარმოებაზე აკეთებს.

The Washington Post [www.washingtonpost.com](http://www.washingtonpost.com)

### ნავთობის ჩინური გიგანტი არგენტინული ვირამის ზილს ყიდულობს

ნავთობის მეწინავე მწარმოებელმა ჩინეთის ეროვნულმა ნავთობის კორპორაციამ განაცხადა, რომ მზადა გადაიხადოს 3.1 მილიარდი დოლარი და შეუერთდეს არგენტინის რისკიან წამოწყებას. სანაცვლოდ კი, მეორე მხარისგან მოედის დახმარებას, რათა ხელი მიუწვდეს სამხრეთ ამერიკაში არსებულ ბუნებრივ რესურსებზე.

ამჟამად, მხარეები ჩინეთის მთავრობის პასუხს ელოდებიან. თანხმობის შემთხვევაში, საქმის გარიგება ივნისში დასრულდება.

The Washington Post [www.washingtonpost.com](http://www.washingtonpost.com)

### სომხეთის ეკონომიკა არ არის თანამედროვე და დინამიური

ის, რომ სომხეთში შეიძლება ვადამდელი არჩევნები ჩატარდეს, საყოველთაოდ გახდა ცნობილი. ქვეყანაში არსებული ქაოსის მიხედავად, მდგრმარეობა მაინც სტაბიულურია - სწორედ ამას

ամբողջ հայության շրջակա գանձելու համար պատճենահանությունը կազմակերպվել է ՀՀ կառավարության կողմանից 2009 թվականի հունվարի 1-ին:

Հայաստանի պատճենահանությունը կազմակերպվել է ՀՀ կառավարության կողմանից 2009 թվականի հունվարի 1-ին:

Հայաստանի պատճենահանությունը կազմակերպվել է ՀՀ կառավարության կողմանից 2009 թվականի հունվարի 1-ին:

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

Carlyle կազմակերպությունը կազմակերպվել է ՀՀ կառավարության կողմանից 2009 թվականի հունվարի 1-ին:

### The Messenger

[www.marketwatch.com](http://www.marketwatch.com)

### ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

### ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

Հայաստանի պատճենահանությունը կազմակերպվել է ՀՀ կառավարության կողմանից 2009 թվականի հունվարի 1-ին:

Հայաստանի պատճենահանությունը կազմակերպվել է ՀՀ կառավարության կողմանից 2009 թվականի հունվարի 1-ին:

Հայաստանի պատճենահանությունը կազմակերպվել է ՀՀ կառավարության կողմանից 2009 թվականի հունվարի 1-ին:

Royal Dutch Shell PLC- ը գանձեած է ՀՀ կառավարությունը կազմակերպվել է ՀՀ կառավարության կողմանից 2009 թվականի հունվարի 1-ին:

Royal Dutch Shell PLC- ը գանձեած է ՀՀ կառավարությունը կազմակերպվել է ՀՀ կառավարության կողմանից 2009 թվականի հունվարի 1-ին:

### The Wall Street Journal

[www.wsj.com](http://www.wsj.com)

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

The New York Times [www.nytimes.com](http://www.nytimes.com)



მყითხველმა მიიღო საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შორმების VIII ტომი, რომელიც აკადემიის XV წლისთავეს ეძღვნება სარედაქციო კოლეგია: ლეო ჩიქავა – მთავარი რედაქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; იაკობ მესხია – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; როზეტა ასათიანი - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. რეცენზენტები: ავთანდილ სილაგაძე – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; იური ანანიაშვილი – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**საიუბილეო ტომი იწყება გულთბილი მილოცვებით.** საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიას იუბილეს ულოცავებ: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილი; ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი საპატიო წევრი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მიხეილ როკეტლიშვილი და ამავე ასოციაციის ვიცე პრეზიდენტი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიისა და სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი დაგვით კურტანიძე; ეკონომიკის აკადემიური დოქტორი მერაბ გველესიანი; ეკონომიკის აკადემიური დოქტორი იოსებ არჩვაძე; საქართველოს დამსახურებული ეკონომიკისტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლისა და “დირექტორის თრდენის” ლაურეატი ანზორ ბაბუხაძია.

ცალკე აღნიშვნის ღირსია საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, ბატონ ლეო ჩიქავას წინასიტყვაობა, რომელშიც ნათლადაა ასახული ის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები და საზოგადოებრივი საქმიანობა, რაც აკადემიის წევრებმა, სწავლულმა ეკონომისტებმა განახორციელეს საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის მეცნიერებული ანალიზისა და საბაზო ეკონომიკაზე გადასცლის გზების ძიების ოქორიული და პრაქტიკული ხასიათის დასკვნებისა და წინადაღებების შემუშავების მიმართულებით, რომელთა გათვალისწინებას გარკვეული სარგებლობის მოტანა შეეძლო. ასეთი

წინადაღებები აღრინდეს ტომებშიც ყოფილა გადმოცემული, მაგრამ ხელისუფლების ეკონომიკური გუნდის წარმომადგენელთა მხრიდან სათანადო დაინტერესება და რეაგირება არ მოყოლია. “თუმცა მოელი სიმძიმის მხოლოდ მათზე დაკისრება არ იქნებოდა მართებული, გინაიდან ისინი (მაგალითად, ეკონომიკური განვითარების მინისტრები) ისე სწრაფად იცვლებიან, რომ სურვილიც რომ პქონდეთ, სწავლულ ეკონომისტთა მიერ მიწოდებული საქმიანი წინადაღებებისა და რეკომენდაციების გამოყენებას ეს არა, ხეირიანად გაცნობასაც ვერ მოასწრებენ” – მისთვის ჩვეული, იუმორნარევი სიდარბაისლით აღნიშვნას ბატონი ლეო.

**საიუბილეო კრებულში გაშუქებულია მსოფლიო გლობალურ პროცესთან მჭიდროდ დაკავშირებული ეკონომიკურ პრობლემათა ფართო სპექტრი:** შრომის მწარმოებლურობის ზრდის, ფინანსური კრიზისის, ეკონომიკური უსაფრთხოების, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, თავისუფალი ვაჭრობის, გარდამავალი ეკონომიკის, ფინანსური პოლიტიკის, საურთაშორისო ბიზნესისა და სხვა აქტუალური საკითხები. აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილი პრობლემები განხილულია როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიურ, ისე პრაგმატულ-პრაქტიკულ ასპექტში – საქართველოს ეკონომიკის ანალიზზე დაყრდნობით. გამოტანილია სათანადო დასკვნები ეკონომიკური პოლიტიკის ცალკეული სეგმენტების სრულყოფის მიმართულებით მიკრო, მაკრო და მეგა დონეზე.

**გლობალიზაციის პირობებში,** შრომის მწარმოებლურობის ზრდის ეკონომიკური კანონის მოქმედების თავისებურებებია გაანალიზებული ბატონი ლეო ჩიქავას უაღრესად საინტერესი სტატიაში. ავტორი უახლესი ისტორიის მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციების ანალიზიდან გამომდინარე ასკვნის, რომ შრომის მწარმოებლურობას განუხელები ზრდის ტენდენცია აქვს, როგორც საყოველთაო ეკონომიკურ კანონის.

**გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს და ნეკროეკონომიკის ზომბირების საკითხის თეორიულ ასპექტებს ეხება ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვლადიმერ პაპაგას სტატია.**

გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო – ასეთია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ როზეტა ასათიანის სტატიის სახელწოდება. ავტორი დასაწყისში განმარტავს გლობალიზაციის არსეს, შემდეგ განიხილავს გლობალიზაციისა და ეკონომიკური თეორიის ურთიერთქავშირს და ბოლოს – გლობალიზაციისა და ეკონომიკური თეორიის პრაგმატულ მხარეს საქართველოს ეკონომიკასთან (ეკონომიკურ პოლიტიკასთან) მიმართებაში.


კრებულში მკითხველი ახევე იხილავს ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტების, ქართული ეკონომიკურ სკოლის ნათელი სახეების, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორების, პროფესორების: იაკობ მესხიას, ნოდარ ჭითანავას, მერაბ კაკულიას, გიორგი მალაშხიას, თემიურაზ ბერიძის, ამირან ჯაბეტის, რამაზ აბესაძის, რევაზ კაკულიას, გიორგი პაპავას, მურმან ცარციძის, გიორგი დოლონაძის, დემურ ჩომახიძის, თემიურაზ კანდელაკისა და ნუგზარ პაიჭაძის ღირსეულ ნაშრომებს.

მიგვაჩნია, რომ ნაშრომთა კრებული სასარგებლოა სამოავრობო მოხელეების,

ეკონომიკებისა და ეკონომიკური პრობლემატიკით დაინტერესებულ მკითხველთათვის, სტუდენტების კი იგი დაეხმარება რაციონალური ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბებაში.

ამასთან უნდა ითქვას, რომ კრებულში გამოხატულია მეცნიერ-ეკონომისტთა სამართლიანი წესილი, იმის თაობაზე, რომ სახელისუფლებო ორგანოები არ იჩენენ სათანადო დაინტერესებას პროფესიონალ ეკონომისტთა დასკვნა-წინადაღებებისადმი. ამიტომ მართვებული იქნებოდა ეკონომიკური პროფილის აკადემიკების, სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებების, ბაზრის ინფრასტრუქტურის ორგანიზაციების (ბანკები, კონსალტინგური და აუდიტორული კომპანიები, ბირჟები, სარეკლამო სააგენტოები და სხვა), ფიზიკური პირების მონაწილეობით დაფუძნებულიყო სოლიდური, ყოველკვირკული გაზეთი (“ეკონომისტი”, “კომერსანტი”, ან სხვა სახელწოდებით), რომელშიც გაშუქდებოდა საქართველოს ეკონომიკის აქტუალური პრობლემები მაღალპროფესიულ დონეზე, რაც მოკლე გზა იქნება ოპერატორისა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისათვის.

მაგისტრული ეკონომიკის აკადემიკური დოქტორი,  
პროფესორი



წიგნის მიმღების შესახებ

ენებენ ქვეყანაში გამოცემული ჟუბლიკაციების რაოდგნობას. მასში შეიტანება საგაზფთო, საჯურნალო სტატიები, წიგნები, ბროშურები და სხვა ნებისმიერი სახის სტამბური წესით გამოცემული პროდუქცია. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ მთავარი ყურადღება მიქცეულია რაოდგნობაზე და არა ხარისხზე. ჩემი აზრით, ეს გამოწვეულია იმით, რომ ფაქტობრივად შეუძლებელია მიღიონ-ობით ნაბეჭდი პროდუქციის ხარისხობრივი შეფასება და ამიტომაც აქცენტი გადატანილ იქნა რაოდგნობაზე. რა თქმა უნდა, ასეთი მიღგომა არ ასახეს რეალურ სურათს და მიღებული შედეგებიც არაობიერებულია. ქვეყანათა სხვადასხვა რეიტინგების დამახინჯებულ რუკაზე უკვე საჯაროდ აღიარა აკადემიკურნი G8 და G20 წევრი ქვეყნებიც, ას რაც აშეარად მიგვანიშნებს იმაზედ, რომ დღვეან-დელი გლობალიზაციის პირობებში მთავარია არა რაოდგნობა, არამედ, ხარისხი. ეკონომიკის გლობალიზაციამ და საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებამ პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მთავარ კრიტერიუმებს შორის წინა პლანზე ხარისხი დააყენა.

საქართველოში, ისევე როგორც სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, სამეცნიერო და სახწავლო ნაბეჭდი პროდუქცია არასოდეს არ ყოფილა ისეთი უხვი და მრავალფეროვანი, როგორიც დღესაა. ერთი მხრივ, ეს განპირობებულია საგამომცემლო საქმიანობაში უახლესი ტექნოლოგიების დანერგვით, რომელიც, განსხვავებით აღრინდელი პერიოდისაგან, როდესაც საშუალო ზომის წიგნის დაბეჭდვას მინიმუმ ორი წელი მაინც სჭირდებოდა, ახლა იგი მაქსიმუმ ერთ კვირაში ესწრება. მეორე მხრივ, არაკეთილ სინდისიერი ნაბეჭდი პროდუქციის შესაქმნელად დღეს სრულიად არა საჭირო სხვისი ნაშრომების გულმოდგინედ

მკითხველის არ ვიცი, მაგრამ მე არც თუ დიდი ხანია შევიტყვე, რომ ქვეყნების კონკურენტუნარიანობის დონის დასადგენად ცნობილი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოები და სხვა ამ პროფილის ინსტიტუციები ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად გამოიყ-

შესწავლა და ანალიზი, სამეცნიერო კვლევა, ინფორმაციის მოპოვება-დამუშავება ან არქივებში ქვეყნის, არამედ სამარისია მრავალენოვანი ინტერნეტ-რესურსების მოძიება და "Copy"-Paste"-ტექნიკის ცოდნა. და მესამე ფული, რომელსაც ყველა ერთნაირად ვერ შოულობს. ამ ბოლო დროს საქართველოში ფულიან „ბისნესმენ-მეცნიერთა“ მაგარყებიანი, პრეტენზიული „წიგნების“ პიარპრეზენტაციები ძვირადღირებულ სასტუმროებში და სხვა პრესტიულ ოფისებში საგანგებოდ შერჩეულ სახელისუფლები ჩინოვნიკების „აღაურებებით“ აღინიშნება ხოლმე. ღმერთს დიდება, რომ ასეთები ცოტა.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ როზეტა ასათიანის წიგნი „საქართველოს ეკონომიკა: ახალი ეპოქა“ - ნაწილი პირველი, ნამდილად გამონაკლისია ზემოთმოყვანილთაგან, რადგან მისი შინაარსი და სტრუქტურა მკაფიოდ მიუთითებს ავტორის მაღალ განსწავლულობაზე, მის უნარზე ერთმანეთთან დოგიკურად დაკავშიროს ეკონომიკური ოცნების, ეკონომიკური ისტორიის, თამანედროვ კონკრეტული ეკონომიკის ფუნდამენტალური დებულებები, კრიტიკულად გაანალიზოს ისინი და ახალი მიგნებებით, წინადადებებითა და რეკომენდაციებით გაამდიდროს თანამედროვე ეკონომიკური აზრი.

წიგნის სტრუქტურიდან აშკარად ჩანს, რომ იგი ავტორის აზროვნებაში დიდი ხნის მანძილზე მწიფოდებოდა, რადგან მასში კომპლექსურად და ერთმანეთთან დოგიკურ კავშირ შია წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის ყველა მთავარი მიმართულება, რომელთა სრულად გადმოცემა ნავარაუდევია კალების მეორე და მესამე ნაწილში.

უპირველეს ყოვლისა მინდა ავღნიშნო, რომ ძალიან ორიგინალურად და საჭიროდ მომენტები სარეცენზიონი წიგნის შესავალი, სადაც მდიდარი ისტორიული ხასიათის გამოკვლევების ანალიზისა და განზოგადების შედეგად მოკლედ და მკაფიოდაა დახსასიათებული საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის ეკოლუციური ტრაქტორია ქვის ხანიდან ახალ ეპოქამდე. ასეთი ისტორიულ-რეტროსექტრული მიღგომა მეცნიერულ კელევაში განსაკუთრებით აუცილებელია დღევანდელ პირობებში, რათა ასალგაზრდა მკელევართა საყურადღებოდ ხაზი გაესვას იმ საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებას, რომ

არაფერი არ იწყება ნულიდან, ყველა მოელენა და მათ შერის ეკონომიკა სათავეს არ იღებს ახალი ხელისუფლების მოხვდიდან, არამედ მას გააჩნია მრავალ საქაუჩეთა მანძილზე დაგროვილი ბაზა, დასი წარსული, ტრადიცია და დღვევანდელობა, რომელთა შეუფასებლობამ და იგნორირებამ მომავალში შეიძლება უდიდესი ზიანი მიაყენოს სახელმწიფოსა და საზოგადოებას.

წიგნის მეორე და ძალიან მნიშვნელოვანი პოზიტიური მხარე, რომელიც არ შეიძლება არ აღინიშნოს, არის ეკონომიკურ მოვლენათა თეორიული გააზრება, რომლითაც მდიდარია სარეცენზიო ნაშრომი. ეს კი ურთულები საკითხია, რადგან იგი მოიხსენება მსოფლიო კლასიკოსთა ეკონომიკური თეორიების სხვადასხვა მიმართულებათა სიღრმისეულ ცოდნას და იმის უნარს, რომ საჭირო ადგილისა და სათანადო დოზით მოახდინო თეორიული დეტალებების მოშველიება და არ დაიძინებათ საკმაოდ როგორ ლაბირინტებში. ავტორის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მის კვლევაში იგნორირებულია ეკონომიკური საკითხებისადმი პარტიულ-პოლიტიკური მიღობა და იგი მთლიანად დაფუძნებულია მეცნიერულ სინდისზე, რომელიც სამწუხაოდ ამ ბოლო წლებში მკვლევართა მხოლოდ მცირე ნაწილმა შეინარჩუნა.

ნაშრომში სიღრმისეულადაა შესწავლილი კვაზისციალისტური სისტემის ტრანსფორმაციის წანამდგრები, პოსტკომუნისტურ საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე როგორ და ხშირად ურთიერთ საწინააღმდეგო პროცესები, გამოვლენილია განვითარების ძირითადი კანონმდებლები, თავისებურებები და ეტაპები. დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქვეყანაში განხორციელებულ ინსტიტუციონალური რეფორმების ანალიზსა და შეფასებებს, იმ მთავარ პრიორიტეტების გამოკვეთას, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს საქრთველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი კონცეფციისა და კომპლექსური პროგრამის შემუშავებას.

ნაშრომის ერთ-ერთ პოზიტიურ მხარე მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ავტორი თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ეკონომიკის განვითარების მთავარ მამორაცებელი ისტორიუმებად მიიჩნევს ფინანსურ რესურსებს. ამ კუთხით საკმაოდ სრულად და მრავალწახნგვნადაა გამოკვლეული ქვენის საბიუჯეტო-საგადასახადო და ფინანსური პოლიტიკა, აგრეთვე ფულად-საკრედიტო სისტემა და მისი სრულყოფის მომართულებები. ავტორი თავად სფრაბის პრობლემურ კითხვებს თანამედროვე

ეტაპზე საქათველოს ეკონომიკისა და ხოციადური ინფრასტრუქტურის ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ და თავადვე იძლევა მეცნიერების არგუმენტიებულ პასუხებს. იგი არ გაურბის მიმღინარე რეფორმების კრიტიკულ და მწვავე შეფასებებს, რაც კიდევ უფრო ზრდის ნაშრომის პრაქტიკულ დირექტულებას და ობიექტურობას.

და ბოლოს, ნაშრომის დირსებად უდა ჩაითვალოს, ის რომ მასში ყურადღების მიღმა არაა დარჩენილი საკვლევი პრობლემის ირგვლივ არც ერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა, რომელიც შესრულდა უკანასკნელ წლებში ქართველი და ცხოველი მეცნიერ-ეკონომისტების მიერ. ამასთან, აგურატულადაა დაცული ლიტერატურული წყაროების გამოყენების აკადემიური წესი. ამითაც განსხვავდება სარეცენზიო ნაშრომი ამ ბოლო დროს გამოცემული მრავალი წიგნისაგან, სადაც ვერ იპოვით სხვის ნაშრომზე ერთ ციტირებასაც კი, რაც უჭვის ქვეშ აყენებს მათი კვლევის კეთილსინდისიერებას.

რა თქმა უნდა, წიგნის ყველა ნაწილი არაა ერთნაირი სისტემით და სიდრმით წარმოდგენილი. ეს პრაქტიკულად შეუძლებელიცაა ერთი ადამიანისათვის, რადგან მასში განხილულია უამრავლი, თუმცა ერთმანეთთან მშენდობდა დაკავშირებული საკითხი. მეორე შერივ, რამდენი კვალიფიციური მკითხველიცაა, იმდენი სუბიექტური და ობიექტური აზრი იძალება, ამიტომ წინა პლანზე უნდა გამოვიდეს ნაშრომის ზოგადი შეფასება. ამ კუთხით მინდა დავეთანხმო წიგნის ერთ-ერთ რეცენზენტს, რომლის თბილებულობაში არც ერთ პროფესიონალ ეკონომიკის ეჭვი არ შევპარება, პროფესორ ვლადიმერ პაპავას- „წინამდებარე ნაშრომი მნიშვნელოვანი შენაძენია არა მარტო ეკონომიკური საზოგადოებისა და სტუდენტობისათვის, არამედ საინტერესოა მკითხველთა ფართო წრისთვისაც, ხოლო შურნალისტთა კორპუსისათვის სამაგიდო წიგნი უნდა გახდება“. დავამატებდი, რომ იგი დიდ დახმარებას გაუწევს სახელმწიფო მოხელეებს კვალიფიციის ამაღლებაში და გადაწყვეტილებების მიღებაში.

## იაშა მასხია

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ობილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი



გამოვიდა ექონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ როზეტა ასათიანის მონოგრაფია „გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო“, რომლის რედაქტორია ექონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იაკობ მესხია. ნაშრომში განხილულია ეკონომიკური თეორიის როლი გლობალიზაციის გენეზისისა და, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში; გაანალიზებულია საბაზო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საქართველოს მაკროეკონომიკურ რეგულირებაში დაშვებული არსებითი ხასიათის შეცდომები, ეკონომიკურ პოლიტიკაში მსოფლიოში

აპრობირებული თეორიების გაუთვალისწინებლისა და ქვეყნის თავისებურებების არაადეკვატური მოდელების გამოყენების გამო. მოვლენათა კრიტიკული შეფასების საფუძველზე გაკეთებულია სათანადო დასკვნები და გამოთქმულია მოსახურებები ზოგიერთი პრობლემის გადაჭრის მიზნით.

ნაშრომი განკუთვნილია არა მხოლოდ მეცნიერ-ეკონომისტებისა და ეკონომიკური სპეციალობების სტუდენტებისათვის, არამედ შესაბამისი დარგის სახელმწიფო მოხელეებისთვისაც და მკითხველთა ფართო წრისთვის.

### „მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები“



გამოვიდა ახალი წიგნი „მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები“, რომლის ავტორები არიან: ეკონომიკის დოქტორი, მღვდელი ბასილ ახ-ვლება და იანი, ეკონომიკის დოქტორი, ბიორგი შიხაშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ნიკოლოზ ბაბაშვილი.

ნაშრომში მართლმადიდებლური სარწმუნოების საფუძველზე მიმდინარეობს მსჯელობა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ეკონომიკური თეორიის მართლმადიდებლური გაზრება; ადამიანის დანიშნულება და ცხოვრების მიზანი; საზოგადოებრივი წარმოების საბოლოო მიზანი; ეკონომიკური, მმართველობითი და სასოფლო-სამეურნეო თემატიკა წმინდა წერილში; მართლმადიდებელი წმინდანები და დეთისმეტყველები ეკონომიკისა და მართვის შესახებ; თეოლოგიური ეკონომიკა, როგორც სამეცნიერო-პრაქტიკული და სასწავლო დისციპლინა; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური და სასოფლო-სამეურნეო საკითხების

შესახებ; ორგანიზაციულ-სამართლებრივი დოკუმენტები საქალესიო ეკონომიკისა და მართვის სფეროში; განათლებისა და მეცნიერების ორგანიზაცია საეკლესიო ეკონომიკის სფეროში; საქართველოს ეკლესის სამეურნეო საქმიანობის აღორძინება-განმტკიცების ძირითადი მიმართულებები; ქრისტიანული პრინციპების ასახვის აუცილებლობა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციაში; საეკლესიო ეკონომიკისა და საერო ბიზნესის თეოლოგიურ-სინერგიული განვითარების საფუძველები და სხვ.

დიდი სჯულის კანონი და მასში ასახული სამეურნეო-მმართველობითი სწავლება საეკლესიო და საერო ხელისუფალთა მისწრაფებების პარმონიული ურთიერთშესამების ისტორიულ საფუძველს და ნიმუშს წარმოადგენს, რისი აღორძინებაც აუცილებელია თანამედროვე პირობებში, რათა საქართველომ აღიდგინოს დაკითისა და თამარის დროინდელი დიდება და ქეთილდღეობა.

ნაშრომი განკუთვნილია სასულიერო პირების, თეოლოგების, ეკონომისტების, ბიზნესმენების, მენეჯერების, უმაღლესი განათლების სამივა საფეხურის სტუდენტებისა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) და ყველა დაინტერესებული ადამიანისათვის, მიუხედავად პროფესიისა და სოციალური მდგრადირებისა.



Azərbaycan, Bakı, AZ 1006, Ə.Quliyev küç., 98  
Tel.: (994 12) 598 28 80; 497 12 20; Faks: (994 12) 497 12 22  
E-mail: elis@tdb.az

98, A.Guliyev Str., Baku, AZ 1006, Azerbaijan  
Tel.: (994 12) 598 28 80; 497 12 20; Fax: (994 12) 497 12 22  
E-mail: elis@tdb.az

№ 9/007

“17” դեկտեմբեր 2010 թ.

Лоиду Карчаве  
Главному редактору  
Журнала «Ахали Економисти» (Новый экономист)

Уважаемый г-н Карчава,

Подтверждаю своё согласие стать членом редакционного совета журнала «Ахали Економисти» (Новый экономист). Надеюсь на совместную плодотворную работу, способствующую как развитию экономической науки в Азербайджане и Грузии, так и дальнейшему повышению эффективности внешнеэкономических связей на Центральном Кавказе.

С уважением,

Эльдар Исмаилов

Директор  
Института стратегических исследований Кавказа



## ქართული მემკვიდრეობა


მიწათმეტებელი სახლის მშენებლობაში განვითარება

ჩეოროწყვეტილი რაიონის სოფელ ნაკიანში, ლექარჩეს უბანში, XX საუკუნის 20-იან წლებში ადგილობრივმა კომუნისტებმა დაანგრიეს ლექარჩეს მიქელგაბრიელის სახელობის ეკლესია. იგი დღეს ასე გამოიყერება.



ეკლესიის პარამეტრებია:  
სიგრძე – 13,5მ; სიგანე – 7,5მ;  
სიმაღლე (გარედან) – 9,0მ.

2001 წლიდან ქარჩავას გვარის წარმომადგენლებმა ბადაწყვიტებს ამ ეკლესის აღდგენა. შეიქმნა სპეციალური პავილიონი „ქარჩა“, რომელიც ორგანიზებას უწევს მის აღდგენას. ქართებული მიღებულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტერესის ილია II-საგან, სენაკის ხეოროწყვეტილი ეპარქიის მუსკე შიოსაგან (მუჯირი). საპატრიარქოს შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით ნებართვა მიღებულია მისი აღდგენის შესახებ და მოწონებულია შესაბამისი პროექტიც. აი, მისი სამხრეთის ხედი:



### ეკლესიის გადასაცემი

ქარჩავების გვარის წარმომადგენლებმა შეძლებისდაგვარად გარკვეული თანხა შესწირეს ამ საპასუხისმგებლო, და ამავე დროს, საპატიო და მადლიან საქმეს. არანაკლები ინტერესით შემოგვირთვნენ სხვა გვარის წარმომადგენლებიც, როგორც ადგილზე, ისე საქართველოს სხვა რაიონებიდან, თბილისიდან. გარკვეული წვლილი შეიტანეს კერძო ორგანიზაციებმაც. თითოეული თეორი აღრიცხულია, ქვეყნდება საგვარეულო გაზეთში და მშენებლობის დასრულების შემდეგ გამოიცემა ცალკე წიგნად, თუ ვინ რა წვლილი შეიტანა ეკლესიის მშენებლობაში.

2006 წელს ამ პრობლემით დაინტერესდა საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული სამეგრელოსა და ზემო-სვანეთის მხარეში, დაათვალიერა იქაურობა, გაერკა საქმის ვითარებაში და დახმარება აღგვითქვა.



მივმართავთ თხოვნით ყველა ჭეშმარიტ ქრისტიანს, აღნიშნული ეკლესიის მშენებლობაში მონაწილეობის სურვილის შემთხვევაში შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხონ თანხა კავშირი „ქარჩა“, ანგარიშზე:

ბანკი „რესპუბლიკა“, კოდი 220101757, ცენტრალური ფილიალი.

ანგარიშის ნომერი ლარებში: 3608011444; ანგარიშის ნომერი დოლარებში: 3618011444;

დამატებითი კითხვებისთვის შეგიძლიათ მოგვმართოთ: 855 277 554 ან 990576.

# საქონლო და მუსიკურისტური უნივერსიტეტი

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი  
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

აგრძელებს სტატიების მიღებას შემდგან მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. ტექსტი აქტუელი უნდა იყოს Word-ში, AcadNusx-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერგალი სტრიქონებს შორის - 1,5, უფლების დამორჩება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა - 2,5 და 2,5 სმ. ტექსტი უნდა აკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაუვანილი JPEG-ში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვრდი A4 ფორმატის.

2. აგრძელის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კორდინატები, (ტელეფონები, ფოსტური), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;

3. სტატიას უნდა ახლდეს რეზუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე, მოცულობით 120-150 სიტყვა, პრეტიფილი AcadNusx-ში და Times New Roman-ში, მრიცველის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა ჰქონდეს სქემოთვები და დაქროთს გამოყენებული ლიტერატურა.

4. სტატია შეიძლება ვამოქვეყნდეს ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც. ასევე შემთხვევაში, ჩვენი მოთვარის შემთხვევაში, მოგვაწოდოთ ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების დირექტორების შეადგენს - ექინალის ერთი გვერდი 8 დარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადგით რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ქურნალის დირექტორები - 5 დარი.

5. სტატიის გამოქვეყნების, ქურნალის შექმნისა და გამოწერის დირექტორების გადახდა შესაძლებელია შეს “ლორ”-ს ანგარიშზე: საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი 36025354, ბანკი “რესპუბლიკა”, ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდია 220101757.

ელექტრონული ფოსტა: [info@economisti.ge](mailto:info@economisti.ge) ან [info@loi.ge](mailto:info@loi.ge)  
ტელ: 422 771; 99-05-76; 855 277 554; 895 32 30 34.

PS. სტატიების მოწოდება ფურცლებით ან CD-თ აუცილებელი არ არის.

International Precise and Review Scientific-Practical Magazine

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of AcadNusx font 12, interval between lines- 1.5, borders in right and left side- 3 and 2sm. Also, up and down borders- 2.5 and 2.5sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEC. The minimal size of article is 5pages of A4 format.

2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEC.

3. The article must have rezume in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in AcadNusx and in Times New Roman, size of font-12. Scientific article must have skolioses and list of used literature.

4. The article may be published in English, Russian, German and France languages. So, it is also our request to prepare rezume in Georgian and Egnlish languages too.

5. The price of article's publication is- one page of journal 8GL(lari). And auhor will pay this price after getting positive respond. Also, the price of journal is 5GL(lari).

6. The price of publication article, buying journal and subscription fee could be payed in Ltd. “lois” account: identification code – 204439296, the account number- 36025354, bank “Republic”, central office, bank code 2201017557.

Our coordinates:

e-mail: [info@economisti.ge](mailto:info@economisti.ge) or [info@loi.ge](mailto:info@loi.ge)

tel: 99 05 76; 422 771; 855 277 554; 895 32 30 34.

PS. Giving articles with papres or CD-s, is not necessary.



ქართული კრედიტი  
GEORGIAN CREDIT

[www.geocredit.ge](http://www.geocredit.ge)

## ვორდინაცია:

ვაკე-საბურთალო: ქაზბეგის გამზ. 30 (სათავო მფისი)  
ავლაბარი: ქ. ლამებულის გამზ. 53 ა.  
გორგინდა: რესორსების გამზ. 31 (ფოსტის შენობა)  
ტელ.: 398887; ელ-ფოსტა: geocredit@geocredit.ge

ბაზრის წამყვანი შედარებით მცირე საწარმოების კონკურენციის უპირატესობანი უფრო ხარისხობრივ გაუმჯობესებებს ემყარება, ვიდრე ფასის მიხედვით უპირატესობებს. მიუხდავად ამისა, ფირმები მუდმივ კონკურენციულ ბრძოლაში იმყოფებიან (ბაზარზე ახალი მასობრივი პროდუქციის მწარმოებელთა შედწევის წინააღმდეგ) თავიანთი წამყვანი პოზიციის დასაცავად.

მცირე და საშუალო საწარმოები დიდ უერადღებას უთმობენ აგრეთვე მეწარმეობის კულტურის მოთხოვნების გათვალისწინებას.

არადა ამ უკანასკნელს ხშირად სათანადო ვერ აფასებენ. იგი წინა პლანზე წამოწევს და ეურდნობა ხანგრძლივი წარმატების მომტან ფასეულობებს.

მცირე და საშუალო საწარმოების დამტუბნებლები ან ხელმძღვანელი უფლებულებების დიდხანს მოღვაწეობები ფირმაში უდიდეს საკუთარი სტილი გააჩნიათ. ისინი თანამშრომლებისაგან ისე ბევრს მოითხოვნენ, როგორც საკუთარი თავისაგან. ხშირად აგტორიტარული არიან, მაგრამ შეუძლიათ აგრეთვე მოტივირება და ფირმის სეციალისტების მაღალი მიღწევებისაკენ ორიგინტირება. ისინი ახალი სახის მუნჯმენტ-მოდებს და მათ მოძღვრებას დიდად არ აფისხებენ. უმაღლესი რანგის მცირე და საშუალო მეწარმეთა სტრატეგიიდან და პრაქტიკიდან შეუძლიათ როგორც დიდ საწარმოებს, ასევე ნაკლები წარმატების მქონე მცირე და საშუალო ფირმებს ბევრი რამ ისწვალონ.

### ბამოჟენებული ლიტერატურა:

1. Collins, James C., und Jerry I. Porras: Die Besten der Besten – Zweölf Managementmythen, gdi-impuls 1/1995, S. 23-29, Zuerich: Gottlieb Duttweiler – Institut 1995.
2. DE SOTO, Hernando, Freiheit fuer das Kapital! Warum der Kapitalismus nicht weltweit funktioniert, Berlin 2002.
3. Flik, Heinrich: The Ameba Concept – Organizing around Opportunity within the Gore Culture, in: Simon, Hermann (Hrsg), Herausforderung Unternehmenskultur, Stuttgart: Schaeffer- Verlag, 1990.
4. Homburg, Christian: Kundennaehe von Industriegueterunternehmen- Konzeptualisierung, Erfolgsauswirkungen und organisationale Determinanten, Habilitation, Universitaet Mainz, 1995.
5. Porter, Michael E: Competitive Strategy Revisited: A View from the 1990s, Boston: Harvard Business School Press, 1994.
6. Simon Hermann: Die Heimlichen Gewinner, Die Erfolgssstrategien Unbekannter Weltmarktfuehrer, Frankfurt/Mainz, New York, 1996.
7. SCHMID, Guenther, Wege in eine neue Vollbeschaeftigung – Uebergangsarbeitsmaerkte und aktivierendeArbeitsmarktpolitik, Frankfurt/main, New York 2002.
8. SCHMITZ, Frieder, Beschaeftigungseffekte von Unternehmungsgruendungen. Ein Beitrag zur Erklaerung des Zusammenhangs zwischen der Unternehmens- und Beschaeftigungsfluktuation, Berlin 2001.
9. Warnecke, Hans-Juergen: Die fraktale Fabrik (The Fractal Factory) Heidelberg/New York: Springer, 1992.



## PRIORITIES OF FREE ENTREPRENEURSHIP

REVAZ GVELESIANIDZE

Doctor of Economical Science  
Economical Politics Chair's Leader of  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,  
Full Professor

Freedom of Entrepreneurship is defined by unlimited use of it's strategic – social political, competitor – political, structural – political and employ – political functions in practice.

According to the social political function it's desired that more and more citizens perceived free economical action and by this way, make one's bit in decentralization of power.

According to the competitor – political function, the estimation of competition's functional ability is realized by that criterions which give us an opportunity to sum up three hierarchical settled spaces of competition: the structure of market, acting of the superintendent's of work in the market and the result of the market.

The unity of life conditions in the economics social market is gained by active structural politics established on sectoral, regional and industrial sizes, which hastens the adaptation with changeable market conditions.

Compare with big industrials, small and middle industrial's different employment politics is communicated with hypothesis of flexibility and technology. According to the first one, small and middle industrials, on the basis of flexible organization, react in proper time about changes of demand and feel the signs of the market rapidly because of being near the consumers. The hypothesis of technology follows from that, the structures of demand change to the side of individual and qualitative differential goods and services and by this way, the deny of mass production is done.